# ჯვრის ხმა

3

საქართველოს საპატრიარქო
თბილისი — 1988

ჯვარი ვაზისა — შემკული მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს თმით, IV ს.

ძლიერებაო ჯვარო ვაზისაო,
დაგვიცევ და დაგვიფარე ჩვენ

# ბიბლია

დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქ ი ლ ი ა II ლოცვა-კურთხევით

ՀԱՅԵՐԻՆ,

ՈՐՊԵՍԶԻ ԵՎ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

ԳԱՂԻ ԴԻՄԱՑԱՌԱՐ

ჟამსა ამას უცხოებისა და უპოვარებისა
ჩუენისასა, ქრისტე,
არა შემეშინოს ჩუენ ბოროტისაგან,
რამეთუ შენ, უფალი, ჩუენ თანა ხარ,
განჰმზადებული ჩუენთჳს ადგილსა ამას კეთილსა,
განსასუენებელსა ნებისა შენისასა,
რომელსა შინა მარადის ვედრებასა შევსწირავთ
მოსალოდებელისა მისთჳს დღისა –
დიდებით მეორედ მოსლვისა შენისასა, ღმერთო,
რა ჟამს იგი საშინელებათა ზარი და საყჳრისა ოხრად
შეაძრწუნებდეს დაბადებულთა ყოველთა,
რამეთუ მიეცემოდიან ყოველნი ბრალეულნი
გუემათა და საარებათა,
ხოლო მართალთა ახარებდეს ცხორებასა
დაუსრულებელსა...

**გრ. ხანთელი**



მეტეხის ტაძარი

ღმრთისმშობელი. ანჩისხატის მაცხოვრის ხატის ჩარჩოს მოჭედილობის დეტალი.
ბეჭა ოპიზარი. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი

შენ უფალო, აწცა აკურთხე ადგილი ესე,
წმიდისა შენისა ეკლესიისა სამკვიდრებელი,
მადლითა შენითა და წმიდათა ოხითა.

**გრ. ხანძთელი**

# რეკენ სამრეკლოს ზარები



დიდხანს დუმდნენ ანჩისხატისა და მეტეხის ზარები... დიდზე დიდი ხანია ისინი არ შეხმიანებიან სიონის დედატაძრის სამრეკლოს. იდგა მოლოდინის წლები, მოლოდინის და ტკივილის... მაგრამ იმედისაც...

და აი, დადგა ეს ნანატრი ჟამი. სულ ახლახან კვლავ სიცოცხლე შეიმოსეს მათ. დაინთო სანთლები. შესრულდა პირველი წირვა, რომელიც თვით კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ აღასრულა.

ანჩისხატი და მეტეხი!.. ეს ხომ ქართული ეკლესიის უმნიშვნელოვანესი სალოცავები იყო საუკუნეთა მანძილზე... მათ სახელთან ხომ ჩვენი დედაქალაქის უამრავი, დიდად მნიშვნელოვანი თარიღებია დაკავშირებული. მათ საკურთხეველზე დანთებული სანთლებისა და ლოცვის მადლი შეწევია მუდამ საქართველოს, ყოველ ჟამს...

კურთხეულ იყოს აწ და მარადის მათი ახალი მადლი და ძალა, მათი ახალი სიცოცხლე.

## ანჩისხატი

ანჩისხატის ბაზილიკა თბილისში დღემდე შემორჩენილი ყველაზე ძველი საეკლესიო ნაგებობაა. იგი VI საუკუნის დასაწყისშია აგებული. მდებარეობს ქალაქის ძველ უბანში — კალაში. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს უძველესი ხელნაწერი გვამცნობს, რომ იგი აუგიათ ვახტანგ გორგასალის შვილისა და მემკვიდრის, დაჩი უჯარმელის მეფობის დროს. „ამისა შემდგომად მეფობდა დაჩი უჟარმელი და კათალიკოზი იყო სამოველ და მისა ზე ტფილისს კაცნი დასხდებოდეს და მარიამ-წმიდა ეკლესიაჲ აღაშენეს“. გ. ჩუბინიშვილის ვარაუდით, აქ სწორედ დღევანდელი ანჩისხატის ეკლესია იგულისხმება. თუმცა ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, ანჩისხატის ეკლესია „არს ნათლისმცემლისაო“, მაგრამ მოგვიანო ხანის ავტორები (პ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, პ. კარბელაშვილი და სხვ.) ეკლესიას ღვთისმშობლის შობის სახელზე ნაკურთხად ასახელებენ. ანჩისხატის აგების ჟამს თბილისი უკვე სატახტო ქალაქი იყო. ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი ჯუანშერი (XI ს. ავტორი წიგნისა „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ვახტანგ გორგასრისა“...) აღნიშნავდა, „დაჩი მეფემან, შემდგომად სიკუდილისა ვახტანგისა... განასრულა ზღუდენი ტფილისისანი და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ“.

ანჩისხატი (მისი გარე ზომებია 21,5×13,5 მ.) სამნავიანი ბაზილიკაა, რომელსაც სამი შესასვლელი აქვს — სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. ტაძრის გეგმა წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს, რომელიც შიგნით, ბურჯების ორი წყვილით დაყოფილია სამ ნაწილად (თავდაპირველად აქ ბოძების სამი წყვილი იყო). შუა ნავი განაპირებზე ორჯერ განიერი და მაღალია და აღმოსავლეთით ნახევარწრიული მოხაზულობის საკურთხეველით მთავრდება. საკურთხევლის მხარეს სამკვეთლო და სადიაკვნეა, რომლებიც გვერდით ნავებს თითო ვიწრო კარით უკავშირდებიან. ეკლესიაში შესასვლელი სამივე კარი კარგად გათლილი ქვის სწორკუთხა ძელით, არქიტრავით არის გადახურული. ჩრდილოეთისა და დასავლეთის შესასვლელების თავზე ადრეული ხანის ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ნალისებრი მოხაზულობის ღია ლუნეტებია. ასევე ნალისებრი მოხაზულობით არის დასრულებული აღმოსავლეთის ფასადის სამი და დასავლეთის ფასადის სარკმლები. ანჩისხატის ბაზილიკა მოწითალო ფერის კარგად გათლილი ქვიშაქვის კვადრებით არის ნაგები, ოსტატი წყობის ჰორიზონტალურ რიგებს საგულდაგულოდ იცავს.

VI საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში ბაზილიკური შენობა უკვე შემუშავებული იყო. ანჩისხატის მარტივი გეგმა სავსებით ჩამოყალიბებულია და ტაძარი მხატვრულად დასრულებულია.

ეკლესია 1814 წელს ზეთის საღებავებით მოიხატა. რესტავრაციის დროს (უკვე ჩვენს საუკუნეში), საზეიმო თაღის ზემოთ, საღებავის ფენის ქვეშ აღმოჩნდა და გაიწმინდა 1683 წლის მხატვრობა.

სუკუნეთა მანძილზე ეკლესია ბევრჯერ შეაკეთეს. XVII საუკუნეში ბაზილიკა მნიშვნელოვნად ყოფილა დაზიანებული. ერთ საბუთში დომენტი კათოლიკოსი აღნიშნავს: „ანჩისხატის საყდარში შიგნით, აჩხორვილ და ცუდ-მადა გაკეთებული იყო. განჰვწმიდე და განვაშენე“. ამავე დროს, კათოლიკოსმა ბაზილიკის დასავლეთით ააგო გვიანი ფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრების

საინტერესო ნიმუში, ანჩისხატის აგურის სამრეკლო, რომლის პირველი სართული ეკლესიის ეზოში ჩასასვლელად შეისრული თაღით არის გახსნილი. მეორე სართულზე მცირე ზომის სათავსებია. ამ სართულზე პირამიდულად გადახურული ქვის სვეტებიანი სამრეკლოს ფანჩატურია დაშენებული. სამრეკლო მხედრული წარწერით ზუსტად არის დათარიღებული: „ჩვენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ბატონიშვილმან კათალიკოზმან დომენტი აღვაშენე სამრეკლო და განვაახლე საყდარი ესე სულისა ჩვენისა საოხად მეფობასა ქართველთასა შანავაზისასა. ქორონიკონსა ტნიგ“. წარწერაში მოხსენებული შაჰნავაზი ქართლის მეფე ვახტანგ მეხუთეა. (მეფობდა 1658—1675 წწ.), ხოლო ქორონიკონი ტნიგ — 1675 წელია.

ანჩისხატის ბაზილიკა დიდი ხნის განმავლობაში ქართველ კათოლიკოსთა კარის ეკლესია იყო.

ტაძრის ეზოში უმაღლესი სასულიერო სასწავლებელიც ყოფილა. იგი თავიდანვე გამორჩეული ეკლესია იყო. უფრო ადრე, IV საუკუნეში, საქართველოში ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრების პირველ წლებში ქართველი მემატიანეები მცირე ეკლესიის აგებასაც, როგორც მნიშვნელოვან მოვლენას, ყოველთვის აღნიშნავდნენ. V საუკუნის მეორე ნახევრიდან ხელნაწერებში მხოლოდ მნიშვნელოვანი ტაძრების აგებაზე საუბარს ვხვდებით, თბილისში — „მარიამწმიდის“ ეკლესიის აგების მოხსენებაც „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთივე მნიშვნელოვან მოვლენას უნდა მიეწეროს. VII საუკუნის დასაწყისში ბაბილა კათოლიკოსმა, რომელიც ზამთარს ყოველთვის თბილისში ატარებდა, ანჩისხატის მახლობლად სასახლე აიშენა. ეს ის დროა, როდესაც: „მცხეთა ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალა განდიდებოდა“. ანჩისხატის უბანი ქართველ წარჩინებულთა საცხოვრებელს წარმოადგენდა. ტაძრის სამხრეთით მეფის სასახლე იყო აგებული, „ამიტომ მეფენი, დედოფალნი, ბატონის შვილნი, სძალნი და ასულნი მუდამ აქ ისმენდნენ წირვა-ლოცვას, აქ იმწყემსებოდნენ და ეზიარებოდნენ სამეფოს მოვლა-პატრონობისათვის“. ეს უბანი XIX საუკუნეშიც ქართველ წარჩინებულთა სამოსახლო იყო.

ბაზილიკა ისტორიულ წყაროებში ჯერ მარიაწმიდის სახელით, ხოლო არაბთა შემოსევის შემდეგ „ზარის ეკლესიად“ იწოდებოდა. XVII საუკუნეში, სამხრეთ საქართველოში თურქთა შემოსევისა და დამკვიდრების შემდეგ, ანჩის მონასტრიდან (ანჩის მონასტერი ოპიზისა და ხანძთის მონასტერთა შორის მდებარეობდა) აქ გადმოასვენეს სახელგანთქმული ანჩის სასწაულმოქმედი ხატი, რის შემდეგაც ბაზილიკას ანჩისხატის ეკლესია ეწოდა.

ამჟამად ანჩის კარედი ხატი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. ეს ხატი იოანე ზედაზნელის მოწაფემ ანდრია მოციქულმა VI საუკუნის შუა წლებში ჩამოიტანა საქართველოში. XII საუკუნის დასასრულს თამარ მეფის ნებით და მისივე ხარჯით, ანჩის ეპისკოპოსის შეკვეთით, ბექა ოპიზარმა მოოქრულ ვერცხლის ჩარჩოში ჩასვა. ჩარჩოს წარწერაში ნათქვამია: „ქ. ბრძანებითა და ნივთისა ბოძებითა ღმრთივ გვირგვინოსნისა დიდისა დედოფალთ დედოფლისა თამარისაჲთა, მე იოანე ანჩელმან რკინაელმან ხელვყავ საშინელისა ამის ხატისა პატივით მოჭედად, მფარველმცა არს მეფობისა მათისა აქა და საუკუნესა მოიჭედა ხე(ლი)თა ბექასითა,...“. ხატის ჩარჩო შემკულია ვედრების კომპოზიციით. ხატის თავსართი და დასაკეცი ფრთები XIV საუკუნეშია მოჭედილი. ხატის ჩარჩო ქართული ოქრომჭედლობის მაღალმხატვრული ნიმუშია, სადაც ბექა ოპიზარმა თამარის ეპოქისათვის ჩვეული ბრწყინვალებით შეასრულა ორნამენტული მორთულობა და სკულპტურული ფიგურები.

სამხრეთ საქართველოში თურქების დამკვიდრების შემდეგ ხატს ანჩის მონასტრიდან პეტრე მესხი ჩამოჰყოლია თავისი ოჯახით. თბილისში მისთვის ანჩისხატის კანდელაკობა უბოძებიათ. პეტრეს შვილი, მხატვარი გრიგოლი თბილისის მოქალაქე გამხდარა; მისი შვილი, ალექსი, კალიგრაფთა ცნობილი დინასტიის მამამთავარი, XVIII საუკუნის ხელნაწერი წიგნის ერთი საუკეთესო ოსტატთაგანია (საყურადღებოა მის მიერ მხედრულით ნაწერი სულხან-საბას ლექსიკონი, რომელშიც საბას პორტრეტია ჩართული). მისი შთამომავლობა ალექსის ღვაწლის პატივსაცემად ალექსი-მესხიშვილებად იწოდება...

XVII საუკუნის რესტავრაციის შემდეგ. ტაძარში თაღედი ორი წყვილი აგურით ამოყვანილ მრგვალ სვეტს ეყრდნობა, თავდაპირველად კი აქ სამი წყვილი ჯვრის ფორმის მქონე ბურჯი ყოფილა. გადაკეთებამ, რასაკვირველია, სახე შეუცვალა ტაძრის შიგა სივრცეს, მაგრამ ამის მიუხედავად, ეს სივრცე დღესაც საოცრად შთამბეჭდავია.

შიგა სივრცის ხასიათი ტაძრის გარე სახეში, მის ბაზილიკურ სილუეტშიც გამოიხატა. განსაკუთრებით მეტყველია აღმოსავლეთის ფასადი — საკურთხევლის დიდი სარკმლითა და მის ორივე მხარეს სიმეტრიულად განლაგებული, შედარებით მცირე ზომის სარკმლებით.

ტაძარს სამხრეთის ფასადის მხრიდან ჰქონია საკმაოდ უცნაური გეგმის მინაშენი, რომლის მცირე ნაწილიღაა შემორჩენილი.

საინტერესო დეტალია, აგრეთვე, დასავლეთის ფასადის წყობაში ჩადგმული „ჯვრის ამაღლების“ კომპოზიციის ფრაგმენტიანი რელიეფი. მასზე შერჩენილია ეგრეთწოდებული „ბოლნური ჯვრისა“ და ანგელოზის ძლიერ დაზიანებული გამოსახულებები. ეს რელიეფი მნიშვნელოვანია მასზე მიკვლეული ასომთავრული წარწერის ნაშთითაც. რესტავრატორი რუსუდან გვერდწითელი ასე აღადგენს ამ წარწერას: „უფალო, მეფესა დჩის შეხეწიე“.

1958 წელს, სწორედ რუსუდან გვერდწითელის ხელმძღვანელობით დაიწყო ანჩისხატის რესტავრაცია.

ტაძარს ჩამოცილდა დაშენებული ცრუ გუმბათი და დასავლეთიდან მიშენებული მრავალიარუსიანი სამრეკლო, კედლებსა და სარკმელებს დაუბრუნდა თავდაპირველი სახე, დაიწია ბაზილიკის იატაკი. რესტავრატორთა მცდელობით ბაზილიკა მეტნაკლებად აღდგენილ იქნა თავდაპირველი სახით.

პირველი წირვა ანჩის-
ხატსა და მეტეხში.

ანჩისხატი.
სულთმოფენობა

მეტეხი.
წირვის შემდეგ

ანჩისხატი. ტაძრის კურთხევა

# მეტეხი

თბილისის უძველესი ტაძარი — მეტეხის სიონი მტკვრის მარცხენა ნაპირას, ციცაბო კლდის კონცხზეა აღმართული და ნარიყალასთან ერთად განუმეორებელ ხუროთმოძღვრულ ანსამბლს ქმნის.

„მეტეხის“ ცნების რამდენიმე სავარაუდო განმარტება გვხვდება.

სიტყვა „მეტეხი“ წარმოდგება ბერძნული სიტყვისაგან „მეტოქი“ და ნიშნავს ეკლესიას, კათოლიკოსის მიტროპოლიტის ადგილ-სამყოფელს. რაც შეეხება ქართულ ტოპონიმიკაში ფართოდ გავრცელებულ სახელწოდებას „სიონი“, ეს არის ბორცვი იერუსალიმში, სადაც ბიბლიის მიხედვით, მოთავსებული იყო მეფე დავითის სასახლე და ღვთაება იაჰვეს ტაძარი. (ქსე. ტ. IX. გვ. 379) შემდგომში ამ ადგილას იმპერატორმა კონსტანტინემ ააგო ეკლესია. ამგვარად, „მეტეხი“ ანუ „მეტოქი“ შეიძლება გავიაზროთ, როგორც იერუსალიმში, სიონის ბორცვზე აგებული ეკლესიის მონაცვლე, მისი „მადლის ზიარი“.

ზოგიერთი ვარაუდით კი სიტყვა „მეტეხი“ მდინარის პირას აღმართულ ციცაბო კლდეს ნიშნავს. ეს ვერსია იმითაც არის საყურადღებო, რომ თბილისიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით სოფ. მეტეხში მტკვრის პირას, ასევე ციცაბო კლდეზე აგებულია მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ერთ-ერთ ვარიანტში მეტეხის აღმშენებლად ვახტანგის ძე დაჩი იხსენიება.

ზოგიერთი ჟამთააღმწერელი მეტეხის სიონის აგებას ვახტანგ გორგასალის სახელს უკავშირებს.

პლატონ იოსელიანი თხზულებაში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ აღნიშნავს, რომ ვახტანგ გორგასალს ხუთი ტაძარი აუგია, მათ შორის ღვთისმშობლის მეტეხის სიონი, რომელიც იმავე დროს სასახლის კარის ეკლესიაც ყოფილა.

გადმოცემის თანახმად, არაბებმა აქ აწამეს წმიდა აბო ქრისტიანობის მიღებისათვის. მეტეხის ტაძარში განისვენებს ვარსქენ პიტიახშის მიერ 15 საუკუნის წინათ წამებული წმიდა შუშანიკის ნეშტი.

მეტეხის ტაძრის აგებასთან დაკავშირებით ასეთი თქმულება არსებობს:

მირდატ მეფე რომ გარდაიცვალა, მისი მემკვიდრე ვახტანგი ექვსი წლისა ყოფილა. სამეფოს დედოფალი სანდუხტი მართავდა. მტრებმა ისარგებლეს საქართველოს დაობლებით და იწყეს ყოველი მხრიდან შემოსევა. ერთ-ერთი ამგვარი თავდასხმის დროს ოსთა ჯარის წინამძღოლმა ბაყათარმა ტყვედ წაიყვანა ვახტანგის და მირანდუხტი.

დედას არ უნდოდა ვახტანგისთვის ამ ამბის გამხელა, სანამ არ გამეფდებოდა, მაგრამ... ერთხელ ტოლებთან თამაშის დროს, ვახტანგი ერთერთ მოთამაშეს წაეკიდა და სილა გააწნა. თვალცრემლიანი ამხანაგი მიუბრუნდა ვახტანგს და გაბრაზებულმა მიაძახა: „ღონე თუ გერჩის, რად არ დაიხსნი შენს დას ბაყათარის ტყვეობისგან“.

გაოგნებულმა ვახტანგმა თამაშს თავი ანება და შინისკენ გაეშურა. მივიდა დედასთან და უთხრა: „დედა, ძუძუ მომეცი, მინდა უკანასკნელად მოვწოვო და ყრმობას გამოვეთხოვო“.

დედა ჯერ გაოცდა, მერე კი მისცა შვილს ძუძუ. ვახტანგი ეამბორა დედის მკერდს, შემდეგ ძუძუს კბილები მოუჭირა და უთხრა: „არ მოგეშვები, სანამ არ მეტყვი, სად არის ჩემი დაჲ მირანდუხტ“. ვახტანგმა რომ აღარ დაიშალა, დედამ ყველაფერი დაწვრილებით უამბო შვილს.

ვახტანგმა დიდხანს არ დააყოვნა და ოსთა წინააღმდეგ სალაშქროდ მზადებას შეუდგა. მირანდუხტმა ვახტანგის განზრახვა რომ შეიტყო, ძმას აცნობა: „ძმაო ვახტანგ, ბაყათარის მომრევი ჯერ არავინ გამოჩენილა, იგი ნიადაგ ჯაჭვ-აბჯრით შეჭურვილი დადის და ამიტომ ძნელია მისი დამარცხება. მარტოოდენ იღლიაში დაჭრით შეიძლება მისი მოკვლა“.

ვახტანგმა შეკრიბა ლაშქარი და ბაყათარს შეუთვალა, მოვდივარ და თუ ვაჟკაცი ხარ, დამხვდიო.

ბაყათარი განარისხა ყრმა უფლისწულის ამგვარმა კადნიერებამ და თავისი ჯარით ფიცხლად გაეშურა ვახტანგთან შესახვედრად.

მოადგა მტკვრის მარცხენა ნაპირს ბაყათარი თავისი ლაშქრით...

მდინარის მოპირდაპირე მხარეს ციცაბო კლდის კონცხზე, თეთრ ცხენზე ამხედრებული უფლისწული

გამოჩნდა. შორიახლოს დაბანაკებული ლაშქარი ყიჟინითა და ამოღებული ხმლებით შეეგება მეფეს.

მოაპობდა ადიდებული მტკვრის ტალღებს ცხენზე ამხედრებული, ხმალშემართული ბაყათარი. უკან მხედრიონი მოსდევდა. ცოტაც და პირისპირ შეეყრებოდა ოსთა ბატონი ჭაბუკ უფლისწულს. უეცრად ვახტანგმა თვალი მოჰკრა ხმალშემართული ბაყათარის აბჯრისგან დაუცველ იღლიას. ვახტანგმა არ დააყოვნა და შხამიანი ისარი მარჯვედ სტყორცნა იღლიის ქვეშ. გოლიათური აღნაგობის ბაყათარი, სიმწრისგან ცხენზე წამოიმართა, მერე კი სასიკვდილოდ დაჭრილი, მდინარეში გადაეშვა. შედრკა ბაყათარის ლაშქარი და პირი იბრუნა. ვახტანგი ფეხდაფეხ დაედევნა გაქცეულთ და მუსრი გაავლო. შემდეგ ოსთა ციხე აიღო, გაათავისუფლა მირანდუხტი და გამარჯვებულმა მცხეთისკენ გასწია.

თქმულების მიხედვით ვახტანგმა ხუთი ტაძარი ააგო: წილკნის, სიონის (თბილისში), ერთაწმიდის, სამთავისისა და მეტეხის.

ტაძარი რომ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებშია აგებული, ამას საძირკველში აღმოჩენილი ძველი ნაგებობის საძირკვლის ნაშთები ადასტურებს.

სახელწოდება „მეტეხი“ პირველად XII საუკუნის წერილობით წყაროებში იხსენიება. გიორგი მესამისა და თამარის დროს თბილისის ამ უძველეს უბანში, რომელიც ისნის სახელით იყო ცნობილი, იდგა „მეტეხთა ღვთისმშობლის ტაძარი“, და მეფის სასახლე უმშვენიერესი ბაღით, შადრევნითა და დიდი საასპარეზოთი.

თამარ მეფის ისტორიკოსი, ბასილი ეზოსმოძღვარი წერს, რომ შამქორის ომის (1195—1200 წწ.) წინ თამარმა „წარიკადა სამოსელნი ფერკთანი, და. ფერკივ შიშუელითა ფერკითა მიიწა ტაძარსა ღმრთისმშობლისასა მეტეხთა, და წინაშე ხატისა მის წმიდასა მდებარე არა დასცხრებოდა ცრემლითა ვედრებად, ვიდრემდის სრულყო ღმერთმან სათხოვნელი მისი“. („ქართლის ცხოვრება“ II, გვ. 126, 12).

გადმოცემის თანახმად, ლაშას-ძე დავითი მონღოლთა ყაენთან წასვლისას „ევედრებოდეს ღმერთს და ყოვლადწმიდასა მეტეხთასა და ვედრებითა ღვთისმშობელსა, რომლისა მინდობილ იყვეს“. („ქართლის ცხოვრება“ გვ. 247. 13).

XIII საუკუნე მეტად მძიმე ხანა იყო საქართველოს ისტორიისათვის. „მონღოლები მოადგნენ ქვეყანასა მსგავსად მკალთა, საოხრებლად და ხოცად, და არსადა იყო ლხენა, შეწევნა და ნუგეშის ცემა“ — მოგვითხრობს მემატიანე. 1235 წელს მონღოლთა მიერ თბილისის აოხრების დროს დაიღუპა მეტეხის სასახლეც და მეტეხის ძველი ტაძარი ისანში.

სასახლე შემდგომ, XIII საუკუნის შუა წლებში აღადგინეს, ტაძარი კი 1278—1289 წლებში ხელმეორედ ააგო მეფე დიმიტრი II თავდადებულმა. როგორც ჟამთააღმწერელი გვაუწყებს: „მეფე დემეტრემ აღაშენა პალატსა შინა მონასტერი, ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღმრთისმშობელისა, და შეამკო განგებითა დიდითა, და შესწირნა სოფელნი და ზვარნი, და განუჩინა მონაზონთა საზრდელი და სამოსელი, და განაგო განგებითა კეთილითა. („ქართლის ცხოვრება“ II გვ. 272, 10).

ზემოთ აღნიშნულს იმეორებს აგრეთვე დიდი ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი: „ისანი არს, კიდესა მტკურისასა, კლდესა ზედა, ციხესა შინა, ეკლესია მეტეხი, ღმრთისმშობელისა გუმბათიანი დიდ შუენიერნაშენი, საარქიმანდრიტო, შემუსვრილი აღაშენა მეფემან დიმიტრიმ“. (ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“ გვ. 336—12 თბილისი 1973 წ.).

მეტეხის ტაძარი თავისი არქიტექტურით გუმბათიანი ტიპის ნაგებობაა. საშენ მასალად ძირითადად აგურია გამოყენებული, გარედან კი ფოპირკეთებულია თლილი ქვით. მეტეხის ტაძარი საერთო იერსახით აშკარად გამოირჩევა მისი თანადროული ტაძრებისაგან. აღმოსავლეთით სამი შვერილი აფსიდი, ოთხი გუმბათქვეშა ბურჯი ნახევარწრიული შვერილებით უფრო ადრინდელი ხანის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი.

ეს გარემოება ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს იმაზე, რომ იგი ადრე არსებული ეკლესიის ფუძეზე აღუმართავთ. ტაძრის ფასადებისა და მათი დეკორატიული მორთულობის მიხედვით მეტეხის ტაძარი მე-13 საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლია. კედლები დანაწევრებულია ჰორიზონტალური სარტყლებით, საკურთხევლის შვერილ აფსიდზე გამეორებულია სამთავისის დროიდან ცნობილი სისტემა — დიდი ჯვარი და სარკმლის ქვემოთ 2 მოჩუქურთმებული კვადრატი. ჰორიზონტალური სარტყლებითა და კუთხეებში აყოლებული ლილვებით შექმნილი ჩარჩო თავს უყრის ფასადთა ყველა ელემენტს და ერთ მთლიან კომპოზიციად კრავს.

„მეტეხის“ ორნამენტი, კარ-სარკმელთა საპირეები, აღმოსავლეთ ფასადზე წარმოდგენილი ჯვრები და რომბები, ჩრდილოეთი კარიბჭის სვეტები და კამარა ტექნიკურად საკმაოდ მაღალ დონეზეა შესრულებული. მიუხედავად ამისა, მაინც იგრძნობა ერთგვარი სქემატიზაცია, დაწვრილმანება, რაც ეპოქას ახასიათებს.

გარეშე მტრების შემოსევების დროს თბილისის სხვა ღირსშესანიშნავ ნაგებობებთან ერთად დაინგრა მეტეხის სასახლე, ხოლო მეტეხის ტაძარი მეფე ვახტანგ V (1661 წ.), შაჰნავაზად წოდებულმა, თბილისის პირველი ქრისტიანული ტაძარი, ტყვია-წამლის საწყობად გადააქცია. ერეკლე I-მა ნაზარალი ხანად წოდებულმა, 1688 წელს სპარსეთის შაჰის სულეიმანისაგან ქართლის სამეფოს მიღების შემდგომ მეტეხი სპარსელებს გადასცა.

არ ცხრებოდა ძალმომრეობა მტერთა. 1748 წელს ერეკლე II-ემ დიდი ბრძოლით წაართვა ყიზილბაშებს მეტეხის ციხე. ისტორიკოს პაპუნა ორბელიანის გადმოცემით: „შეიქმნა სროლა ციხით ყუნბარ ზარბაზანთა, რომ კომლისგან ციხე აღარ ჩანდა, ხმისა და ზრიალისგან ქალაქი აღარ ჩანდა“.

ერეკლეს ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად ქართველებს მეტეხის ეკლესიის სამხრეთ აბსიდზე საგანგებო წარწერა ამოუკვეთიათ:

„მეფემ ირაკლიმ ეს ციხე მტერსა წაართო ძალადო,
აიღო ჯვარი ქრისტესი, წინ მიიძღუარა ფარადო,
დაიხსნა ეკლესიანი, ახლა აქვს საყდრის კარადო,
ღვთის მოყვარეს ხელმწიფესა ასე სჭირს ამის
გვარადო“.

ღმრთის სადიდებლად, მეოხად მეფის ერეკლისა.

როგორც პაპუნა ორბელიანი აღნიშნავს: „ინებეს და განაშენეს მეტეხის ყოვლადწმიდისა მონასტერი“. თითქმის ხელახლად აღადგინეს ეკლესიის სამხრეთის კედელი.

1795 წელს, კრწანისის ომის დროს, კვლავ დაუნგრევიათ მეტეხის ტაძარი, რომელიც შემდეგ ისევ აღუდგენია საქართველოს უკანასკნელ მეფეს გიორგი XII-ს.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, XIX საუკუნის დასაწყისში, გენერალმა ერმოლოვმა მეტეხის ციხე დაანგრია და მის ნაცვლად საპყრობილე და ყაზარმული ტიპის ნაგებობანი ააშენა. მეტეხის ეკლესია ამ დროს ციხის ეკლესიად ითვლებოდა.

მეტეხის ციხე მეფის რუსეთის თვითმპყრობელობის პერიოდში საპყრობილეს წარმოადგენდა, სადაც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის მებრძოლი არა ერთი ქართველი მამულიშვილი აწამეს.

დედაქალაქის ტაძრებს კიდევ ერთი ახალი სულიერი სავანე შეემატა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მაისის თვეში მეტეხის ტაძრის გუმბათზე ჯვარი აღიმართა. ტაძარი სიხარულით შეეგება საუკუნეების განმავლობაში იძულებით განდგომილ მრევლს.

ორასი წელი ქრისტიანული მოთმინებითა და სასოებით ელოდნენ მორწმუნენი აბო თბილელის ხატის დაბრუნებას ტაძარში, იმედს არ ჰკარგავდნენ, რომ უფლის შეწევნით კვლავ აღავლენდნენ ლოცვას ღვთისმშობლისადმი, იხილავდნენ წმიდა შუშანიკის სასწაულმოქმედ საფლავს, რომლის გარედან შემოვლითაც კი იკურნებოდნენ სნეულნი.

როგორც ტაძრის წინამძღოლმა მამა დიმიტრიმ აღნიშნა: „უსაზღვროა მორწმუნეთა სიხარული ტაძრის განახლების გამო. მრევლის რწმენისა და მადლიერების დასტურია მათი სიმრავლე ყოველდღიურ წირვა-ლოცვაზე. ტაძარში დასვენებული ხატების ძირითადი ნაწილი მათი შემოწირულია“.

ტაძრის საკურთხეველს ამშვენებს მოზაიკით შესრულებული გელათის ღვთისმშობელი და ორი მთავარანგელოზი მიქაელი და გაბრიელი. ტაძრის შუაში დასვენებულია ბეთანიის მონასტრის მიერ შემოწირული წმ. შუშანიკის ტროპარი და კონდაკი.

„ყოველ კვირა დღეს, — განაგრძობს მამა დიმიტრი,— ვატარებთ სავედრებელ პარაკლისს წმიდა შუშანიკისა მიმართ, რასაც განსაკუთრებული მადლი ახლავს. ტაძრის დღესასწაულად დადგენილია ღვთისმშობლის დღე 21 სექტემბერი. წმ. შუშანიკის დღეს კი აღვნიშნავთ 10 სექტემბერს“.

ტაძარში შესულნი მუხლს იყრიან წმ. შუშანიკის საფლავთან.

დედოფლის დიდ სულიერ სიწმიდესა და მის მოწამეობრივ აღსასრულს ერთხელ კიდევ გვახსენებს წმ. შუშანიკის ტროპარი და კონდაკი.

**ტროპარი**

**„წამებისა გვირგვინითა შეიმკვე მეუღლისა შენისგან, დედუფალო, წმიდაო, შუშანიკ და წარმავალისა დედოფლობისა წილ მოიგე სუფევაჲ წარუვალი და აწ კადნიერად მდგომარე ხარ სიძისა შენისა, უკვდავის ქრისტესა, მეოხ გვყავ მაქებელთა შენთა, სანატრელო.**

**კონდაკი**

**დღეს მოხარულ არს ერი ქართველთა ხსენებისა შენისათვის დედუფალო, წმიდაო შუშანიკ და ღვაწლთა შენთა სიმრავლისა მაქებელნი ვითხოვთ ქრისტესგან მეოხებითა შენითა სოფლისათვის დიდსა წყალობასა.**

რაოდენ სასიხარულოა, რომ ღვთის შეწევნით საქართველოს ეკლესიას და ქართველ მორწმუნეთ მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრის სახით რწმენის, სიყვარულის და იმედის კიდევ ერთი სავანე დაუბრუნდა.

**მ. ჟართველიშვილი**

# ილიაობა ყვარელში

20 ივლისი, ახალი სტილით 2 აგვისტო ქუხილის დიდი მბრძანებლის, ილია თეზბიტელის დღეა. ჭავჭავაძეების კარის პატარა ეკლესიაში ამ დღეს მუდამ საზეიმო ლოცვა იდგა, იკითხებოდა წმიდა სახარება, ინთებოდა სანთელი... ხალხი კი ტაძრის სიმცირის გამო შიგ რომ ვერ აღწევდა, მის ირგვლივ მუხლმოდრეკით შესთხოვდა ქვეყნის შემოქმედს მშვიდობასა და კეთილდღეობას, ასე რომ აკლდა ამ კუთხეს. სწორედ სახარების რწმენით იგვრიებდნენ აქ საუკუნეთა მანძილზე გარშემორტყმულ მტერს... ყვარელ-შილდის მხარე, სადაც XVII–XVIII საუკუნეებში მკვიდრობდა ჭავჭავაძეთა გვარის მთავარი შტო, წარმოადგენდა სანაპირო კუთხეს, რომელიც საინგილოსთან ერთად იცავდა კახეთს დაღესტნის მთიელთა თუ ირანის შემოტევებისაგან. ალბათ სწორედ საზღვარზე მონაპირეობამ გამოიმუშავა ამ მუდამ მტრის დასახვედრად მზადმყოფი ხალხის შეუდრეკელი, რაინდული სული. იმ ქარიშხლიან ეპოქებში ამ მხარის მკვიდრთ არა შემთხვევით, სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლთა პირველ რიგებში ვხედავთ... ხოლო სამშობლოსათვის თავდადებული, ქრისტეს სარწმუნოებისთვისაც თავდადებული იყო. ბევრი შეეწირა ამ წმიდა ვალს ჭავჭავაძიანთ გვარიდანაც...

„თუ ვისმეს სამართლიანად ეთქმის, რომ თვით დაიწვნენ და სხვას კი გზა გაუნათესო, ეს ჩვენს მამა-პაპას ეთქმის და მადლობელნი შვილნი ლმობიერებით პირქვე უნდა დავემხოთ მათ საფლავთა წინაშე და ვუგალობოთ დიდება დიდებულთა და ქება ქებულთა“. წერდა დიდი ილია, ილია მართალი.

შემონახულია მრავალი წერილობითი ცნობა, მოგონება, სურათი, რომელთა მოწმობითაც ილიაობა დღეს საგურამოში, მთელი საქართველოს წარმომადგენლობასთან ერთად, თავს იყრიდნენ ყვარლელი გლეხები, ისინი სოფლის დასაწყისიდანვე საგალობლებითა და ხალხური სიმღერებით შემოდიოდნენ მის ეზოში... ასევე შემონახულია მაღალ სამღვდელო პირთა მიმოწერანი და სურათებიც დიდ ილიასთან... ერთ-ერთ ასეთ სურათზე, სწორედ ილიაობა დღეს, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოსია აღბეჭდილი (იხილე „ჯვარი ვაზისა“ 1987. № 1).

დროთა განმავლობაში ჭავჭავაძეთა კარის პატარა ეკლესია დაუნგრევიათ (თუ თითონ დანგრეულა) და მის ადგილზე ახალი, უფრო დიდი სალოცავი აღუმართავთ. აქ ოდესღაც დიდი ილია ლოცულობდა... შემდეგ ჟამთა სიავემ და საქართველოს თავზე დატეხილმა საშინელმა რისხვამ ბევრი რამ შეცვალა... ზედიზედ დახურეს საქართველოს სალოცავები, ტაძრები, სადაც ისმოდა ღვთის წმიდა სიტყვა... სადაც ისმოდა ურთიერთსიყვარულის, მშვიდობის, ურთიერთდანდობის, რწმენის ქადაგებანი, მოსეს ათი მცნება და ცხრა ნეტარება... უსახარებოდ, უეკლესიოდ, უმოძღვროდ დარჩენილი მრევლი თანდათან გაუცხოვდა, მაგრამ დიდია ღვთის განგება... ჟამი მოვიდა, და კვლავ იხსნება ეკლესიები... კვლავ რეკენ ზარები... ჯერ სუსტად, მაგრამ მალე მათი ხმა უფრო გაძლიერდება, უფრო დიდ სიცოცხლესა და ძალახ მოიკრებს.

ყვარლის ცენტრში, ილიასეულ კოშკთან, მის სახლმუზეუმთან გზის ნაპირზე დგას ჭავჭავაძიანთ კარის ეკლესია... წლების შემდეგ მორწმუნეთათვის პირველად გახსნეს მისი კარი ილიაობა დღეს... დიდძალი ხალხი, მორწმუნენიც თუ ცნობისმოყვარენიც, ახალგაზრდებიც, ბავშვებიც, სანთლებით ხელში, დაუსრულებლად მოიწევდნენ ღვთის სახლისაკენ. ხოლო მოშლილ, უკანკელო ტრაზეპთან იდგა თვით საქართველოს კათოლი-

კოს-პატრიარქი, დიდი მეუფე ი ლ ი ა II, იდგნენ მიტროპოლიტნი, ეპისკოპოსნი, სამღვდელონი... იდგნენ მღელვარებით, და ამ მღელვარების გამო ქართველნი სამღვდელონი ზოგჯერ თვალში გაბრწყინებული ცრემლითაც აღავლენდნენ წმიდა ლოცვებს სრულიად საქართველოსა და ამ კუთხის მცხოვრებთა მშვიდობისა და ურთიერთსიყვარულისათვის.

„ჰმადლობდეთ უფალსა...“ — ისმოდა პატრიარქის ხმა... პატრიარქმა აკურთხა ტაძარი, ნაკურთხი წყალი ასხურა მის კედლებს, იატაკს... დაასვენა ილიას ხატი, დანთო კელაპტრები, შემოიტანა და დაჰკიდა ხატები.

სულ მალე ტაძარში განაწესებენ მღვდელს, აღდგება წირვა-ლოცვა... აღდგება საეკლესიო გალობა... და მორწმუნენი კვლავ დაუბრუნდებიან დაქვრივებულ თავის ეკლესიას.

ტკივილით შევყურებდით ტაძრის თეთრად შელესილ კედლებს, აყრილ ქვაფენილს, თვით ტაძარს, რომელიც ღვთის დიდი წყალობით მაინც უვნებლად დგას და სულში იმკვიდრებდა იმედის კეთილი სხივი...

წირვის შემდგომ კათოლიკოს-პატრიარქი, მისი თანმხლები ეპისკოპოსები და სამღვდელონი ეწვივნენ ილია მართლის სახლ-მუზეუმს... დაათვალიერეს ილიასეული კარ-მიდამო, ავიდნენ კოშკზე, სადაც დაბადებულა ქართველი ერის დიდი მამა...

ბევრი სამუშაო ჩაუტარებიათ რაიონის ხელმძღვანელობას და მუზეუმის მუშაკებს. ყოველივეს ილიასდროინდელი სახე მიუღია. გამოუთავისუფლებიათ კოშკი შემდეგში საგამოფენოდ მიშენებული ოთახებისაგან, აღუდგენიათ ილიას მამაპაპეული სახლი და მარანი.

ილიას დროს ეზოში ხეხილის ბაღი ყოფილა გაშენებული. ბევრი ხე თვითონ ილიას ჩაურგავს, მაგრამ ისინი დიდი ხნის წინათ მოუჭრიათ. წარსულის მოწმედ მხოლოდ ერთი ბებერი კაკლის ხე დგას... დგას ტოტებგაშლილი, კანდამსკდარი, მაგრამ დგას მეფურად.

დიდი სიფაქიზითა და სიყვარულითაა აღდგენილი ეზოში ყოველივე, რომელსაც პოეტის ახლად აშენებული ორსართულიანი მემორიალი აგვირგვინებს. ნივთებსაც აქვთ თავიანთი ბედი... მღელვარებით ავსებს ადამიანის სულს ამ მემორიალის დათვალიერება. თავისი ერის ბედზე მზრუნველი ადამიანების სახეთა ხელახალი ხილვა, რომლის ცენტრში მარად და ყველგან დიდი ილია ჭავჭავაძე დგას.

დაუვიწყარია მისი სურათების, ნივთების, წიგნების, ხელნაწერების, მისი კალმის ხილვა... ამაღელვებელია დიდი აკაკის სიტყვები: „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ მასთან ერთად შენც უკვდავი იქნები, და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარ ნახავ!!.

აქვეა ხალხი... ყვარლელი გლეხები, ასე რომ უყვარდა ილიას... ილიას პირველი მასწავლებელი, დედასთან ერთად, სოფლის მღვდელი ყოფილა..

აქვეა ილიას ავტობიოგრაფია...

„... სწავლა რვა წლისამ დავიწყე ჩვენს სოფლისავე მთავართან ქართულის წერა-კითხვითა. მთავარმა ძალიან კარგად იცოდა ქართული და სახელი ჰქონდა განთქმული სღმრთო წიგნების კარგი მკითხველისა. ხოლო უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, რომ მომხიბვლელი თქმა იცოდა ამბებისა. გვიამბობდა მდაბიურად და ბავშვებისათვის ადვილად გასაგების ენით უფრო საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა, ვის რა გმირობა მოემოქმედნა, ვის რა ფალავნობა გაეწია, ვის რა ღვაწლი და სიკეთე დაეთესა სამშობლოსა და სარწმუნოების სასარგებლოდ და დასაცველად.

ბევრი ამ ამბავთაგან ღრმად ჩამრჩა გულში, და ერთი მათ შორის — „დიმიტრი თავდადებული“ — თემად გამოვიყენე მრავალი წლის შემდეგ. ერთი კიდევ პატარა საშობაო მოთხრობად დავწერე. ჩემს „გლახის ნაამბობში“ ზოგიერთს ადგილს ცხადად ამჩნევია კვალი მთავრის ამბების გავლენისა...“.

გულმხურვალედ და შთაგონებით მოიხილა ქართველმა სამღვდელოებამ ყოველივე, ხოლო მარანში, სადაც მუზეუმის დირექტორმა ილო ბეროშვილმა პირველი ზედაშე მოხადა, დალოცეს საქართველო, ქართველი ერი, ყვარელი, ხალხი, რომელიც წმიდათაწმიდად ინახავს მის მცნებას, — დიდი ილიას, ილია მართლის ანდერძს...

კათოლიკოს-პატრიარქმა აკურთხა ქვევრები, რომელთაც უწოდეს ილია წინასწარმეტყველის, ილია მართლისა და ოთარაანთ ქვრივის სახელები.

შემდეგ ტბის პირას, საიდანაც მთელი თავისი სიმშვენიერით მოჩანს ადამიანის თვალით ყოველდღე ხილული სასწაული — ალაზნის ველი, გაიმართა სოფლისა და რაიონის მშრომელების შეხვედრა ქართველ სამღვდელოებასთან. შეხვედრას უძღვებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებული საქართველოს რესპუბლიკაში ანზორ წიკლაური.

ამ შეხვედრას თბილისელ მორწმუნეებთან ერთად დაესწრო ისრაელიდან სტუმრად ჩამოსული ებრაელი მერაბ მიხელაშვილი. მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ განსაკუთრებული სიყვარულით წარუდგინა იგი მასპინძლებს და აღნიშნა: „მე ისრაელში პირველი ქრისტიანი პატრიარქი ვიყავი, ვის გასაცილებლადაც მთელი იქაური ებრაელობა მოვიდა და ამან თვით ისრაელის მთავრობაც გააკვირვა, მაშინ მე მათ ვუთხარი, საქართველო მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ებრაელებს დევნა არ განუცდიათ, ჩვენ ძმურად გვიყვარს ერთმანეთი-მეთქი...

საპასუხო სიტყვაში მერაბ მიხელაშვილმა აღნიშნა: „ჩვენ აქ ქართველ ებრაელებს გვეძახდნენ, იქ კი ქართველებს გვეძახიან და ეს ძალიან გვსიამოვნებს; საქართველო ჩვენი სამშობლოა და გვინდა გადავიხადოთ ამ სიყვარულის ვალი. აქედან წასული ებრაელების სახელით გპირდებით: ყველაფერს ვიღონებთ, რომ ჯვარის მონასტერი, ასე რომ ენატრება საქართველოს, აუცილებლად თავის კანონიერ პატრონს დაუბრუნდეს.

ჭეშმარიტად, ღვთივნათელი და ამაღლებული დღეა 20 ივლისი (2 აგვისტო). დღე დიდი ილია თეზბიტელისა, დღე ილია მართლისა, დღე საქართველოსა და მსოფლიოს მშვიდობისათვის დაუცხრომლად მლოცველი უწმიდესი პატრიარქის, ილია II-ისა.

# რეკენ სამრეკლოს ზარები

* * *

ზუგდიდის გორაზე, საიდან მთელი ქალაქი გადაგეშლება თვალწინ, მაცხოვრის კარის (მაცხვარიშ კარი) ეკლესია დგას. იგი XII—XIV საუკუნის მიჯნაზეა აშენებული. დღეს კედლებშემოფხეკილი, პირწმინდად გაძარცული, მაგრამ როგორც ისტორიული, ისე ხუროთმოძღვრული ღირებულებით, ერთ-ერთი საინტერესო ძეგლია და, რაც მთავარია, ტაძარს კვლავ თავისი დანიშნულება და უფლებამოსილება დაუბრუნდა.

ათობით წლების შემდეგ, 1987 წლის 30 ნოემბერს მაცხოვრის ეკლესია მოქმედი გახდა, ჩატარდა პირველი წირვა. მას შემდეგ მაცხოვრის კარის ეკლესია ყოველ დილა-საღამოს მრევლს უხმობს.

და, არა მარტო ზუგდიდში... ყაზბეგში, დმანისში, ბოლნისში, უდეში, საფარაში, ვარძიაში გაისმის ეს ხმა დღეს.

ეს ხომ სხვა არაფერია, თუ არა — ძალა სიკეთისა, სიყვარულისა, რწმენისა... ეს ხმა სნეულთა, უძლურთა მკურნალიცაა. დაკარგული რწმენის, განქარული იმედის ხელახალი პოვნაა. ეს ხმა, — სიკეთისა და სათნოების მაუწყებელია.

გიხაროდენ!

ნუმცა ვემსგავსებით, ძმანო,
ხეთა ზამთრისათა უნაყოფოთა,
ფურცელ-დაცვნებულთა ბელეკონთა,
რათა არა მოვიღოთ ჩუენ პატიჟი იგი
უნაყოფოჲსა ლეღვსაჲ,
რომელი წყევით განჴმო ქრისტემან,
არამედ ნაყოფიერ ვიქმნნეთ!

**იოანე პინჩხი**

# ნათლისღების 1000 წელი

**რ**უსეთის ნათლისღების 1000 წლისთავთან დაკავშირებით ქრისტიანული მსოფლიოს წარმომადგენლებთან ერთად ამ დიდმნიშვნელოვან ფაქტს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც გამოეხმაურა. ამა წლის 20 მაისს საპატრიარქო რეზიდენციაში მოეწყო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიაც ქართული სამღვდელოებისა და საპატრიარქოს თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სომხური, კათოლიკური, ებრაელთა სამღვდელოების წარმომადგენლებმა, ქართველმა მეცნიერებმა.

კონფერენცია გახსნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

რუსული ეკლესიის საიუბილეო თარიღზე ილაპარაკეს მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორმა, წილკნელმა ეპისკოპოსმა ზოსიმემ, სომხური გრიგორიანული ეკლესიის ეპარქიის მმართველმა საქართველოში-ეპისკოპოსმა გეორქმა, კათოლიკური ტაძრის წინამძღვარმა იან ხნეჟინსკიმ.

თემაზე: „რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობის ისტორიიდან“ (XI—XVII ს. ს.) მოხსენებით გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ნოდარ ასათიანი.

ამავე უნივერსიტეტის დოცენტმა ნათელა ვაჩნაძემ წაიკითხა მოხსენება „დავით არსენიშვილი და რუსული კულტურის ძეგლები“.

თემაზე: „ოპტის უდაბნოს მნიშვნელობა რუსეთის სულიერ ცხოვრებაში“, ისაუბრა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა ვალენტინ ნიკიტინმა.

ინტერესით მოისმინეს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული კულტურისა და ისტორიის ძეგლების არქეოლოგიური კვლევა-ძიების საპრობლემო ჯგუფების ხელმძღვანელის, გივი ღამბაშიძის მოხსენება: „XVII—XVIII საუკუნეების დონის მონასტრის ქართული სავანე (საეკლესიო არქეოლოგია და ისტორია)“.

საქართველოს საპატრიარქოს თანამშრომელმა ანდრია ბოროდამ წაიკითხა მოხსენება: „ქართული და რუსული ხატწერის სულიერი კავშირები“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა და მოკლე სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებულის მოადგილე საქართველოს სს რესპუბლიკაში ბატონი ილია რურუა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, რომელმაც შეაჯამა კონფერენციის მუშაობა, მადლობა გადაუხადა მომხსენებლებს და გამომსვლელებს, ილაპარაკა ეკლესიათა ურთიერთმეგობრობის აუცილებლობაზე და თავისი გამოსვლა დაამთავრა გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებით საკუთარი სხეულისადმი: „შენ ხარ ცეცხლი, რომელიც აციებს“. ღვთის მადლით, ეს ცეცხლი უკვე გავლილია: — ბრძანა მისმა უწმიდესობამ — ჩვენ არ გავიყინენით, ყველანი გადაგვარჩინა მადლმა. მან შეგვინარჩუნა სიკეთის ძალა და ეს ძალა დაგვიფარავს მომავალშიც“.

კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების გამოქვეყნებას ვიწყებთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტის, ნათელა ვაჩნაძის მოხსენებით დავით არსენიშვილზე (იხ. გვ. 23).

კონფერენცია თბილისის საპატრიარქო რეზიდენციაში.

## ეპისკოპოს ზოსიმეს სიტყვა

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, ყოვლადსამღვდელო მეუფენო, მაღალღირსნო და პატიოსანო მამანო, ძვირფასო სტუმრებო, პატივცემულო საზოგადოებავ.

1000 წელი გვაშორებს იმ კურთხეულ დროს, როცა მოხდა კიევის რუსეთის ქრისტიანობაზე მოქცევა. 1000 წლის წინ ეზიარა რუსი ხალხი კაცთათვის განხორციელებულ ღვთის სიტყვას და მით განათლდა. 1000 წლის წინ მოხდა რუსეთისა და მისი ხალხის ხელახალი დაბადება. ეს იყო ახალი სულიერი ცხოვრებისათვის შობა, აღორძინება და განახლება. ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი იყო რუსეთისათვის 988 წლის ნათლობა: სულიერ ფერისცვალობას მოჰყვა ქვეყნის გაერთიანება, მისი პოლიტიკური და ეკონომიური აღმავლობა. ქრისტიანულმა სარწმუნოებამ რუსეთი მსოფლიოს ერთ-ერთ ძლიერ და განვითარებულ სახელმწიფოდ გადააქცია.

სამყაროში ღვთის ნების გარეშე არაფერი ხდება. არც რუსეთის მოქცევა შეიძლებოდა მომხდარიყო გარეშე ღვთის კურთხევისა. რუსეთის გაქრისტიანება მოხდა ცოტათი ადრე, ვიდრე ერთი წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია დასავლეთის კათოლიკურ, და აღმოსავლეთის — მართლმადიდებლურ ეკლესიებად გაიყოფოდა. მსოფლიო ეკლესიის განყოფა საფრთხეს უქმნიდა ჭეშმარიტ სჯულსა და სარწმუნოებას. უფალმა ამ მნიშვნელოვანი დანაკარგის შევსება სწორედ დიდი რუსეთის ქრისტიანობაზე მოქცევით მოახდინა. მზარდი ქრისტიანული რუსეთი უნდა გამხდარიყო ის რეალური ძალა, რომელიც შემდგომ ქრისტიანობის მტრებს წინ აღუდგებოდა და მართლმადიდებლურ სარწმუნოებას ერთ-ერთ მტკიცე ბურჯად დაუდგებოდა.

განსაკუთრებით გაიზარდა ქრისტიანული რუსეთის როლი მას შემდეგ, რაც დაეცა ბიზანტიის ძლევამოსილი იმპერია. ამიტომაც შეჰყურებდა მართლმადიდებლურ რუსეთს იმედის თვალით მაჰმადიანური საფრთხის წინაშე მდგარი ბევრი ქრისტიანული ქვეყანა. საქართველოც ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ქრისტიანული სარწმუნოების გადარჩენის მიზნით თავიანთი ბედი ერთმორწმუნე რუსეთს დაუკავშირა. დიახ, სწორედ მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვა და გადარჩენა ედო საფუძვლად იმ ისტორიულ ტრაქტატს, რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში რომ გაფორმდა. ქრისტეს ჯვარმა და წმიდა სახარებამ დაგვაახლოვა ჩვენ. ამიტომაცაა, რომ რუსეთის გაქრისტიანების 1000 წლის დღესასწაულს ჩვენი ერი და წმიდა ეკლესია თვლის დიდ დღესასწაულად. და არა მარტო ჩვენი ეკლესია, არამედ მსოფლიო ეკლესია დღესასწაულობს მას, რამეთუ ერთი და განუყოფელია ჭეშმარიტი ეკლესია. როგორც ერთია უფალი ჩვენი იესო ქრისტე. დღეს, უძველესი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქო, აწყობს რა ამ სახელოვანი თარიღისადმი მიძღვნილ კონფერენციას, გამოხატავს მეზობელი ეკლესიისადმი ძმურ სიყვარულსა და პატივისცემას. დიდად გვახარებს, რომ ჩვენს კონფერენციას ესწრებიან და მასში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ძმები მოძმე რუსეთისა და სომხეთის ეკლესიებიდან. მობრძანებისათვის ვუხდით მათ მადლობას და ვუსურვებთ სიხარულსა და წარმატებას. მივესალ-

მებით ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც, რომელთა მონაწილეობა კიდევ უფრო საზეიმოსა და მნიშვნელოვანს ხდის ჩვენი კონფერენციის მუშაობას. მადლობას ვუხდით მობრძანებისათვის ყველას, რომელთაც გამოხატეს ჩვენი მოძმე ეკლესიის სახელოვანი თარიღისადმი პატივისცემა.

ჩვენი დღევანდელი შეკრება ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომიდან სულ რაღაც ერთი კვირის შემდგომ ხდება. ეკლესია უგალობს საზეიმო საგალობლებს ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას, — სიკვდილის ძლევასა და სიცოცხლის გამარჯვებას. ამიტომ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოგილოცოთ ყველას ეს ბრწყინვალე დღესასწაული:

ქ რ ი ს ტ ე ა ღ ს დ გ ა!

მკვდრეთით აღდგომილმა მაცხოვარმა დალოცოს ქართული და რუსული ეკლესიების ურთიერთობა. ყოვლად წმიდა ღვთისმშობელმა გადააფაროს ჩვენს ეკლესიებს თავისი კალთა.

ათასი წლის წინ, 988 წელს, კიევის რუსეთის სახელმწიფოებრივ და კულტურულ ცენტრში ქალაქ კიევში, მდინარე დნეპრში, როგორც რუსეთის იორდანეში წმიდა მოციქულთასწორ მთავარ ვლადიმირის დროს, მოხდა უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი, რომელიც ისტორიაში შევიდა რუსეთის მონათვლის სახელწოდებით. შევიდნენ რა დნეპრის წყალში, რუსნი ეზიარნენ „წყლითა და სულითა“ (ინ. 3,5) ხელახალი დაბადების საიდუმლოს, გახდნენ ძენი ღვთისანი და აღთქმული ზეციური სასუფევლის მემკვიდრენი. ქრისტიანობა რუსეთში სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად იქნა გამოცხადებული. ჩამოყალიბდა რუსული მართლმადიდებელი ეკლესია აღმოსავლურ-ბიზანტიური ტრადიციებით. სწორედ ქრისტიანულმა რწმენამ და ეკლესიამ განსაზღვრა რუსეთის დიდი მომავალი. მან გარდაქმნა სასიკეთოდ რუსი ხალხი, რომელმაც შემდგომ შექმნა მდიდარი ისტორია და კულტურა, დაიკავა მოწინავე ადგილი მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროში.

ამ დიდებულ თარიღს მიეძღვნა საიუბილეო ზეიმი, რომელიც შედგა მიმდინარე წლის 4-იდან 17 ივნისამდე ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში, აგრეთვე კიევში, ლენინგრადსა და ვლადიმირში. მთელი ქრისტიანული მსოფლიო იღებდა მონაწილეობას ამ ზეიმში. ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის ოთხმოცდაათზე მეტი ქვეყანა იყო დღესასწაულზე წარმოდგენილი. ფართოდ იქნა დღესასაწული გაშუქებული როგორც ადგილობრივი, ისე უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციას მეთაურობდა უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავმჯდომარე, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი, მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი, წილკნელ-ურბნელი ეპისკოპოსი ზოსიმე, სიონის საპატრიარქო ტაძრის პროტოპრესვიტერი გურამ შალამბერიძე, დიაკონი ამირან ამირანაშვილი, საპატრიარქოს საგარეო განყოფილების მდივანი ბორის გაგუა და მოსკოვის სასულიერო აკადემიის სტუდენტი რამაზ გიორგაძე.

4 ივნისს, შაბათ საღამოს, სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ დასწრებოდნენ ღამისთევის ლოცვას მოსკოვის ტაძრებში. საქართველოს ეკლესიის დელეგაცია მიწვეული იქნა მოსკოვის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში, რომლის წინამძღვარმაც საქართველოს ეკლესიის პატრიარქს მიმართა მისასალმებელი სიტყვით. ლოცვის დასასრულს უწმიდესმა პატრიარქმა ილიამ დალოცა ტაძარში შეკრებილნი და მათ რუსეთის გაქრისტიანების 1000 წლის დღესასწაული მიულოცა.

კვირას, 5 ივნისს, ყოველთა წმიდათა კვირიაკეს, მოსკოვის ღვთისგანცხადების საპატრიარქო ტაძარში საზეიმო წირვა შეასრულა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა პიმენმა, წმიდა სინოდის წევრი მღვდელმთავრების თანამწირველობით. წირვის შემდეგ გადახდილ იქნა დიდი პანაშვიდი მათ სულთა საოხად, რომელნიც მოღვაწეობდნენ წარსულში და დაშვრნენ ქრისტეს ეკლესიისათვის. წირვას დაესწრნენ დღესასწაულზე ჩამოსული სტუმრები, რომელთაც უწმიდესმა პატრიარქმა პიმენმა მიმართა მისასალმებელი სიტყვით. დღის მეორე ნახევარში სტუმრებმა და მასპინძლებმა კრემლის კედელთან გვირგვინებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

ორშაბათს, 6 ივნისს, ზეიმის მონაწილენი გაემგზავრნენ წმიდა სამება-სერგის ლავრაში, ზაგორსკში, სადაც გაიხსნა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კრება, მიძღვნილი რუსეთის გაქრისტიანების ათასი წლისთავისადმი. კრება გახსნა უწმიდესმა პატრიარქმა პიმენმა. წაკითხული იქნა მილოცვები და მისალმებები. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით კრებაზე სიტყვით გამოვიდა მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II, რომელმაც რუსეთის ეკლესიას მიულოცა ათასი წლის დღესასწაული და უსურვა მშვიდობიანი მეორე ათასი წელი.

კრებამ ოთხ დღეს იმუშავა, განიხილეს ეკლესიაში მოქმედი დებულება და მასში შეიტანა მთელი რიგი ცვლილებანი. ბოლოს საზეიმოდ მოხდა კანონიზაცია ცხრა წმიდანისა, რასაც ზეიმის მონაწილენი შეხვდნენ უდიდესი სიხარულით. ეს წმიდანებია: წმ. დიმიტრი დონელი (1389), ღირსი ანდრია რუბლიოვი (XV), ღირსი მაქსიმე ბერძენი (1556), წმ. მიტროპოლიტი მოსკოვისა მაკარი (1563), ღირსი პაისი ველიჩკოვსკი (1794), ნეტარი ქსენია პეტერბურგელი (1803), წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი (1867), ღირსი ამბროსი ოპტელი (1891) და წმ. თეოფანე დაყუდებული (1894). საპატრიარქო გუნდის მიერ საზეიმოდ შესრულდა ახლადკანონირებული წმიდანების სადიდებლები და ტროპარ-კონდაკები. დადგინდა მათი მოსახსენებელი დღეები.

10 ივნისს დიდ თეატრში შედგა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი რუსეთის ეკლესიის სახელოვანი იუბილესადმი. სხდომას მთავრობის წარმომადგენელნიც დაესწრნენ. საზეიმო ნაწილის შემდგომ შესდგა დიდი კონცერტი, რომელშიც ხელოვნების ოსტატებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ მოსკოვის სასულიერო აკადემია-სემინარიისა და სამება-სერგის ლავრის გუნდები.

11 ივნისს, შაბათ საღამოს, ზეიმის მონაწილენი მწუხრის ღვთისმსახურებაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი იქნენ მოსკოვის ეკლესია-მონასტრებში. საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ლოცვას დაესწრო ქრისტეს აღდგომის ტაძარში. ლოცვის დასასრულს მოსკოვის სასულიერო აკადემიას პროფესორმა, პროტოპრესვიტერმა ვიტალი ბოროვოიმ კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს ტაძრის სამღვდელოებისა და მრევლის სახელით მიმართა სიტყვით, რომელშიც კეთილად მოიხსენია რუსეთსა და საქართველოს შორის ოდითგან არსებული ურთიერთობანი. საპასუხო სიტყვაში კათოლიკოს-პატრიარქმა-ილიამ ტაძარში შეკრებილთ მიულოცა რუსეთის გაქრისტიანების ათასი წელი და რუსეთის ეკლესიასა და მთელ რუს ხალხს უსურვა სულიერი სიხარული და გამარჯვებები.

12 ივნისს, კვირას, წმიდა დანიელის მონასტერში, ღია ცის ქვეშ, შესრულდა სადღესასწაულო წირვა, რომელშიც მონაწილეობდნენ მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურნი და რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდის მღვდელმთავრები. წირვის დასასრულს მაცხოვრის წმიდა ხორცსა და სისხლს ეზიარა ყველა მართლმადიდებელი სასულიერო პირი. წირვის შემდეგ შედგა მილოცვები.

მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საქართველოს ეკლესიის სახელით რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და მის მეთაურს მიულოცა დიდი დღესასწაული და გადასცა წმიდა გიორგის ქართული ხატი.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიების წარმომადგენელნიც, აგრეთვე მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს, ქრისტიანულ-სამშვიდობო კონფერენციისა და ევროპის ეკლესიათა კონფერენციის გენერალური მდივნები. სტუმრებს მიესალმა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი.

იმავე დღეს რესტორან „პრაღაში" მოსკოვის საპატრიარქომ სტუმართა პატივსაცემად მოაწყო საზეიმო მიღება, რომელმაც ჩაიარა მეგობრულ ვითარებაში.

13 ივნისს ზეიმში მონაწილე დელეგაციათა მეთაურნი კრემლში მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა რელიგიურ მოღვაწეთა აქტიურ მოღვაწეობას საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში. იმავე დღეს მოეწყო სამღვდელოების შეხვედრა პრესის წარმომადგენლებთან.

საღამოს ზეიმის მონაწილენი სამ ჯგუფად გაიყვნენ: ერთი ჯგუფი გაემგზავრა კიევში, მეორე — ლენინგრადში და მესამე ვლადიმირში. მოსკოვიდან დღესასწაულმა გადაინაცვლა რუსეთის ამ უძველეს ქალაქებში.

საქართველოს ეკლესიის პატრიარქს წილად ხვდა ეხელმძღვანელა ზეიმისათვის ვლადიმირის ეპარქიაში. ამ მიზნით საქართველოს ეკლესიის დელეგაცია 13 ივნისს საღამოს გაემგზავრა ამ უძველეს რუსულ ქალაქში. ისტორიულ საკათედრო ტაძარში შესრულდა საზეიმო წირვა, რომლის დასასრულსაც კათოლიკოს-პატრიარქმა ილიამ ვლადიმირის სამწყსოს მიულოცა რუსეთის ეკლესიის სახელოვანი დღესასწაული და სამახსოვროდ გადასცა წმიდა ნინოს ქართული ხატი.

ზეიმი ვლადიმირის ეპარქიაში გაგრძელდა 14 და 15 ივნისს. სტუმრებმა მოილოცეს ვლადიმირისა და სუზდალის უძველესი ტაძრები და ღირსშესანიშნავი ადგილები. დელეგაციათა მეთაურნი მიიღეს ქალაქის საბჭოში, სადაც გაიმართა გულთბილი საუბარი. საპატიო სტუმრებს ყველგან ხვდებოდნენ დიდი პატივისცემითა და სიყვარულით. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო შეხვედრა საეპარქიო სახლში, სადაც გამოფენილია ვლადიმირის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრების ფოტოები. მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი და ღირსეული ადგილი უკავია კათოლიკოს ანტონ II-ს, რომელიც ჟამთა ავბედობისა გამო გაიწვიეს რუსეთში და შემდგომ ამ ეპარქიის მმართველად იქნა დადგენილი. ქართველთა კათოლიკოსის სურათს როგორც სიწმიდეს, ქართველებმა ვეცით თაყვანი. შორეული წინაპრის ლოცვასა და კურთხევას ყველანი ეგრძნობდით. მისი სულისათვის უფალს შევთხოვეთ ადგილი ნათელი და განსასვენებელი.

16 ივნისს, გვიან ღამით სტუმრები დაბრუნდნენ მოსკოვში. ამით დასრულდა დღესასწაული.

რუსეთის გაქრისტიანების ათასი წლის ზეიმი ჩატარდა მეტად სასიამოვნო პერიოდში, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს საზოგადოების სასიკეთო გარდაქმნის პროცესი, რაც ასე კეთილად აისახა ეკლესიის ცხოვრებაში. დღესასწაულმა ცხადყო, რომ ეკლესია, როგორც უწინ, დღესაც არის ხალხის სამსახურში და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მომავალი ჩვენი ხალხისა იყოს უფრო მშვიდობიანი და ბედნიერი.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ეს ასე იქნება — ნათქვამია დღესასწაულზე წაკითხულ ძირითად მოხსენებაში, — რამეთუ არცა ამან სოფელმან, არცა მან სოფელმან... შემიძლოს ჩუენ განყენებად სიყუარულსა ღმრთისასა, რომელ — არს ქრისტე იესოს მიერ, უფლისა ჩუენისა" (რომ. 8, 39—40).

# სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სიტყვა, წარმოთქმული რუსეთის ნათლისღების 1000 წლისთავის ზეიმზე

თქვენო უწმიდესობავ!

ძვირფასო ძმებო და დებო!

როდესაც განვიხილავთ როგორც წარსულ, ასევე ამჟამინდელ მოვლენათა ყოფას, ჩვენ ვხედავთ საკვირველ კანონზომიერებასა და თანამიმდევრობას. დრო, როგორც ფილოსოფოსები გამოთქვამენ, არის უდიდესი მეტაფიზიკური საიდუმლო. ჯერ კიდევ არისტოტელე ამბობდა: „ბუნებაში შეუცნობელთა შორის ყველაზე შეუცნობელი არის დრო“.

კაცობრიობის კულტურის ისტორია, რელიგიური თუ ფილოსოფიური თვითშეგნება წარმოდგება გრძელი ჯაჭვის სახით, რომლის ყოველი რგოლი ძლიერად არის დაკავშირებული წინამდებარესა და მომდევნოსთან. მემკვიდრეობითობა და ურთიერთქმედება — აი მისი განვითარების მთავარი სტიმულები. იმავეს ვხედავთ რუსული ეკლესიის ათასწლოვან ისტორიაში. კიევის რუსეთის ნათლობა არ იყო მოულოდნელი, ან შემთხვევითი მოვლენა. არც ის იყო შემთხვევითი, რომ წმ. ვლადიმირმა თავისი შვილები და ხალხი კიევში მონათლა. ხალხი უკვე მზად იყო ამისათვის. კიევში ჯერ კიდევ ვლადიმირამდე, როგორც ისტორია გვამცნობს, იყო წმ. წინასწარმეტყველ ილიას სახელობის ქრისტიანული ტაძარი. ქრისტიანობის მიღებისას წარმართობა უკვე უცხო იყო რუსი ადამიანის სულისათვის. თუ ქრისტიანობის მიღებამდე მემატიანე ახასიათებს ვლადიმირს, როგორც მეომარ ადამიანს და წარმართული რელიგიის თავგამოდებულ მიმდევარს, ნათლობის შემდგომ კი მისივე თქმით, ვლადიმირი არის გარდაქმნილი, სათნო, ქრისტიანული სიყვარულის სულით გამსჭვალული. იგივე ცვლილებები მოხდა ხალხშიც. სულიერი ცხოვრება შეიცნობა ნაყოფით.

რუსული ეკლესიის ათასწლოვანი ისტორია — ეს არის ქრისტეს მიმდევრობის ათასწლოვანი გზა; ეს არის წმიდანთა დასები, ეს არის თვითმყოფადი კულტურა; ეს არის ქრისტიანული სიყვარული; ეს არის ბრძოლა საკუთარი მიწისათვის, რწმენისათვის; ეს არის სულიერ ფასეულობათა შექმნა; ეს არის ბრძოლა მათი შენარჩუნებისათვის.

დიახ, ქრისტიანობა შემოტანილი იყო ბიზანტიიდან, მაგრამ როდესაც ჩვენ განვიხილავთ ისტორიას და რუსული ეკლესიის ტრადიციებს, ვხედავთ, რომ ეს მაინც არის საკუთარი თვითგამოვლინება. და ესაა ყველაზე მთავარი. ეკლესია გახდა რუსი ხალხის სული და იგი რჩება ამად.

საქართველოს ეკლესია სიყვარულით იზიარებს თავისი მოძმე რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის სიხარულს. ჩვენი ეკლესია, საქართველოს მორწმუნეები, ისევე, როგორც მორწმუნეები რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისა, აქტიურად ჩაებნენ ჩვენი ქვეყნის სულიერი და მატერიალური განახლების საქმეში; ეს არის მუდმივი სწრაფვა ღვთის სასუფევლის შესაქმნელად ჩვენშივე და მშვიდობისა ჩვენს გარშემო.

მე გულითადად გილოცავთ თქვენ, თქვენო უწმიდესობავ, უსამღვდელოესნო მწყემსთავარნო, ვულოცავ მთელ რუსულ ეკლესიას დიდებულ ათას წლისთავს.

კურთხეული და მშვიდობიანი ყოფილიყოს მეორე ათასწლეული. „გზათა სიმართლისა და წყალობისათა პოონ ცხორებაჲ, შეწყალებაჲ და დიდებაჲ“.

(იგავთა 21,21).



ა. რუბლიოვი. წმიდა სამება.

# დავით არსენიშვილი

**სამწუხაროდ, საქართველოშიც ცუდად იცნობენ დავით არსენიშვილის შემოქმედებას. მას კი, დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული კულტურის, კერძოდ, ქართული მუზეუმების შექმნისა და მოწესრიგების საქმეში... ამ მხრივ, თუნდაც მხოლოდ თბილისის სათეატრო მუზეუმის დასახელებაც კმარა. დავით არსენიშვილი იყო რეჟისორი, კრიტიკოსი, მკვლევარი... კითხულობდა ლექციებს ქართული ხელოვნების საკითხებზე, ქადაგებდა სიძველეთა დაცვის საჭიროებას. დიდად მნიშვნელოვანი ფაქტია: 1928—29 წლებში მან მოაწყო გრიბოედოვის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომლის მასალები მთლიანად საფუძვლად დაედო საქართველოს ლიტერატურის მუზეუმის შექმნას. მართლაც ძალზე მრავალმხრივი და ნაყოფიერია მისი ღვაწლი. იგი უკვე კარგა ხანია, მოითხოვს თავის ღირსეულ შემფასებელს... მოითხოვს წიგნს, რომელშიც სრულყოფილად წარმოსდგება ამ შესანიშნავი ადამიანის სახე. სასიხარულოა, რომ ეს წიგნი უკვე თითქმის დაწერილია. მკითხველს ვთავაზობთ ერთ თავს ამ წიგნიდან.**

**„განვეკრძალნეთ ყამისა მისთჳს საზარელისა, ოდეს განეშორებოდის სული ჴორცთაგან. რამეთუ დიდ არს შიში, ოდეს წარიყვანონ სული და მოაგებდენ მისაგებელსა საქმეთა მისთასა“**

**(ცხორებაჲ იოანე ზედაზნელისაჲ)**

„საქართველო — ეს უპირველეს ყოვლისა — ქართველებია. და თუმც საქართველოს ბუნება ბედსვიანიცაა, მრისხანეც, მხიარულიც და ტრაგიკულიც, — ადამიანებს საქართველოში იგი ვერ ჩრდილავს. ქართველები საქართველოში ყოველთვის წინა ხაზზე არიან: მთები მათი თანამგზავრებია.

ქართველთა შორის ქართველი მე გავიცანი მოსკოვში ოცდაათი წლის წინ. ეს გახლდათ დავით არსენიშვილი — ახლა მსოფლიოში ცნობილი ანდრეი რუბლიოვის სახელობის ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმის ორგანიზატორი და დამაარსებელი. სამუდამოდ ჩამებეჭდა მეხსიერებაში მისი სახე. უკვე არცთუ ახალგაზრდა კაცი, ამასთან არახელოვნებათმცოდნე, მაგრამ „ხელოვნების მიმართ ალღოიანი, არსენიშვილი გაიტაცა ძველმა რუსულმა ხელოვნებამ სწორედ იმ ხანად, როდესაც ეს (ძველი რუსული ხელოვნება) ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ნაკლებ ფასობდა — ორმოციანი წლების დამლევს და ორმოცდაათიანის დასაწყისში.

ისტ. მეცნ. კანდიდატი ნათელა ვაჩნაძე.

იგი მოსკოვში სრულ სიღატაკეში ცხოვრობდა — უბინაოდ, უფულოდ, მაგრამ ამაყი და შეუვალი. ღამეს ათევდა სადღაც, დაწესებულების ოთახში, სკამ-ლოგინზე, ჰქონდა მხოლოდ ერთი, მაგრამ ყოველთვის საგულდაგულოდ გაუთოვებული კოსტუმი, ყველაზე უფრო მაღალ უფროსობას კი ელაპარაკებოდა, როგორც მათი სწორი. იგი ყოველთვის მოითხოვდა, მაგრამ არასდროს არ ითხოვდა. თავს გრძნობდა ხელისუფლად. ასეთ შეგრძნებას მასში ძველი რუსული ხელოვნებისადმი რაინდული მსახურება ჰბადებდა. დიახ, იგი გახლდათ ძველი რუსული ხელოვნების მსახური, და ამიტომაც იყო ისეთი იმ ადამიანებთან, ვისაც არ ესმოდა ეს ხელოვნება; მაგრამ — მოკრძალებული და თავმდაბალი მათთან, ვინც ცოდნით მასზე მაღლა იდგა. იგი სწავლობდა თავისი ქვეშევრდომებისაგან და ჰმორჩილებდა მათ, რომელთა არსებებში გრძნობდა მისსამებრ „იდეებით წვას“, მაგრამ სრულიად არ დაირცხვენდა იმ „უფროსებისა“ და „თავ-

მჯდომარეების“ წინაშე, რომელთაც უფლებამოსილებად არ მიიჩნევდა გადაეწყვიტათ რუსული ხელოვნების ბედიღბალი.

ცხოვრობდა ერთი აზრით — დაეარსებინა მოსკოვში, ანდრონიკეს მონასტრის ნანგრევებზე, სადაც ცხოვრობდა და მიიცვალა რუბლიოვი, ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმი. რამდენად ძნელია შექმნა რაღაც ახალი, ვიდრე მიიღო უკვე არსებულის გამგებლობის სადავე! კეთილშობილება, რაინდობა, თავგანწირვა, საკუთარი ღირსების, უმაღლესი იდეის მსახურების შეგნება, — აი, რა გახდა მისი სახით ჩემს თვალში მთავარი ქართველთა წარმოსასახავად.

ქართული ხასიათის საუკუნო და საუკეთესო ნიშანსვეტად სამუდამოდ დარჩება ქართველი კაცის მიერ მოსკოვში დაარსებული ანდრეი რუბლიოვის სახელობის ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმი.

მდაბალი სალამი დავით არსენიშვილს. თავისთავად ცხადია, იგი არ არის ერთადერთი ქართველი, ვინაც მე მთელი გულით მიყვარს...“

დ ი მ ი ტ რ ი ლ ი ხ ა ჩ ო ვ ი[1].

იგი არ იყო ჩვეულებრივი ადამიანი თავისი ყოველდღიური ფიქრით, ფუსფუსით, წუხილითა და სიხარულით, ყოფითი და თუგინდ, ზეაწეული პრობლემებით დაკავებული. იგი ფანატიკოსი იყო ამ სიტყვის პირდაპირი და სრული მნიშვნელობით და ასეთად დარჩა სულის უკანასკნელ ამოხდომამდე. მას გულწრფელად, მთელი არსებით სწამდა, რომ საქმე, რომელსაც მან ხელი მიჰყო, არის ყველაზე საჭირო, მნიშვნელოვანი და სხვას ვერარას ძალუძს ამქვეყნად მასთან გატოლება... 1949—1959 წწ. ერთი აზრით იყო შეპყრობილი — შეექმნა ანდრეი რუბლიოვის სახელობის ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმი მოსკოვში. ამით ცოცხლობდა, ამით სუნთქავდა, დღედაღამ ეს ერთი ფიქრი უტრიალებდა... ამის გამო რაოდენ დამცირებას არ იტანდა, რაოდენ შეურაცხყოფას! პირადულს და არაპირადულს, ისეთს, ადამიანის სულის ყველაზე ნაზ და სათუთ სიმს რომ შეეხება — ეროვნულს! დიაღ, ეროვნულს!... რამდენი მითქმა-მოთქმა და აუგი სიტყვა სდევდა მის მოღვაწეობას... და არა მხოლოდ სიტყვა... პირში აფურთხებდნენ და იწმენდდა! სახეში გამეტებით ურტყამდნენ და მეორე ლოყას უშვერდა! კარიდან აგდებდნენ და ფანჯრიდან შემოდიოდა, იბრძოდა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, იბრძოდა რუსული ქრისტიანული კულტურის ძეგლების გადასარჩენად, იმ არცთუ დიდი ნაწილის სახსნელად, რაიც შემთხვევით იყო მოღწეული და შემწეს ელოდა...

ელოდა რუსეთი... ელოდა აცრემლებული რუსული ხატი, თაროებად რომ ჩაედგათ ბნელ მიწურებსა თუ საწყობებში, ან სამადლოდ, სიმწრით რომ გადაეშალათ ნესტიან სარდაფებსა და ნახევრადცარიელ ბეღლებში... ელოდა... ელოდა... ელოდა რუსეთი... მტანჯველი იყო ეს მოლოდინი.,.

«Кажется, я не зря забрался в эту вологодскую глушь, с находками не расстаюсь. Соседи спят, лампочка тусклая, прислоню икону к рукомойнику и смотрю. Доски черные, нераскрытые, но свет от них чувствую, оторваться трудно. А может быть, это Дионисий, дорогая Наталья Алексеевна?»[2]

დიონისე, თეოფანე ბერძენი, ანდრეი რუბლიოვი, პრეხორე გოროდეცელი, სერგი როდონეჟელი, ანდრონიკე — მისი უახლოესი მოწაფე და მონასტრის პირველი წინამძღვარი — აი, სახელები, რომელთაც დღედაღამ თავს დასტრიალებდა დავით არსენიშვილის ფიქრი. „ეძიებდე და ჰპოვებდე“, „ეძიებდე და ჰპოვებდე“, „ეძიებდე და ჰპოვებდე“, ამ სიტყვებით უთენდებოდა. ამავე სიტყვებით უღამდებოდა მონასტრის გაყინულ კედლებში, სადაც უსახლკარობის გამო დიდხანს თავს აფარებდა სამხრეთის მცხუნვარე მზის ქვეშ გაზრდილი ეს სათნო და კეთილშობილი კაცი.

შინაგანად აღსავსე აღტაცებას ვერ ფარავდა, დაუსრულებლად შეეძლო საუბარი რუსულ ქრისტიანულ კულტურაზე, მეტადრე ფერწერაზე, რუბლიოვზე, მერე როგორი საუბარი! და როდის! როდესაც, ცნობილი რუსი პოეტის რიურიკ ივნევისა არ იყოს, ზოგი „მოღვაწე“, ვის ხელთაც იყო, სამწუხაროდ, რუსული კულტურის ბედი, რუბლიოვს შეცდომით ვრუბელთან აიგივებდა, და რომელთაც სრულიად არ ესმოდათ — რა საჭიროა მუზეუმი, რომელშიაც „რაღაცისათვის“ თავმოყრილი იქნება მარტოოდენ ხატები? ღირს კია ასეთი მუზეუმის შექმნა? ანდა რა შეიძლება იყოს ამ მუზეუმში ხატებს გარდა? როგორ უნდა დაუკავშირდეს მისი ექსპოზიცია ანდრეი რუბლიოვის სახელს? რუბლიოვის შესახებ ხომ ძალზე ცოტა რამ ვიცით? ან რა დაგვრჩა მისი შემოქმედებიდან? ფრესკები? კი მაგრამ, ეს ხომ პირების მუზეუმი გამოვა და არა დედნების? საჭიროა კი ასეთი მუზეუმი საერთოდ? „საჭიროა, საჭირო, — უმტკიცებდა მათ დავით არსენიშვილი, — მუზეუმში უნდა წარმოვადგინოთ რუსული ქრისტიანული კულტურის ყველა დარგი. ანდრეი რუბლიოვის სახელობის მუზეუმი არ უნდა იყოს გენიალური რუსი ფერმწერის მემორიალი. იგი უნდა ვაქციოთ მთელი ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმად!“.

მართლაც და, ხომ არ გააჩნდა რუსეთს ამგვარი მუზეუმი? ტრეტიაკოვის გალერეაში ძველ რუსულ ფერწერას ორი მომცრო დარბაზი ეკავა, ისიც საერთო ექსპოზიციის შესავალი უფრო იყო, ვიდრე ძველი რუსული ხელოვნებისადმი მიძღვნილი საგანგებო ნაწილი. თავად გალერეის დანიშნულება, მისი რაობა უფრო მეტ სიღრმესა და მრავალფეროვნებას ვერც კი აიტანდა. არადა, კიდევ რამდენი რამ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო პერიფერიულ მუზეუმებში, რომელთაც არც ადგილი ჰქონდათ და, რაც მთავარია, არც უფლება, სისხლსავსე ექსპოზიცია მოეწყოთ. გაშმაგებული ანტირელიგიური პოლიტიკის ვითარებაში ქრისტიანული კულტურისადმი მიძღვნილი მდიდარი ექსპოზიცია რელიგიური პროპაგანდის საშიშ ფორმად აღიქმებოდა... ასეთ გარემოცვაში დავით არსენიშვილმა თავს უმძიმესი ტვირთი იდვა — პერიფერიული მუზეუმების სარდაფებში, დიდი ხნითა და სრულიად უიმედოდ გაუქმებულ ეკლესიებში შემორჩენილი ქრისტიანული ძეგლების აღნუსხვა, თავმოყრა, კონსერვაცია, რესტავრაცია, მეცნიერული შესწავლა, ყოველი ნივთის მეცნიერული ღირებულების დადგენა და ჩართვა რუსული კულტურის ზოგად ისტორიაში, ექსპონირება...

გაამტყუნეს... თავს დაესხნენ... რა არ დასწამეს...

რაღა არ ჰკადრეს... ხშირად უთქვამთ: „ჯერ შენი მუზეუმი გახსენი და მერე დაეხმარე სხვა მუზეუმებს“, ანდა კიდევ: — „თქვენ მთელ თქვენს ძალებს არა საჭირო საქმეებს ახმართ“. ერთერთ საბრალდებო დოკუმენტს დავით არსენიშვილმა ხელით მიაწერა: „ამხ. ბუტენკო, და ძალიანაც კარგს ვშვრები. ნუ გავიწყდებათ, რომ ნივთები იღუპება“[3]. ვლადიმირი, სუზდალი, დიდი როსტოვი, იაროსლავლი, დმიტროვი, ალექსანდროვი, უგლიჩი, სოლვიჩეგოტსკი, დიდი უსტიუგი, ვოლოგდა, კალუგა, ტვერი და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი ძველი რუსული ქალაქი ითხოვდა შველას... და არა მხოლოდ ქალაქი... ერთ რამედ მარტო ნიკოლოზ ფედიშინის მიერ 20-იან წლებში აღმოჩენილი ძველი რუსული ხატების კოლექცია ღირდა!... მაგრამ სად იყო ეს ყოველივე ახლა — 50-იან წლების დასაწყისში — აი, ამოცანა, რომელიც დავით არსენიშვილის წინაშე დადგა.

და 1953 წლიდან იწყება ანდრეი რუბლიოვის სახელობის ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმის სამეცნიერო ექსპედიციების ველზე გასვლა — რუსული ქრისტიანული კულტურის ცენტრების მოხილვა... როგორ ფიქრობთ, რამდენკაციანი უნდა ყოფილიყო ექსპედიციები, ანდა საერთოდ, რამდენი საშტატო ერთეული გააჩნდა მუზეუმს? მუზეუმის გამგე, მეცნიერ-თანამშრომელი, ფონდების უფროსი მცველი, ბუღალტერი (0,5 განაკვეთი), დამლაგებელი, დარაჯი...

1950 წელს დავით არსენიშვილმა მეცნიერ-თანამშრომლად მოიწვია ნატალია დიომინა, რუსული ხელოვნების უბადლო სპეციალისტი, ბრწყინვალე მცოდნე ანდრეი რუბლიოვის შემოქმედებისა, ადამიანი, რომელიც მანამდე თვრამეტი წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურა თავის ერს, რუსულ კულტურას ტრეტიაკოვის გალერეაში, რომელმაც ომის მრისხანე დღეებში თავისი ხელით შეფუთა ყოველი სურათი, სათუთად მოათავსა სკივრებში, გადაზიდა სადაც ჯერ არს და შთამომავლობას შემოუნახა... ქალი, რომელსაც ბადალი არ მოეპოვებოდა საგამოფენო საქმის ცოდნაში, რომელსაც ვერავინ გაუთოლდებოდა ნატიფი გემოვნებითა და მაღალი კულტურით, ღრმა მეცნიერული ცოდნით. აი, ასეთი ადამიანი ერთ მშვენიერ დღეს დაიოხოვეს სამსახურიდან. ვერც კი დაიჯერებთ, რომ სწორედ იმ დღეს, როდესაც ნატალია დიომინას ეს ოფიციალურად განუცხადეს, ის კი, როგორც თვითონ ამბობს, სრულიად ძალაგამოცლილი, უსუსური, შეურაცხყოფილი და შეგინებული, თვითმკვლელობამდე იყო მისული, ტრეტიაკოვის გალერეაში მოსულმა დავით არსენიშვილმა მას თავის მუზეუმში სამსახური შესთავაზა. ეს დღე იყო და ეს დღე. თავდავიწყებულმა მსახურებამ ერთსუნთქვად და ერთარსებად აქცია ისინი...

და იყო კიდევ ერთი პიროვნება, სრულიად ახალგაზრდა — ირინა ვასილევა, შემდგომში ივანოვა, რომელსაც ის-ის იყო, დაემთავრებინა უნივერსიტეტი და 1951 წლის შემოდგომით მოსდგომოდა ანდრონიკეს მონასტრის კარს. სამსახურში ჩადგომის იმედით აღვსილი, გაფაციცებით ეძებდა ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმს. მან აქ იპოვა არაჩვეულებრივად ლამაზი, წარმოსადეგი, ქერა, მაღალი მამაკაცი, რომელსაც შემოეკრიბა მონასტრის ტერიტორიაზე ქოხმახებსა და მიწურებში მცხოვრები ხალხი და მთელი სერიოზულობით უტარებდა ლექციას ამ ადგილების მნიშვნელობაზე, ნანგრევების ქვეშ მოყოლილ ანდრეი რუბლიოვის საფლავზე, რუბლიოვის შემოქმედებაზე... „იცით, ეს იქნება მოსკოვის ერთერთი ულამაზესი კუთხე, სადაც სიამოვნებით ივლიან ადამიანები, რათა განიწმიდონ, იყვნენ კეთილნი, სათნონი, შეიგნონ საკუთარი მიწისა და წინაპრების სიდიადე... განიმსჭვალონ წარხულისადმი სიყვარულითა და პატივისცემით...“ — ამბობდა დავით არსენიშვილი, აუდიტორია კი მონუსხულივით შესცქეროდა მას. როდესაც ირინამ იკითხა — სად არის მუზეუმი, დავითმა მას მთავრობის დადგენილება უჩვენა, მაგრამ სიტყვიერად იმდენი რამ მოაყოლა, რომ გოგონამ ირწმუნა ყოველი მისი სიტყვა და ცხოვრების დიდი ნაწილიც ამ მუზეუმს დაუკავშირა... აი, ამ „სამებამ“, როგორც მათ ეძახდნენ ლენინგრადის პუშკინის სახლის ძველი რუსული ლიტერატურის სექტორში, ორმა ნაზმა, მაგრამ რკინისებური ნებისყოფისა და ძლიერი სულის არსებამ და ერთმა დიდი შემართების ქართველმა რაინდმა მოიმოქმედეს სასწაული, ნამდვილი სასწაული...

1953 წელი. 21 აგვისტო. მუზეუმის ფონდების უფროსი მცველი ირინა ივანოვა მიემართება ნოვგოროდსა და ფსკოვს, ეცნობა იქაური მხარეთმცოდნეობითი მუზეუმების ფონდებს, აწარმოებს საქმიან მოლაპარაკებას, რომ მათი ექსპონატები გადმოეცეს ანდრეი რუბლიოვის სახელობის მუზეუმს. აქ მაშინ მზადდებოდა ძველი რუსული ხელოვნებისადმი მიძღვნილი გამოფენა, ფრესკების ფრაგმენტებისა და დიდი ზომის ფოტოპირებისაგან შემდგარი[4]. ირინა ივანოვამ შეისწავლა ნოვგოროდისა და ფსკოვის მუზეუმების ფონდები, ამ ქალაქთა ხუროთმოძღვრულ ძეგლებში დაცული ფრესკების მდგომარეობა[5]... 9 სექტემბერს ნოვგოროდ-ფსკოვის ექსპედიციიდან დაბრუნებული, იგი 6 ოქტომბერს მიემგზავრება ვოლოკოლამსკში, რათა გაეცნოს იქ, წმიდა იოსების მონასტრის ტერიტორიაზე არსებული ძველი რუსული ხელოვნების ძეგლებს[6]...

6 ნოემბერი. ირინა კვლავ ვოლოკოლამსკშია, რომ საუბრები ჩაუტაროს უპატრონო ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს ვოლოკოლამსკის მონასტრის ხუროთმოძღვრული ძეგლების ისტორიულ და მხატვრულ ღირებულებაზე. ეს აღსაზრდელნი მონასტრის ახალი დროის პატრონნი არიან... ბრუნდება 9 ნოემბერს... 25 ნოემბერს ნატალია დიომინა და ირინა ივანოვა მიემგზავრებიან იაროსლავლსა და უგლიჩში, უნდა გამოიკვლიონ მხარეთმცოდნეობით მუზეუმებში არსებული ძველი რუსული ხელოვნების ნიმუშები, ხუროთმოძღვრული ძეგლები, მათში შემონახული ფრესკები, მიდიან ქალები, რათა აღნუსხონ — რამდენი ძეგლი ისპობა იაროსლავლსა და უგლიჩში, და უეცრად, დავით არსენიშვილს ატყობინებენ, რომ საგანგაშოა მდგომარეობა პერეიასლავლ-ზალესსკში და ისიც ექსპედიციას სასწრაფოდ გეზს უცვლის[7]... 22 ნოემბერს დაბრუნებულნი, ნატალია დიომინა და ირინა ივანოვა 9 დეკემბერს მიემგზავრებიან იაროსლავლში[8]...

1954 წელი. 10 აგვისტო. ნატალია დიომინა და ირინა ივანოვა ორი კვირით მიემგზავრებიან ვლადიმირში — ნეტავ რა ხდება იქ, მხარეთმცოდნეობითი მუ-

ზეუმის ფონდებში[9]... რა მდგომარეობაშია ხუროთმოძღვრული ძეგლები, მეტადრე ვლადიმირის მიძინების ტაძარი, აქ ხომ შემოგვენახა ანდრეი რუბლიოვის ფუნჯით მოხატული კედლები, მაგრამ ვაითუ აწვიმს და ათოვს სხვა ძეგლების მსგავსად?...

7 ოქტომბერი. ირინა ივანოვა ერთი კვირით კვლავ ვლადიმირსა და სუზდალში მიემგზავრება რუსული ქრისტიანული ეპოქის ძეგლების ჩამოსატანად, რომელნიც ნატალია დიომინამ და მან გადაარჩიეს ანდრეი რუბლიოვის სახელობის მუზეუმისათვის[10]... და ასე მარადჟამს, წლიდან წლამდე და განუწყვეტლივ... ძეგლების გამოვლენა, ხსნა, აღწერა, აღნუსხვა — ეს ურთულესი ტაქტიკური ნაბიჯები მუზეუმის ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ყოფაში ისე დამკვიდრდა, რომ ქმედების ნორმად იქცა..., კმარა რაც დაიღუპა, რაც დავკარგეთ, და რაც არასდროს დაგვიბრუნდება; ვიკმაროთ, გაიძახოდა წამყოველ მუზეუმის შემქმნელი.

აღარ განმეორებულიყოს ის, რაც კოსტრომასა და ყოფილ ნიჟნი-ნოვგოროდში მოხდა...

**„რ უ ბ ლ ი ო ვ ი ს ს ა ხ ე ლ ო ბ ი ს მ უ ზ ე უ მ ი ს დ ი რ ე ქ ტ ო რ ს!**

კოსტრომის საოლქო მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი თქვენი თხოვნით გიგზავნით იმ ხატების ნუსხას, რომელნიც შეტანილია ჩამოსაწერ ხატთა სიაში. ყველა დასახელებული ხატი ძალზე დაზიანებულია, ხოლო უმრავლესობა რკილითაა დაავადებული. მუზეუმის დირექტორი იაბლოკოვი, ფონდების გამგე კლეპიკოვა“[11]*.

რუსეთის ყოველი მხრიდან წერილი წერილზე, დეპეშა დეპეშაზე მოდიოდა...

„რუბლიოვის სახელობის მუზეუმის დირექტორს ამხ. დავით არსენიშვილს. სახელმწიფო ერმიტაჟს განზრახული აქვს უახლოეს წლებში მოაწყოს ექსპოზიცია XII—XVII სს. რუსული კულტურის ისტორიის შესახებ. მასალის დაგროვების მიზნით ერმიტაჟს დასახული აქვს მოაწყოს მთელი რიგი ექსპედიციებისა წარსულის ძეგლების (ხატები, გამოყენებითი ხელოვნება და სხვა) გამოსავლენად და შესაგროვებლად. ვითვალისწინებთ რა, რომ თქვენი მუზეუმი აწარმოებს ანალოგიურ მუშაობას და ჰყავს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ამ დარგში, სახელმწიფო ერმიტაჟი გთავაზობთ, მომავალში ჩატარდეს ერთობლივი გასვლები, რადგან ასეთ შემთხვევაში გაჩნდება შესაძლებლობა უფრო ფართოდ და ღრმად მოვიცვათ პროვინციული მუზეუმების ფონდები, სადაც ზემოაღნიშნული მასალები ხშირად არახელშემწყობ პირობებში ინახება, აგრეთვე, გაუქმებულ ეკლესიებში (არსებული) ხელოვნების ნიმუშები, რომელნიც აქ საფრთხეშია. კერძოდ, ერმიტაჟი გთავაზობთ უკვე 1954 წლის ივლისში მოვაწყოთ გასვლა იაროსლავლის, უგლიჩის, როსტოვის, ვლადიმირისა და სუზდალის რაიონებში.

ერმიტაჟის დირექტორი, პროფესორი **არტამანოვი**“[12].

„ა. რუბლიოვის სახელობის მუზეუმის დირექტორს, ამხ. დავით არსენიშვილს.

ღრმად პატივცემულო დავით ილიას ძევ! **დიდი** საბჭოთა ენციკლოპედიის ხელოვნების განყოფილება გიგზავნით სტატიებს, მიძღვნილს ანდრეი რუბლიოვისა და პრობორის (გ ო რ ო დ ე ც ი დ ა ნ) შესახებ, რომლებიც მომზადებულია დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მეორე გამოცემისათვის. მოგმართავთ თხოვნით, მოგვცეთ თქვენი დასკვნები აღნიშნულ საკითხებზე...

ხელოვნების რედაქციის გამგე **ა. ლებედევი**, მთავარი რედაქტორი **ვ. პოლევოი**“[13].

მუზეუმში შეიქმნა პირველი სამეცნიერო პროდუქცია — ბრწყინვალე ნაშრომები ანდრეი რუბლიოვსა და ძველ რუსულ ხელოვნებაზე, მაგრამ სამეცნიერო მუშაობა არამცდაარამც არ ჩრდილავდა იმ დიდ საველე-პრაქტიკულ და შემგროვებლურ საქმიანობას, რომელსაც მუზეუმი ეწეოდა, სამადსამი შემოქმედი ადამიანისაგან შემდგარი მუზეუმი. აღმოჩენილი და შეკრებილი მასალის ჩართვა ძველი რუსული ხელოვნების უწყვეტ ისტორიაში — აი, რა ამოცანა იდგა მის წინაშე. გადავარჩინოთ ქრისტიანული ხანის რუსული ძეგლები, ვაზიაროთ ამ კულტურას მოყვასი, — ა დ ა მ ი ა ნ ი — ასე სჯიდა მუზეუმის შემქმნელი, მაგრამ ეს განსჯა მას დიდ ცოდვად ჩაუთვალეს:

„ამხ. არსენიშვილი აგრძელებს ექსპონატების ს ა ი დ უ მ ლ ო დ (დაყოფა ჩემია, **ნ. ვ.**) ჩვენებას, (ექსპონატებისა), რომელთა წარმოდგენა, აქ არსებული წესით, არ არის დამტკიცებული და რომლებიც განფენილია შეუკეთებელ, სადღეისოდ სამუზეუმო ჩვენებისათვის გამოუსადეგარ შენობაში. მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმი ჯერ არ გახსნილა, მას ხშირად ეწვევიან ხოლმე ცალკეული მოქალაქენი, სამღვდელოების წარმომადგენელნი, უცხო ქვეყნების ქვეშევრდომნი, მათ შორის, დასავლეთის დიდ სახელმწიფოთა ელჩები. თვითნებურად წყვეტს რა მათ მუზეუმში შეშვებას, რომლის ექსპოზიცია არ არის დამტკიცებული და განფენილია ექსპონირებისათვის გამოუსადეგარ შენობაში, ამხ. არსენიშვილი ამით ავლენს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ს ი ბ ე ც ს (დაყოფა ჩემია, ნ. ვ.) და სახელს უტეხს თავად ანდრეი რუბლიოვის შემოქმედების პოპულარიზაციის იდეას. ამას გარდა, საექსკურსიო საქმე, მუზეუმის დაუმთავრებელ ფონდებში გაჩაღებული, აშორებს კოლექტივს თავისი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტისაგან, რომელიც მუზეუმის გახსნის მზადებაში მდგომარეობს“.

მოტანილი დოკუმენტი არაჩვეულებრივად წარმოაჩენს დროის სულს და კიდევ ძრავალჯერ გახდება ისტორიკოსთა, კულტუროლოგთა განსჯის საგანი. აი, ქრისტიანული კულტურისადმი, სახალხო-ეროვნული საქმისადმი უკულმართად მიდგომის ნათელი მაგალითი... ეს კი, თავად მიხვდებით, ზღვაში წვეთია მხოლოდ... ახლა ვნახოთ, კიდევ როგორ უდგებოდნენ მავანნი და მავანნი დავით არსენიშვილის რუსული კულტურისადმი თავგანწირვით მსახურებას: „ქართველი, ვაჭრუკა, მუზეუმით სურს გამდიდრება!“, ჯერ ფარულად ავრცელებდნენ ასეთ ხმებს და ე. წ. „საზოგადოებრივ აზრს“ ქმნიდნენ; მერე და მერე აღარაფერს ერიდებოდნენ და ხმამაღლა გაიძახოდნენ, მაგრამ ვერ მოდრიკეს, ხელი ვერ აალებინეს დაწყებულ საქმეზე, ვერც იმ ბრძოლაზე, შუდამ თან რომ ახლდა მის მოღვაწეობას. ბუნებით არაჩვეულებრივად რბილი, კეთილი, დამთმობი, **კლდისაებრ** შეუდრეკელი ხდებოდა, როცა ამას საქმე **მოითხოვდა**, თავი ისე ეჭი-



მოსკოვი. წმ. ანდრონიკეს მონასტერი.

რა, თითქოს ყოველგვარი სიავე, მისი მისამართით წარმოთქმული, მას კი არა, ვიღაცას ეხებოდა... აისხლეტდა, აირეკლავდა... სხვა საზომებით საზღვრავდა.. იცოდა რისთვის იყო მოვლენილი ამქვეყნად და რას მსახურებდა... სხვა ყველაფერი წუთისოფელთან ერთად წარმავლად მიაჩნდა... „მე მინახავს — იხსენებს ირინა ივანოვა — როგორ კემსავდა იგი თავის კოსტუმს, ამოუდებდა ნაჭერს და მერე იმავე სამოსში წარმოსდგებოდა ხოლმე როგორც მეფე—გრაციოზულად და ძალდაუტანებლად, თავის დახრით ესალმებოდა აქეთ-იქით შემხვედრთ და ყოველთვის იღიმოდა ლაღად, ალერსიანად, სხივმოფენით. იგი ცხოვრობდა 100 მანეთზე, მეტისმეტად ხელმოკლედ, მაგრამ როდესაც საჭირო იყო საელჩოში დარბაზობაზე წასვლა, ქირაობდა ტაქსს კი არა, არამედ ძალიან ლამაზ, შთამბეჭდავ მანქანას, საიდანაც გადმოდიოდა ლორდი, ნამდვილი ლორდი, და არა ის ადამიანი, რომელიც სინამდვილეში ტაძარში ცხოვრობდა და სკამლოგინს იდგამდა ექსპოზიციაში ღამის გასათევად. უდიდესი იყო კონტრასტი მის შესახებ გავრცელებულ ხმებსა და სინამდვლეს შორის. ეს კონტრასტი ძალზე დიდი იყო, ძალზე. დონკიხოტობას ყოველთვის მტრულად ხვდება ფილისტერი, უკეთეს შემთხვევაში — წყალობის ღიმილით, მაგრამ დავითი ან მხურვალედ უყვარდათ, ან ეზიზღებოდათ“[14]. ეზიზღებოდათ გაძვალებულ ჩინოვნიკებს, ფილისტერებს არ მოსწონდათ, ეხამუშებოდათ მისი გამორჩეულობა ერთსახოვანთა მასიდან, არასტანდარტულობა, დიდი ენერგია, საქმისადმი თავგანწირვა. იგი არღვევდა ჩინოვნიკურ-მეშჩანურ წრეში ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებულ ცხოვრების რიტმს, მოსვენებას არ აძლევდა მათ, ამუშავებდა, ამოძრავებდა თავად ბორგავდა და სხვათა უძრაობასაც ვერ იტანდა... ერთხელ შკვარიკოვმა[15] მკითხა: „ვინ არის დავით არსენიშვილი, განა იგი ხელოვნებათმცოდნეა? რა ხელოვნებათმცოდნეა!“, მე მას ვუპასუხე: „რა განათლება ჰქონდა პავლე მიხეილის ძე ტრეტიაკოვს? მას რა, ჰქონდა განათლება?“, და თვითვე ვხარობ, რომ კარგ დროს გამახსენდა, სიტყვაში მოუგე,

დავამარცხე. მართლაც კარგი დაპირისპირებაა, არა? პავლე მიხეილის ძე ტრეტიაკოვი ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეას ქმნიდა, დავით ილიას ძე არსენიშვილი კი — ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმს", — მიამბობს ნატალია დიომინა[15].

რაგვარი ხერხებით ებრძოდა დავით არსენიშვილი უზარმაზარ ბიუროკრატულ მანქანას? ათასნაირით, ძირითადად შეგონებით, და „თუ ვინმე მის შეგონებას არ ექვემდებარებოდა, აყოვნებდა, ამჟღავნებდა გულგრილობას, ის მოიხმობდა თავის უკანასკნელ არგუმენტს: „მე ქართველი ვარ და მსურს, რომ გაიხსნას რუსული ხელოვნების მუზეუმი, რომ იგი იყოს თავისი მოწოდების საკადრისი. თქვენ კი, ვინა ხართ? თქვენ რუსი ხართ, და თქვენ ეს არ გსურთ!"[16]...

... ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმი გაიხსნა. გაიხსნა იგი 1961 წლის 21 სექტემბერს. დაუვიწყარია ეს დღე რუსული კულტურის ისტორიაში... თავად მუზეუმის შემქმნელი, ვითარცა ჩუმი და უწყინარი, მოკრძალებული და ზედმეტად თავმდაბალი სტუმარი, იდგა კუთხეში შეყუჟული და ხარობდა, ხარობდა განუზომლად, მთელი გულით... გახსნამდე დაახლოებით წელიწადნახევრით ადრე იგი ხანგრძლივი ავადმყოფობის საბაბით გაათავისუფლეს დირექტორის თანამდებობიდან; გასაგებია... იგი საჭირო ნამდვილად აღარ იყო, ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდნენ ისინი, ვისაც ხელთა ჰქონდათ მმართველობის სადავეები. „მაგრამ, როგორ შეიძლება გაათავისუფლო ადამიანი თავისი საქმისაგან, გაათავისუფლო იგი თავისი ნიჭიერებისაგან, თავისი ენერგიისაგან, ხელოვნების სიყვარულისაგან. ეს სრულიად შეუძლებელი რამ არის. ეს ხომ არ ექვემდებარება არავითარ ბრძანებას", — ამბობს დიმიტრი ლიხაჩოვი ამ შემთხვევაზე...

...მას ამის შემდეგ დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა — 1963 წლის 16 ნოემბერს მიიცვალა თბილისში, ღვიძლი დისა და ძვირფასი მეგობრის მარგარიტა არსენიშვილის ოჯახში.

იძინე მშვიდად, ბატონო დავით!

მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა!

**ძვირფასო მარგარიტა ილიას ასულო!**

მე დიდი ხანია მინდოდა გამომეგზავნა თქვენთვის წერილი, მაგრამ ყველაფერი ისე მძიმედ ეწყობა ჩემს ცხოვრებაში, რომ ვერ ვხედავ, როგორ შიჰქრის დღეები.

ახლა ძალზე ავადაა მამაჩემი, იგი თითქმის არ დგება ლოგინიდან. ამასთან, მუზეუმში ბევრი უსიამოვნებაა.

მე მსურდა მომეწერა თქვენთვის, რომ მუზეუმში ახლა უჩვეულო სიყვარულითა და სითბოთი ვლაპარაკობთ დავით ილიას ძეზე, იმ საქმეზე, რომელსაც მან შესწირა თავისი ძალები, თავისი სიცოცხლე.

მუზეუმში მოდიან ადამიანები, ხედავენ მის პორტრეტს, კითხულობენ, გვთხოვენ მოვუთხროთ მასზე.

პორტრეტზე იგი ახალგაზრდაა, მხიარული, ძალითა და იმ მიმზიდველობით აღსავსე, რომლითაც იგი ყველას აგრერიგად იპყრობდა. მე უსათუოდ გამოგიგზავნით თქვენ ამგვარსავე პორტრეტს.

ამ დღეებში ხშირად რეკავენ, გვეკითხებიან დავით ილიას ძეზე, გვთხოვენ ვუამბოთ უფრო დაწვრილებით. კითხვაზე — ვინ კითხულობს? — გვპასუხობენ: „ის, ვინაც იცნობდა და უყვარდა იგი".

ახლა გვინდა ჟურნალში „ისკუსტვო" მოვათავსოთ მისი ნეკროლოგი. მე ხომ ვფიქრობდი ვყოფილიყავი თქვენთან იმ მძიმე დღეებში, მაგრამ ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს ნეკროლოგის ნებართვის მოსაპოვებლად მომიხდა ჯდომა მინისტრის მოადგილის მოსაცდელებში, ფურცევას ორი მოადგილე არჩევდა ამ საკითხს. არ დათანხმდნენ მოთავსებულიყო მთელი გულით დაწერილი და უდიდეს მოღვაწეთა მიერ ხელმოწერილი ტექსტი. მე გულვძვირობდი, ვესროლე კიდეც სიტყვები, რომ მათ არ იციან მუზეუმის მუშაკების დაფასება არც სიცოცხლეში, და არც მათი ღირსეულად გაცილება უკანასკნელ გზაზე... მაგრამ! აი, ასეა ყველაფერი.

დღეს მუზეუმში იყო თქვენი ქალიშვილი. მოხარული ვიყავი, მენახა იგი. მე ხომ იმდენი გამეგონა მის შესახებ დავით ილიას ძისაგან. ჩემთვის მისი მონათხრობის მიხედვით ნაცნობი იყო მისი სახე, თვალები, ნაზი ფერადოვნება. მან ხომ ისეთი მოყოლა იცოდა, ყველაფერს დაინახავდი.

რამდენი დღე დამამახსოვრდა, არაჩვეულებრივი დღეები! ისინი აღსავსეა მისი იუმორით, მისი სილბილით, მისი საკვირველი უნარით ღირსეულად და ფართო თვალთახედვით მოპყრობოდა ყველაფერს.

დიდი ბედნიერება იყო მასთან მუშაობა, უსაზღვროდ მადლიერი ვარ მისი ბევრი რამისათვის!

მახსოვს, 1951 წელს პირველად რომ დავინახე იგი ანდრონიკეს მონასტრის ნანგრევებს შორის, და გავიგონე: „აქ იქნება მოსკოვის ულამაზესი კუთხე. მოვლენ ხოლმე ადამიანები და ქედს მოუხრიან უდიდეს სიცოცხლის მოყვარეს — რუბლიოვს!". ოჰ, როგორ ლაპარაკობდა!

მან მე შთამბერა ის რწმენა, რომელიც დღესაც ცოცხლობს ჩემში. და როგორც დავით ილიას ძის მცნებას, მას გადავცემ შემდგომ თაობას.

ძვირფასო მარგარიტა ილიას ასულო! იგი ხომ შემთხვევით არ იცავდა რუბლიოვს. რუბლიოვში ბევრი რამ იყო მისი სულის თანხმიერი. მან ამ მუზეუმს შეალია ძალა, როგორც ადგილს, სადაც შეიძლება ადამიანები გახდნენ უფრო ნათელი, უფრო სუფთა, უფრო უკეთესი, უფრო კეთილი!

უდიდესი კაცთმოყვარე იყო იგი!

რაც უფრო მეტად ვფიქრობთ, მით მეტი დიდებულებით წარმომიდგება მთელი მისი ცხოვრება.

როგორი უაზრობაა, როგორი უცნაურია, არ მჯერა, რომ იგი აღარ არის! შეუძლებელია დაჯერება...

თქვენი **ირინა**[17]

# თანამედროვეთა ჩანაწერებიდან

...დავითი... ხელოვნებისმცოდნეობაში იჩენდა დიდ უნარსა და მისწრაფებას და შესანიშნავი ხელოვნების მცოდნეც იყო, განსაკუთრებით სახვითი ხელოვნების. დიდებულად იცნობდა თბილისის სიძველეებს... გამოირჩეოდა გემოვნებით და მოწოდებით... მე მას ვხვდებოდი უმთავრესად შაბათ-კვირაობით, რადგან ისიც და მეც ვმუშაობდით. დავითი მაშინ მსახურობდა თბილისის აღმასკომში, სიძველეთა დაცვაში.

მისი თაოსნობით და დახმარებით ახლანდელ ლესელიძის ქუჩაზე არსებული საყდრის დიდი შენობა გადაკეთდა ისტორიულ ბიბლიოთეკად, რომელმაც დიდხანს იარსება. ღებულობდა, თუ არ ვცდები, მონაწილეობას ძველი თბილისის მუზეუმის (კომკავშირის ხეივანზე, ნარიყალასთან) დაარსებისა და მოწყობის საქმეში; აგრეთვე, მტკვრის სანაპიროზე არსებულ როსტომ მეფის სასახლისა და თოფხანის გაწმენდა-რესტავრაციაში და სხვადასხვა სიძველეთა დაცვა-აღდგენისათვის მეტად აქტიურ ღონისძიებებს მიმართავდა. მახსოვს გუდიაშვილისა და მისი მეგობრობა. მან გამაცნო ბატონი ლადო იმ დროს, როდესაც იგი შეუთანხმდა კათოლიკოს კალისტრატე ცინცაძეს ქვაშვეთის მოხატვის გამო... მახსოვს, დავითი ხშირად ხვდებოდა ლადოს, მაგრამ როდესაც ლადო გუდიაშვილის პირველი გამოფენა მოეწყო სამხატვრო გალერეაში, უდიდესი გამოფენა, მაშინ დავითი უკვე მოსკოვში იყო გადასული სამუშაოდ... დავითი იმის წინაც იყო მოსკოვში გადასული რამდენიმე წლით და მხოლოდ ომის წლებში (1942) დაბრუნდა თბილისში რუსი მწერლების ერთ დიდ ჯგუფთან ერთად...“

**აკაკი ნემსაძე**

* * *

ეს იყო ომის წლები. ჩვენ ვცხოვრობდით ახლანდელ ერეკლეს მოედანზე, უწინ ბებელის მოედანი რომ ერქვა. ჩვენი ოთახიდან კარი გადიოდა ეზოში. ეზო მდებარეობდა როსტომ მეფის აბანოს სახურავზე. იქაურობა მიწით იყო შევსებული, აქა-იქ ამოიზიდებოდა გუმბათები, თვით აბანო მიწითა და ნაგვით იყო სავსე. ჩემს ოჯახსა და დავით არსენიშვილს შორის ურთიერთობა, მე ვფიქრობ, ამ სიძველეებთან ჩვენმა ტერიტორიულმა სიახლოვემ გამოიწვია და ალბათ, რაღაც შინაგანმა ლტოლვამ ერთმანეთისაკენ. ამ კაცს ერთი კოსტუმი ეცვა, ხან გადააბრუნებდა, ხან გადმოაბრუნებდა, ერთი შლიაპა ჰქონდა ფეტრის, მაშინ ეს იშვიათობა იყო. ის რომ ქუჩაში გამოვიდოდა, ბავშვები ერთმანეთს თავში წაარტყამდნენ ხოლმე — შლიაპიანი კაცი მოდისო. ჰქონდა ერთი პალტო, მაგრამ რაც ჰქონდა, ყველაფერი ლამაზი და ხარისხიანი... ჰქონდა კიდევ ერთი პორთფელი. ეს იყო მისი მთელი ავლადიდება. მისთვის სიძველეთა გარდა, რამდენადაც მე მახსოვს, არაფერი არ არსებობდა. მე მიკვირს, როგორ ბედავდა ამდენს, როგორ ითხოვდა ფულს სიძველეთა შესწავლაზე, გათხრებზე...

რაც ვიცი, მე ყველაფერი ზუსტად ვიცი... ის, რაც ჩემს თვალწინ ხდებოდა. მე ის ხალხიც ვიცი, ვინც აქ მოდიოდა, ვისთანაც ჩხუბი უხდებოდა დათიკოს. დათიკოს დამსახურებაა როსტომის აბანოს გასუფთავება იმ ნაგვისაგან, რომელიც საუკუნეთა მანძილზე დაგროვდა. ჩვენ, ბავშვებიც კი ვიღებდით მონაწილეობას გაწმენდის საქმეში. დათიკომ ჩართო ახლომახლო მცხოვრებნი, მოჰყავდა ხალხი, მიაღწია ამ ძეგლის მცველის შტატს და ამ შტატზე გააფორმა დედაჩემი — ტატიანა გიორგის ასული როინიშვილი-ყიფიანისა, ამით სავსებით ოფიციალურად აღიარა, როგორც საისტორიო ძეგლი, როსტომის სასახლის ნაშთები. ჩემი აზრით, იმ მიდამოებზე ზრუნვაც მისი დამსახურება იყო. ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ მგონი 50-იანი წლების ბოლოს და სამოციანი წლების მიჯნაზე მისი ზრუნვის შედეგი უნდა ყოფილიყო, ჩემი აზრით, იმ მიდამოების გამოკვლევა. ის იმიტომ კი არ აკეთებდა ყველაფერს ამ მიმართულებით, რომ აღმასკომში მუშაობდა, არამედ აღმასკომში იმიტომ დაიწყო მუშაობა, რომ უფლება ჰქონოდა ამ ძეგლზე ეზრუნა. აღრიცხვაზე აყვანა, დაფიქსირება, მემორიალური დაფის დაყენება — ეს მისი დამსახურებაა. მიაჩნდა, ჩვენ რომ ვცხოვრობდით, იმ სახლში უნდა ყოფილიყო ზარაფხანა, ხოლო მილიციის შენობის ადგილას მეფის რეზიდენცია, დავითი ძალიან დიდ აღშფოთებას გამოთქვამდა, რომ აქ მილიცია იყო.

...როდესაც მე დათიკოსთან ერთად პირველად ნორაშენის ეკლესიაში მოვედი, იგი მაშინ არ იყო მოქმედი და არც მერე. აქ მე ვნახე უწესრიგოდ დაყრილი წიგნები, დიდი რაოდენობით, რომელთა გამო ჩვენ აქ არაერთხელ მოვსულვართ. ამ წიგნების ბედი დათიკოს ძალიან აწუხებდა. ამ წიგნების გადარჩევაში, გადალაგებაში მეც მომიხმარა. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა ერთი რამ, რომ დიდი ენერგიის კაცი იყო, არავის დავალებების შემსრულებელი კაცი ის არ იყო: მახსოვს, როგორი ენერგიით უტევდა, რათა ერეკლეს ეკლესია გაეხსნა, დათიკომ გახსნა ეს ეკლესია ჩემს თვალწინ, უამრავი რაღაც იყო აქ მოთავსებული; როგორც ჩანს, მუზეუმებში აბარებდა ნაპოვნს, ყველა მუზეუმთან ჰქონდა კავშირები. რამდენს იბრძოდა სიძველეთა გადასარჩენად. მას ყველაფერი კარგად ჰქონდა გააზრებული. ომი, ომი, ომი, სულ ყველგან ომი ჰქონდა — აქაც და რუსეთშიც. დათიკოს გაუმართლებლად მიაჩნდა მეჩეთის დანგრევა, ძეგლი იყო მისთვის მთავარი — ქრისტიანული იყო იგი, თუ მაჰმადიანური.

.. დადიოდა ანჩისხატში ხშირად, ვიღაცეები მიჰყავდა, მოჰყავდა, ზრუნავდა, თავს დატრიალებდა... ამტკიცებდა, ანჩისხატი სიონზე უფრო მნიშვნელოვანი არისო. ანჩისხატის გამო მე გამაგზავნა კალისტრატე ცინცაძესთან. წერილი ჩემს თვალწინ დაწერა და მე გამატანა. წერილიდან ჩანდა, რომ იყო შექმნილი რაღაც კომისია, ეტყობა, პატრიარქს უნდა მიეღო მონაწილეობა ამ კომისიის მუშაობაში, და დავითი ახსენებდა ამ

მისიის მუშაობის დროის შესახებ. პატრიარქმაც მე გამატანა წერილი დავითთან. საკითხი ნამდვილად ანჩიხატს ეხებოდა. ეს წერილი, შეიძლება, პატრიარქის დასკვნა იყო, რომელიც დავითს უნდა გამოეყენებინა. საერთოდ ეკლესიასთან ახლო მდგომი კაცი იყო. ხშირად იყო პატრიარქთან, ძალიან ხშირად, ძალიან ახლოს იყო. მასთან 3-ჯერ ვიყავი გაგზავნილი. ბავშვს რომ გააგზავნი, ე. ი. ძალიან ახლოს ხარ. საერთოდ მას ჰქონდა ყველა ურთიერთობა აწყობილი საქმეზე და ეროვნულ მოტივზე.

ძალიან ბევრ ხალხთან ჰქონდა ურთიერთობა. მე მიკვირს საიდან ჰყავდა ამდენი ნაცნობ-შეგობარი. ახლა ვაკვირდები და ვფიქრობ, რომ იგი ძალიან გამორჩეული კაცი იყო. მას იხეთი საქმეები აინტერესებდა, რომლებიც ბევრ ქართველ ინტელიგენტს გულზე ეფინებოდა, და იხეთ კაცს იზიდავდა თვითონაც, ვისთვისაც მისი საქმიანობა მახლობელი იყო. უბრალოდ ცუდ დროს ცხოვრობდა, ცუდ დროს!

არაჩვეულებრივი კაცი იყო, რბილი, არავის არ დაუყვირებდა, ბავშვსაც კი, არასდროს. დაიღლებოდა კამათში, დაიხარჯებოდა, ინერვიულებდა და სხვას კი არ აწყენინებდა, უხეშობა მთლიანად გამოირიცხებოდა მისგან.

დავითი დიდად მეგობრობდა რიურიკ ივნევთან. შემიძლია გითხრათ, რომ დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ჩვენთან, სახლში, კარადის თავზე იდო 12 დიდი გვერდი — ალექსანდრე ბლოკის ხელით ნაწერი. მე აღარ მახსოვს, აქედან უნდა წასულიყო ეს ფურცლები მოსკოვში, თუ მოსკოვიდან ჩამოვიდა ჩვენში. მახსოვს, რომ ჩვენთან კარადის თავზე იდო.

**ვანო ჯიფიანი**

## შენიშვნები

1. დიმიტრი ლიხაჩოვი, დავით ილიას ძე არსენიშვილი, იხ. კრებული „წარსული — მომავალს". სტატიები და ნარკვევები. ლენინგრადი, 1985 წელი, გვ. გვ. 557—558.

2. დავით არსენიშვილის პირადი წერილი ნატალია დიომინასადმი, იხ. სამონტაჟო ფურცლები დოკუმენტური ფილმისა: „მრავალჟამიერ" (სცენარის ავტორი ლეონიდ გურევიჩი).

3. ანდრეი რუბლიოვის სახელობის ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმი, ხელნაწერი ფონდი, აღწერილობის № 1, შესანახი ერთეული 8, გვ. 65.

4. იქვე, აღწერილობის № 1, შესანახი ერთეული 59, გვ. 2.

5. იქვე, აღწერილობის № 1, შესანახი ერთეული 59, გვ. 4.

6. იქვე, აღწერილობის № 1, შესანახი ერთეული 59, გვ. 8.

7. იქვე აღწერილობის № 1, შესანახი ერთეული 59, გვ. 10.

8. იქვე, აღწერილობის № 1, შესანახი ერთეული 2, გვ. 29

9. იქვე, აღწერილობის № 1, შესანახი ერთეული 2, გვ. 39.

10. იქვე, აღწერილობის № 1, შესანახი ერთეული 2, გვ. 45.

11 იქვე, აღწერილობის № 1, შესანახი ერთეული 8, გვ. 113.

* სულ 27 ხატი

12. იქვე, აღწერილობის № 1, შესანახი ერთეული 8, გვ. 87

13. იქვე აღწერილობის № 1, შესანახი ერთეული 8, გვ. 90.

14. ირინა ივანოვას პირადი წერილი ნათელა ვაჩნაძისადმი, მოსკოვი, 10 აპრილი, 1980 წელი (ნაწყვეტი).

15. რსფსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურისა და მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე. ამ უწყებაში უშუალოდ შედიოდა ანდრეი რუბლიოვის სახელობის ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმი 1955 წლის 26 ნოემბრამდე (იხ. რსფსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 1418).

16. მასალა ჩავწერე 1981 წელს მოსკოვში, ნატალია დიომინას ბინაზე.

17. დიმიტრი ლიხაჩოვი, დავით ილიას ძე არსენიშვილი. გამოუქვეყნებელი მოგონება. ინახება ამ სტატიის ავტორის პირად არქივში. მოგონება დაწერილია ლენინგრადში, 1980 წლის 5 აპრილს.

18. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეგობრობის მუზეუმი, ყოფილი ძირითადი ფონდი, ამჟამინდელი: „პროფესორ ოთარ ფირალიშვილის ფონდი", 124303.

**ნათელა ვაჩნაძე**

# ᲘᲐᲠᲔᲡᲨᲘᲡᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ



## „ᲓᲘᲓᲐᲥᲔᲡ“ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ადრექრისტიანული პერიოდის ძეგლებიდან განსაკუთრებული ღირებულებისაა უფლის მოწამეთა ავტორობით პატივდებული შრომა „მოძღვრება თორმეტი მოციქულისა“ (Διδαχή τῶν δώδεκα αποστόλων), რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში „დიდაქეს“ (Διδαχή— მოძღვრება) სახელითაა ცნობილი. დღეისათვის დადგენილად ითვლება, რომ ეს ძეგლი მოციქულთა ეპოქას ეკუთვნის და წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს „ახალი აღთქმიდან “აპოსტოლურ მამებამდე.

„დიდაქე“ შემოგვინახა ერთადერთმა ხელნაწერმა (Hierosolymitanus-54), რომელიც 1873 წელს აღმოაჩინა მიტროპოლიტმა ფილთეოს ბრიენნიოსმა კონსტანტინოპოლში. ხელნაწერი 1887 წელს იერუსალიმში იქნა გადატანილი. იგი სპეციალურად შეისწავლა ა. პაპადოპულო-კერამეუსმა. ხელნაწერი გადანუსხულია 1056 წლის 11 ივნისს ლეონის მიერ, რომლის ავტობიოგრაფიაც დართულია თვით ხელნაწერის ბოლოს.

აღნიშნული თხზულება ადრე ქართულ ენაზე, როგორც ჩანს, თარგმნილი არ ყოფილა. ა. ჰარნაკი ვარაუდობდა, რომ „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორს დეკალოგის, ანუ ათი მცნების გადმოცემისას უნდა ეხელმძღვანელა „დიდაქეთი“, ეს მოსაზრება კ. კეკელიძეს დამაჯერებლად არ მიაჩნია (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ. 1980, გვ. 514).

1938 წელს გერმანულ ჟურნალში Zeitsch. für d. neutest. Wiss. XXXI, s. 111—116 დაიბეჭდა გ. ფერაძის წერილი: Die Lehre der zwölf Apostel In der georgischen Ubersetzung. წერილის მიხედვით ირკვევა, რომ გ. ფერაძისთვის ვინმე ფეიქრიშვილს მიუწოდებია „დიდაქეს“ ქართული თარგმანის მის მიერ გადმოწერილი პირი.

ხსენებულ ძეგლს შეეხო კ. კეკელიძეც, რომლის აზრითაც საქმე უნდა გვქონდეს უახლოეს საუკუნეებში შესრულებულ თარგმანთან და არა ადრინდელ ვერსიასთან (კ. კეკელიძე, დასახ. შრომა, გვ. 560). ამ აზრისკენ იხრება ი. კვაჭაძეც (იხ. ი. კვაჭაძე, შენიშვნები „დიდაქეს“ ქართული თარგმანის შესახებ, ლიტერატურული ძიებანი, 111, თბ. 1947; გვ. 375—377). ეს საკითხი, როგორც ჩანს, სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

რადგანაც „დიდაქე“ წარმოადგენს ადრექრისტიანული მწერლობის უმნიშვნელოვანეს ძეგლს, მოციქულთა კალმით გასურნელებულს, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ქართველ მორწმუნეთათვის გაგვეცნო იგი. ქვემორე თარგმანი „დიდაქეს“ ქართულად ამეტყველების მოკრძალებული ცდაა. თარგმანი შესრულებულია „დიდაქეს“ უახლესი კრიტიკული გამოცემიდან: La Doctrine Des Douze Apôtres (Didaché), intr. texte, traduction, notes, appendice et index pai W. Rordorf, A. Tuilier, Paris 1978.

# მოძღვრება
# თორმეტი მოციქულისა

**(მოძღვრება უფლისა თორმეტი მოციქულის მიერ წარმართთა მიმართ)**

I. 1. გზა არის ორი: ერთი სიცოცხლისა და ერთი სიკვდილისა. ამ ორ გზას შორის დიდი სხვაობაა.

2. სიცოცხლის გზა ამგვარია: პირველად შეიყვარე ღმერთი, შემოქმედი შენი (11 სჯ. 6,5; ზირ. 7,30; მათე 22,37). მეორედ — მოყვასი შენი, როგორც საკუთარი თავი (ლევ. 19,18 მათე 22,39). ყველაფერი ის, რაც არ გსურს, რომ შეგემთხვეს შენ, არც შენ შეამთხვიო სხვას (ტობ. 4,15, მათე 7,12; ლუკა 6,31).

3. ამ სიტყვათა მოძღვრება ასეთია: აკურთხეთ თქვენი დამაწყევრები და ილოცეთ თქვენი მტრებისათვის, იმარხულეთ მათთვის, ვინც გდევნით თქვენ (მათე, 5,44; ლკ. 6,28)[1]. რა მადლი იქნება, თუკი შეიყვარებთ თქვენს მოყვარულებს? ნუთუ ამასვე არ შვრებიან წარმართებიც (მათე 5,46—47; ლკ. 6,32—33)? ხოლო თქვენ შეიყვარეთ მოძულენი თქვენი და არ გეყოლებათ მტერი (მათე 5,44; ლკ. 6,27).

4. განეშორე ხორციელ და სხეულებრივ სურვილებს (შერ. 1 პეტრე 2,11)[2]. თუკი ვინმე მარჯვენა ყბაში გაგარტყამს, მიუშვირე მას მეორე (მათე 5,39; ლკ 6,29) და იქნები სრული. თუ ვინმე ერთ მილიონს[3] გაგარბენინებს, მასთან ერთად განვლე ორი (მათე 5,41). თუკი ვინმე მოსასხამს აგართმევს, უბოძე მას პერანგიც (მათე 5.40; ლკ. 6,29). თუ ვინმე შენგან რამეს წაიღებს, აღარ მოთხოვო, რადგანაც ვერ ძალგიძს (შდრ. ლკ. 6,30)[4].

5. ყველას, ვინც კი გთხოვს, მიუბოძე და აღარ მოთხოვო (მათე 5,42). მამას სურს, ყველას მიანიჭოს თავისი მადლი. ნეტარია ის, ვინც გასცემს თანასწორად მცნებისა, რადგანაც არ განისჯება იგი. ვაი მას, ვინც თვით მიიღებს; თუ მოვალეა, რომ მიიღოს, არ განისჯება; თუკი არ არის მოვალე, განისჯება იმის გამო, რატომ მიიღო და რა მიზნით. საპყრობილეში მიყვანილს გამოჰკითხავენ მის საქმეებს და მანამდე არ გაუშვებენ, ვიდრე უკანასკნელ კოდრატსაც[5] არ აზღვევინებენ (მათე 5,26; ლკ. 12,53).

6. ამის შესახებაც თქმულა: „გაიოფლოს მოწყალება შენი შენსავე ხელებში, ვიდრე შეიცნობ, თუ ვისთვის გასცემ“ (ზირ. 12,1).

II. 1. მოძღვრების მეორე მცნება:

2. არა კლა, (გამოსლ. 20,15; 11 სჯ. 5,18), არა იმრუშო (გამოსლ. 20,3; 11 სჯ. 5,17) არ მიეცე მამათმავლობას, სიძვას, პარვას (გამსლ. 20,14; 11 სჯ. 5,19). გრძნეულებას, მეწამლეობას (11 სჯ. 18,10). არ მოკლა ჩვილი ნაადრევი შობით, არცთუ ნაშობი მოაკვდინო; ნურაფერი გწადია შენი მოყვასისა (გამოსლ. 20,17; 11 სჯ. 5,21).

3. ნუ მისცემ ამაო ფიცს (მათე 5,33), ცრუდ ნურავის დაემოწმები (გამოსლ. 20,16; 11 სჯ 5,20), ნუ ბოროტმეტყველებ (მათე 15,4), ნუღარ გახსოვს ცუდი (იგავ. 12,28).

4. ნუ იქნები ორგული და ორენოვანი (ზირ. 5,9: 5,14; 6,1), რადგანაც ორენოვნება მახეა სიკვდილისა (ტობ. 14,10; ფს. 17,6; იგავ. 14,27; 21,6).

5. ნუ იქნება შენი სიტყვა ცრუ და ლიტონი, არამედ — საქმით აღსავსე.

6. ნუ იქნები ნაყროვანი, ხარბი, პირმოთნე, მზაკვარი, ანდა ბოროზი. ნუ განიზრახავ ბოროტს შენი მოყვასისათვის.

7. არ შეიძულო არცერთი კაცი; ერთნი ამხილე, მეორეთათვის ილოცე. სხვანი კი შეიყვარე შენს სულზე მეტად.

III. 1. შვილო ჩემო, განეშორე ყოველგვარ სიავეს და ყოველივეს, რაც მისი მსგავსია.

2. ნუ განრისხდები, რადგანაც რისხვა დალუპვისაკენ წაგიძღვება; ნუ იქნები შურიანი, ნურც მოკამათე, ნურც გულმწყრალი. ყველა მათგანი სიკვდილს შობს.

3. შვილო ჩემო, ნუ აღივსები გულისთქმით, რადგანაც გულისთქმა სიძვისაკენ წაგიძღვება; ნუ იქნები ურცხვადმეტყველი, ნურც ურცხვადმჭვრეტი, რადგანაც მათგან ჩნდება მრუშობა.

4. შვილო ჩემო, ნუ იქნები ფრინველთგრძნეული[6], რადგანაც იგი კერპმსახურებისაკენ გიწინამძღვრებს; ნუ შელოცავ, ნუ ვარსკვლავთმეტყველებ, ნუ განწმედ[7], ნურც ისურვებ, იხილო ეს ყოველივე ანდა ისმინო მათთვის. კერპმსახურებას შობენ ისინი.

5. შვილო ჩემო, ნუ იცრუებ, რადგანაც სიცრუე ქურდობისაკენ მიგიძღვება; ნუ იქნები ვერცხლისმოყვარე, ნურც ცუდმედიდი, რადგანაც მათგან ქურდობა ჩნდება.

6. შვილო ჩემო, ნუ დრტვინავ, რადგანაც დრტვინვა ავსიტყვაობისაკენ გიწინამძღვრებს. ნუ იქნები თავმომწონე, ბოროტმზრახველი, რადგანაც მათგან ავსიტყვაობა იბადება.

7. იყავი მშვიდი, რადგანაც „მშვიდთა დაიმკვიდრონ ქვეყანა“ (ფს. 36,11; მათე 5,5).

8. იქმენ სულგრძელი, გულმოწყალე, უბოროტო, წყნარი, კეთილი; მარადის ძრწოდე იმ სიტყვათაგან, რომლებიც გესმა (ეს. 66,2).

9. ნუ აიმაღლებ თავს; ნურც კადნიერებას მისცემ შენს სულს. თავმოთნეებს ნუ შეერთვება შენი სული; მართალთა და მდაბალთა შორის იმყოფებოდე.

10. ყველაფერი, რაც შეგემთხვევა, მიითვალე, როგორც კეთილი და იცოდე, რომ ღვთის გარეშე არარა ხდება.

IV. 1. შვილო ჩემო, ვინც ღვთის სიტყვას გიქადაგებს, მოიხსენე იგი დღეცა და ღამეც; პატივი მიაგე მას, როგორც უფალს: სადაც მეუფება იქადაგება, იქეა უფალიც.

2. დღითიდღე ეძიე პირნი წმიდათანი[8], რომ შვება მოგცეს მათმა სიტყვებმა.

3. ნუ ქმნი განხეთქილებას; დაამშვიდე მოდავეები;

სიმართლით საჯე და ნუ მიიღებ ისეთ სახეს, თითქოს ამხილებ ცთომათა გამო[9].

4. ნუ იეჭვებ, ასე იქნება, თუ არა[10].

5. ნუ გაშლი ხელებს, რათა მიიღო, და ნუ შეკრავ, რათა არ გასცე (ზირ. 4,31).

6. თუკი მას გასცემ, რაც შენი ხელით მოიპოვე, გამოისყიდი შენსავე ცოდვებს.

7. გაცემის ჟამს ნუ შეეჭვდები და ნუღარ დრტვინავ, როდესაც გასცემ; შეიცნობ მას, ვინც კეთილად მოგიზღავს კუთვნილს (იგავ. 19,17).

8. ნუ გააბრუნებ გაჭირვებულს (ზირ. 4,5). შენსავე მოძმეს უწილადე ყოველივე; არკი უთხრა: ჩემია ეს ყველაფერი. თუ ზიარნი ხართ უკვდავებაში, რამდენად უფრო მოკვდავთა შორის?

9. ხელს ნუ ააღებ შენს ძეს თუ ასულს; სიყრმიდანვე შეასწავლე მათ შიში ღვთისა.

10. მონას თუ მხევალს, რომლებიც იმავ ღმერთს სასოებენ, გამკაცრებით ნუ უმბრძანებლებ, რომ არ დაკარგონ ზენა ღვთის შიში, რადგანაც ღმერთი მათთან მოდის, ვისი სულიც თვით შეამზადა, პირისპირ კი არავის უხმობს[11].

11. თქვენ კი, მონებო, კრძალვით და შიშით მორჩილებდეთ თქვენსავე უფალთ, ვით სახეს ღვთისას[12].

12. გძულდეს ყოველი პირმოთნეობა, ყოველივე, რაც არ თნავს უფალს.

13. არ დაივიწყო უფლის მცნებები და რაც მიიღე, დაიმარხე; არცრა შემატო, არცრა დააკლო (11 სჯ. 4,2; 13,1).

14. ეკლესიაში აღიარე ცთომანი შენი; ბოროტი გულით ნუ შეხვალ ლოცვად.

აი, ეს არის გზა სიცოცხლისა.

V. 1. სიკვდილის გზა კი ამგვარი არის: უპირველესად, ბოროტია ეს გზა და წყეულით აღსავსე: მკვლელობა, მრუშობა, გულისთქმა, სიძვა, ქურდობა, კერპმსახურება, გრძნეულება, მეწამლეობა, ტაცება, ცრუმოწმეობა, პირმოთნეობა, ორგულობა, მზაკვრობა, ამპარტავნება, სიავე, თავმოთნეობა, ნაყროვანება, ურცხვადმეტყველება, მოშურნეობა, კადნიერება, გოროზობა, მედიდურობა, უკრძალველობა.

2. კეთილთა მდევნელნი, ჭეშმარიტების მოძულენი, სიცრუის მოყვარულები, რომლებსაც საზღაური სიმართლისა ვერ შეუცნიათ; განელტვიან სიკეთეს და მართლმსაჯულებას; კეთილის წილ სიბოროტეს ეშურებიან. შორს არის მათგან სიმდაბლე და მოთმინება; ამაოების მოყვარულნი მისაგებელს განიშორებენ; არ იწყალებენ დაცემულებს, არ ზრუნავენ დამაშვრალთათვის, ვერ შეუცნიათ შემოქმედი;

ჩვილთა მკვლელები, საღვთო შესაქმის[13] გამხრწნელები, რომლებიც უკუმიაქცევენ მათდამი მთხოვნელს; ცოდვით სავსენი ჭირვეულებს შეაურვებენ, მდიდრებს იცავენ, არასაქმოსნებს ურჯულოდ სჯიან. განშორდით, შვილნო, ყველაფერ ამგვარს.

VI. 1. გაფრთხილდი, ვინმემ არ აგაცდინოს გზას მოძღვრებისას. ღვთის გარეშე გასწავლის იგი.

2 თუკი ძალგიძს, რომ სრულად იტვირთო უფლის უღელი, სრული იქმნები (მათე 11,29). თუ ეს არ ძალგიძს, რაც ძალგიძს, ის ქმენ.

3. ხოლო ჭამადი, როგორც ძალგიძს, ისე იტვირთე. კერპშეწირულს ფრიად ეკრძალე, რადგანაც — მსახურებაა მკვდარი ღმერთების (საქმე 15,29).

VII. 1. ნ ა თ ლ ი ს ღ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს

ასე მონათლეთ: როცა წარმოთქვამთ ყველაფერს ამას, სახელითა მამისა, ძისა და სულიწმიდისა მდინარი წყლით[14] ნათელი ეცით (შდრ. მათე 28,19).

2. თუ არა გაქვს მდინარი წყალი[14], მონათლე სხვა წყლით. თუკი ვერ ძალგიძს, რომ ცივში იყოს, თბილში მონათლე.

3. თუ არც ერთი გაქვს, არც მეორე, სამგზის დაასხი თავზე წყალი სახელითა მამისა, ძისა და სულიწმიდისა (შდრ. მათე 28,19).

4. ნათლისღებამდე უნდა იმარხულონ ნათლისმცემელმაც და ნათლულმაც, ასევე სხვებმაც, თუკი ძალუძთ. ნათლულს უბრძანე ,იმარხულოს ერთი-ორი დღე.

VIII. 1. პირმოთნეთა[15] მარხულობას ნუ დაემთხვევით. მათი მარხვა ორშაბათსა და ხუთშაბათს ხვდება; თქვენ იმარხულეთ ოთხშაბათსა და პარასკევს.

2. ნუ ილოცებთ ისე, როგორც პირმოთნეები, არამედ, როგორც უფალმა ბრძანა სახარებაში, ასე ილოცეთ:

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცასა შინა[16],
წმიდა იყავნ სახელი შენი,
მოვედინ სუფევა შენი,
იყავნ ნება შენი,
ვითარცა ცასა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა.
პური ჩვენი არსობისა[17] მომეც ჩვენ დღეს
და მომიტევენ ჩვენ თანანადები ჩვენი,
ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა,
და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა,
არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. (მათე 6,9—13; ლკ. 11,2—4).
რამეთუ შენი არს ძალი და დიდება, უკუნითი უკუნისამდე!

3. დღეში სამგზის ილოცეთ ასე

IX. 1. ევქარისტიისათვის:

ასე მადლობდეთ:

2. უპირველესად, სასმისის გამო:

გმადლობთ შენ, მამაო ჩვენო,
დავითის, შენი მსახურის[18], წმიდა ვენახისათვის,
რომელიც გაგვიცხადე შენი ძის[18], იესუს მიერ.
დიდება შენდა უკუნისამდე!

3. პურის განტეხვისათვის:

გმადლობთ შენ, მამაო ჩვენო
სიცოცხლისა და ცოდნისა გამო,
რაც გაგვიცხადე შენი ძის[18] იესუს მიერ.
დიდება შენდა, უკუნისამდე!

4. როგორც ეს პური, მთების ზემოთ მიმოფანტული,
შეიკრიბა და ერთი გახდა,
ამგვარადვე შეიკრიბოს კიდით-კიდე ეკლესია შენი
სასუფეველში,

რამეთუ შენი არს დიდება და ძალი იესუ
ქრისტეს მიერ უკუნისამდე!

5. არავინ ჭამოს, არავინ შესვას თქვენეული
ევქარისტია[19],

თუ არა იმან, ვინც ნათელიღო უფლის სახელით. ამის შესახებ თქვა უფალმა: „ნუ მისცემთ ძაღლებს მას, რაც წმიდაა“ (მათე 7,6)

X. 1. ავსების[20] შემდეგ ასე მადლობდეთ:

2. გმადლობთ შენ, წმიდაო მამაო,
შენი წმიდა სახელის გამო,
ჩვენს გულებში რომ დაამკვიდრე;
— ცოდნის, რწმენის, უკვდავების გამო,
.რაც გაგვიცხადე შენი ძის იესუს მიერ.
დიდება შენდა უკუნისამდე!

3. შენ, უფალო ყოვლისმპყრობელო,
დაბადე ყოველივე სახელისა შენისათვის
საზრდელი და სასმელი მიანიჭე ადამიანებს,
რათა იშვებდნენ და შენ გმადლობდნენ;
ჩვენ კი მოგვმადლე სულიერი საზრდელ-
სასმელი,
და საუკუნო სიცოცხლე, შენი ძის, იესუს მიერ!

4. გმადლობთ შენ ყველაფრისათვის, რადგანაც
ძლიერ ხარ შენ!
დიდება შენდა უკუნისამდე!

5. მოიხსენე, უფალო, ეკლესია შენი და იხსენ
იგი ყოველგვარი ბოროტისაგან,
შენს სიყვარულში სრულყავი იგი
და წმიდაქმნილი ოთხივ ქარისგან შემოკრიბე
სასუფეველში,
რომელიც მასვე განუმზადე;
რამეთუ შენი არს ძალი და დიდება უკუნისამდე!

6. მოვიდეს მადლი და გარდავიდეს ეს სამყარო;
ოსანა ღმერთსა დავითისა (მათე 21,9; 21,15)!
თუკი წმიდაა ვინმე, მოვიდეს!
და თუ არ არის — შეინანოს!
მარანათა (1 კორ. 16,22)!
ამინ!

7. წინასმეტყველთ ნება დართეთ, აღავლინონ
სამადლობელი,
რამდენიც სურდეთ.

XI. 1. ვინც თქვენთან მოვა და გასწავლით
ყველაფერ იმას, რაც ზემოთ ითქვა, მიიღეთ იგი.

2. იქნებ მოძღვარი თვით მიიქცეს სხვა სწავლებისკენ. თუ თქვენს წარწყმედას ცდილობს იგი, არაფერი ისმინოთ მისი, მაგრამ თუ სურს, კიდევ უფრო შეგემატოთ სიმართლე და ცოდნა უფლისა, შეიწყნარეთ, როგორც უფალი.

3. მოციქულებისა და წინასწარმეტყველების მიმართ სახარების მცნების თანახმად იმოქმედეთ.

4. ყოველი მოციქული, ვინც თქვენთან მოვა, შეიწყნარეთ, როგორც უფალი.

5. არ დარჩება იგი ერთ დღეზე მეტად (თუ საჭიროა — მომდევნო დღესაც), და თუ სამი დღით დაყოვნდება, ცრუწინასწარმეტყველი ყოფილა იგი.

6. როცა დაგტოვებთ მოციქული, არაფერი წაიღოს საგზლად, გარდა პურისა; თუ ვერცხლს მოითხოვს, ცრუ წინასწარმეტყველი ყოფილა იგი.

7. ნუ გამოცდით და ნუ განსჯით წინასწარმეტყველს, რომელიც სულის მიერ გემეტყველებათ, რადგანაც ყოველი ცოდვა მიეტევება კაცს, ეს ცოდვა კი არ მიეტევება (მათე 12,31).

8. ყველა, ვინც სულის მიერ მეტყველებს, წინასწარმეტყველი ვერ იქნება, თუ უფლის წესებს არ ფლობს იგი[21]. სწორედ წესთაგან შეიცნობა ცრუწინასწარმეტყველი და წინასწარმეტყველი.

9. ყოველმა წინასწარმეტყველმა, რომელმაც სულის მიერ განაწესა ტრაპეზი, არ ჭამოს მისგან; და თუ შეჭამს, ცრუწინასწარმეტყველი ყოფილა იგი.

10. ყოველი წინასწარმეტყველი, რომელიც ჭეშმარიტებას ასწავლის მაგრამ თავად არ მოქმედებს ისე, როგორც ასწავლის, ცრუწინასწარმეტყველია იგი.

11. თქვენ კი ნუ განსჯით იმ გამოცდილსა და ჭეშმარიტ წინასწარმეტყველს, რომელიც ეკლესიის ამქვეყნიური საიდუმლოს თანახმად მოქმედებს[22], მაგრამ არავის ასწავლის იმას, რასაც თავად იქმს. ღვთისაგან განისჯება იგი; ამასვე შვრებოდნენ ძველი წინასწარმეტყველებიც.

12. ვინმეს რომ გითხრათ სულის მიერ: „მომეცით ვერცხლი“, ან სხვა ამგვარი, არაფერი ისმინოთ მისი; ჭირვეულთათვის მისაცემად თუ გეტყვით ამას, ნუ განიკითხავთ.

XII. 1. ვინც თქვენთან მოვა უფლის სახელით, შეიწყნარეთ; შემდეგ გამოცდით მას და შეიცნობთ, რადგანაც იცით თქვენ გარჩევა მარჯვენისა და მარცხენისა.

2. თუკი მოსული მგზავრია ვინმე, შეეწიეთ, როგორც შეგეძლოთ. არ დაყოვნდება იგი თქვენთან, ან თუ დასჭირდა, დაიხანებს ორი-სამი დღე.

3. თუკი ისურვებს თქვენთან ყოფნას და თუ ხელობაც ეხერხება, იშრომოს და ისე ჭამოს.

4. თუკი არა აქვს რამ ხელობა, გონივრულად განჭვრიტეთ მისთვის: არავინ იყოს ქრისტიანი თქვენს შორის უქმად.

5. თუ არ ისურვებს ამგვარად ყოფას, ქრისტესმოვაჭრე ყოფილა იგი. ეკრძალეთ მას.

XIII. 1. ყველა ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი, რომელიც თქვენთან დამკვიდრებას მოისურვებს, ღირსია თავისი საზრდელისა (შდრ. მათე 10,10; 1 ტიმ. 5,18).

2. ასევე, ჭეშმარიტი მოძღვარი, როგორც მუშა — კი, ღირსია თავისი საზრდელისა.

3. რასაც კი შეკრებთ საწნახელში თუ კალოზე, საქონლის ჯოგში თუ ცხვრის ფარაში, წინასწარმეტყველთ მიუბოძეთ პირველნაყოფი. მღვდელმთავრები არიან ისინი თქვენთვის.

4. თუკი არა გყავთ წინასწარმეტყველი, უბოძეთ გლახაკთ.

5. თუ პურს მოიწევ, გამოიღე პირველნაყოფი და მცნებისამებრ გაეცი იგი.

6. როცა თავს ახდი ღვინის ჭურჭელს ანდა ზეთისას, პირველთავი გამოიღე და უბოძე წინასწარმეტყველთ. ვერცხლის ფულის, სამოსელის, მთელი ქონების პირველთავი ისე აიღე, როგორც ისურვებ და გაეცი მცნების თანახმად.

XIV. 1. უფლის კვირადღეს შეიკრიბეთ, განტეხეთ პური და აღაელინეთ სამადლობელი[23]; აღიარეთ შეცოდებანი, რომ წმიდა იყოს მსხვერპლი თქვენი.

2. ვინც ეჭიშპება თავის მოყვასს, ვიდრე დაცხრება, ნუ მოვა თქვენთან, რომ არ შებილწოს მსხვერპლი თქვენი.

3. უფალმა ეს თქვა: „ყოველ ადგილას და ყოველ ჟამს შემომწირეთ მე წმიდა მსხვერპლი. მეუფე ვარ დიდი, — ამბობს უფალი — სახელი ჩემი საკვირველია წარმართთა შორის“ (მალ. 1,11).

XV. 1. დაადგინეთ თქვენთვის ეპისკოპოსები და დიაკვნები, ღირსნი უფლისა, კაცნი მშვიდნი და უვერცხლონი, ჭეშმარიტნი და გამოცდილნი. რომ წინასწარმეტყველთა და მოძღვართა ლიტურგია ამსახურონ მათაც თქვენს შორის.

2. არ მოიძაგოთ ისინი, რადგანაც თქვენს მიერ წინასწარმეტყველთა და მოძღვართა დარად არიან პატივდებულნი[24].

3. ამხილეთ ერთურთი, არა რისხვით, არამედ დაწყნარებით, როგორც თქმულა სახარებაში. ხმა არ გასცეთ მას, ვინც სხვას აცდენს; არც არაფერი ისმინოთ მისი, ვიდრე თვით არ მოინანიებს.

4. თქვენი ლოცვები, მოწყალებანი და ყველაფერი, რასაც შვრებით, იმგვარად ქმენით, როგორც უფალმა დაგვიწესა სახარებაში[25].

XVI. 1. იფხიზლეთ თქვენი ცხოვრებისათვის. ნუ ჩაქრება თქვენი სანთლები, ნურც სარტყლები შემოგერღვევათ (ლკ. 12,35); განემზადენით! არავინ იცით, როდის მოვა უფალი ჩვენი (მათე 24,42).

2. ხშირად და ხშირად შეიკრიბეთ; გამოეძიეთ უმჯობესი თქვენი სულისა. ვერაფერს გარგებთ თქვენი რწმენის მთელი წინა დრო, თუ არ იქნებით სრულყოფილნი ბოლო ჟამისთვის.

3. ბოლო დღეებში ცრუწინასწარმეტყველები და გამხრწნელები გამრავლდებიან; შეიცვლებიან ცხვრები მგლებად, სიყვარული კი სიძულვილად გადაიქცევა (მათე 24,11—12).

4. განივრცობა ურჯულოება (მათე 24,12) და ერთმანეთს მოიძაგებენ; განდევნიან და გასცემენ ერთურთს (მათე 24,10). სწორედ მაშინ გამოჩნდება ქვეყნისმაცდური, როგორც ძე ღვთისა, და ჰყოფს იგი ნიშებსა და სასწაულებს (მათე 24,24). მიწაც მის ხელებს მიეცემა. იმგვარ ურჯულოებას აღასრულებს ქვეყნისმაცდური, რაც არ ქმნილა საუკუნიდან[26] (შდრ. იოელ 2,2).

5. გამოცდის ცეცხლს მიეცემა კაცთა არსება. ბევრი მათგანი შეცდება და წარიწყმიდება, ხოლო ვინც რწმენით განმტკიცდება, გამოიხსნება წყევლისაგან (შდ. მათე. 24,13; 10,22).

6. ჭეშმარიტების ნიშანდებაც სწორედ მაშინ გამოვლინდება: უპირველესად, ეს იქნება ნიშანი ცაში გავრცობისა[27], შემდეგ — ნიშანი საყვირთა ხმისა (მათე 24,31), ხოლო მესამე — მკვდართა აღდგომა, —

7. არა ყველასი, არამედ ისე, როგორც თქმულა: „მოვა უფალი და მასთან ერთად ყველა წმინდანი“ (ზაქ. 14,5).

8. მაშინ იხილავს სამყარო უფალს „მომავალსა ღრუბელთა ზედა ცისათა“ (მათე 24,30)...[23].

## შენიშვნები

1. შესაძლოა აქ საუბარი ეხებოდეს ებრაელთა კვირეულ მარხვას (ოთხშაბათსა და პარასკევს), რაც დაზუსტებულია მომდევნო ნაწილში: იხ. თავი VIII, I (La Doctrine... p. 145).

2. შდრ. „ხორციელი“—σαρκικός, „სხეულებრივი—σωματικός“.

3. „მილიონი“ (μίλιον) სიგრძის ერთეული =1, 48 კილომეტრს.

4. ბოლო ფრაზა „რადგანაც ვერ ძალგიძს“ (οὐδὲ γὰρ δύνασαι—car tu ne le peux pas), როგორც განმარტავენ, გულისხმობს შემდეგს: ჭეშმარიტი ქრისტიანი ძალადობას არ მიმართავს, არც წარმართთა სასამართლოს სთხოვს იგი დახმარებას: შესაბამისად, თუკი ვინმე რამეს წაართმევს ქრისტიანს, იგი წართმეულის უკან დაბრუნებას ვერ შეძლებს.

5. „კოდრატი“ (κοδράντης)—იგივეა რაც ლათინური „quadrans“ (=3 უნცია=81,86 გ.)

6. შდრ. οἰωνοσκόπος—ვინც ფრინველთა ფრენის მიხედვით მკითხაობს (οἰωνός—ფრინველი; σκόπος—დამკვირვებელი, მჭვრეტი).

7. μηδὲ περικαθαίρων—„ნურც განშწმედი (იჭნები)“—შდრ. ni aux purifications (t'adonne)—როგორც ჩანს, იგულისხმება ცეცხლით განწმედა (La Doctrine... p. 153, n. 7).

8. τὰ πρόσωπα τῶν ἁγίων — იგულისხმება წმიდანთა გარემო, წმიდანთა საკრებულო

9. οὐ λήψῃ πρόσωπον ἐλεγξαι ἐπὶ παραπτώμασιν. ეს არისსაკმაოდ ბუნდოვანი ადგილი. შდრ. ფრ. et tu ne feras pas acception de la personne pour corriger les fautes საკამათოა რუსული თარგმანი: Обличая проступки, не взирай на лицо (Раннехристианские Отцы, с. 18).

აღნიშნულ ადგილას შესიტყვება λάμβανω πρόσωπον, ვფიქრობთ, უთუოდ „პირფფრობას“ გულისხმობს. ხსენებული გამოთქმა უარყოფით კონტექსტში οὐ λήψῃ πρόσωπον ზედმიწევნით უიგივდება ქართული ფიგურალურ ფრაზას: „ნუ მიიღებ ისეთ სახეს, თითქოს...“ საგულისხმოა, რომ ბერძნულ მწერლობაში არსებობდა ციტირებული ფრაზის საფუძველზე შექმნილი კომპოზიტი ἀπροσωπόληπτος, რაც სწორედ „პირუთვნელს“ აღნიშნავს. ეს სიტყვა გვხვდება, მაგალითად იპოლიტე რომაელის სახელგანთქმულ შრომაში „უწყება ქრისტესა და ანტექრისტეს შესახებ“: ὁ τοῦ θεοῦ Λόγος... το ἑαυτοῦ εὔσπλαγχνον καὶ ἀπροσωπόληπτον ἐνδείκνυται (pG 10, col. 729 c): „ღვთის სიტყვამ... საკუთარი გულმოწყალება და პირუთვნელობა გამოაჩინა“. ძველ ქართულ თარგმანში ἀπροσωπόληπτον-ს შესატყვისად „დაურიდებლად,“ რაც იმავე „პირუთვნელობის“ შინაარსს შეიცავს. ლათინური თარგმანიც ამავე შინაარსისაა: minime acceptor est personarum.

ამგვარად, ვფიქრობთ „დიდაქეს“ ზემომოტანილ ფრაზაში ნაგულისხმევი უნდა იყოს სწორედ „პირუთვნელობა“.

10. **οὐ διψυχήσεις, πότερον ἔσται ἢ οὔ** ეს ფრაზა ბუნდოვანია. კრიტიკულ გამოცემაში იგი კვალიფიცირებულია, როგორც „verset plutôt enigmatique „(იხ. La Doctrine... p. 159) ფრანგული თარგმანი ასეთია: Tu ne t'inquiéteras pas de savoir ce qu'il adviendra ou non. საყურადღებო გააზრებას გვაწვდის რუსული თარგმანი: Не сомневаися в том, будет ли (суд Божий), თუმცა მთარგმნელისეული ჩანართი (суд Божий) ორიგინალის მიხედვით გამართლებული არ არის.

როგორც ჩანს, აღნიშნულ ადგილას საუბარი ეხება იმას, რომ ღვთისაკენ მიქცეული ადამიანის ყოველი ქმედება გამსჭვალული უნდა იყოს ჭეშმარიტი რწმენით. იგი არ უნდა დაეჭვდეს, რომ ყველაფერი, რასაც აკეთებს, სასურველ შედეგს მოიტანს მისთვის. აღნიშნული ფრაზა მორწმუნეებს მოუწოდებს მთელი არსებით მიენდონ უფალს.

11. **οὐ γὰρ ἔρχεται κατα πρόσωπον καλέσαι, ἀλλ'-ἐφ'ὃύς τὸ πνεῦμα ἡτοίμασεν**; შდრ. ფრ: il ne vient pas pour appeler selon l'apparance, mais ceux dont il a préparé l'ésprit. იგივე აზრი გვხვდება „იოანეს აპოკრიფში“ (იხ. W. P. Hauschild, Gottes Geist und der Mensch, München 1972 p. 225 s. იხ. La Doctrine... p. 163, n. 5.)

12. შდრ. ... **ὡς τύπῳ θεοῦ.**

13. შდრ. ... **πλάσματος θεοῦ.**

14. შდრ. ... **ἐν ὕδατι ζῶντι; τὸ ὕδωρ ζῶν** პირდაპირი თარგმანით ნიშნავს „ცხოველ წყალს“. დღეისათვის გარკვეულია, რომ ნათლისღებასთან დაკავშირებით აღნიშნულ შესიტყვებაში **ζῶν** გულისხმობს გამდინარ წყალს. შდრ. ფსევდო-კლემენტის სიტყვები: ...მიიყვანენ მას მდინარესთან ანდა წყაროსთან, რომელიც არის ცხოველი წყალი (**ζῶν ὕδωρ**), რომელშიც მართალთა ხელახალი შობა აღსრულდება“ (La Doctrine... p. 171).

აქვე ხაზგასმულია ისიც, რომ ხსენებული ფრაზა თავისთავად ღრმად მისტიკური შინაარსისაა და სულიერ სამყაროს მიემართება. ამ აზრით გვხვდება **τὸ ζῶν ὕδωρ**, მაგალითად, ეგნატი ანტიოქელთან: **ὕδωρ δε ζῶν ἀλλόμενον ἐν ἐμοὶ, ἔσωθὲν μοι λέγει: Δεῦρο πρὸς τὸν Πατέρα** (pG. t. 5, p. 814)—შდრ. გიორგი მთაწმიდლის თარგმანი: „წყალი ცხოველი ვალს ჩემ შორის შინაგან და მეტყჳს მე: მოვედ მამისა ჩემისა“ (საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1988, გვ. 623, გამოსცა ი. ბოროდამ).

15 „პირმოთნენი“ (**ὑποκριταί** — ებრაელთა ერთერთი რელიგიური სექტა; შესაძლოა უიგივდებოდნენ „ფარისევლებს“.

16. სახარებისეული მრავლობითი „ცათა შინა“ „დიდაქეში“ მხოლობითითაა წარმოდგენილი (**ἐν τῷ οὐρανῷ**).

17. შდრ. **ἐπιουσιος**: ეს სიტყვა სახარების ქართულ რედაქციებში თარგმნილია, როგორც: „არსობისაჲ“ „თანაარსობისაჲ“, „სამარადისოჲ“. შინაარსობრივად იგი ნიშნავს „დღიურს“, „ყოველდღიურს“.

18. ორიგინალში გვაქვს **παῖς**, რომელიც ნიშნავს როგორც „ყრმას“, „ბავშვს“, ასევე—„მსახურს“.

19. „ევქარისტია“ (**εὐχαριστία**), საზოგადოდ, „სამადლობელს“ ნიშნავს. რადგანაც ამ შემთხვევაში იგი ტექნიკური ტერმინია (ნიშნავს იმავეს, რასაც „ზიარება“), უთარგმნელად დავტოვეთ.

20. **ἐμπλησθῆναι** — საზოგადოდ, ნიშნავს „საკმლით ავსებას“, „დანაყრებას“, „გაძღომას“. აღნიშნულ ადგილას მას სპირიტუალური შინაარსი აქვს. ქრისტეს ხორცთან და სისხლთან ზიარება დაულეველი სულიერი საზრდოთი „აღავსებს“ ზიარებულს.

21. ...**ἀλλ'ἐὰν ἔχῃ τοὺς τρόπους κυρίου**—იგულისხმება უფლისმიერი ცხოვრების წესი (შდრ. les facons de vivre du Seigneur; Нрав Господень).

22. შდრ,... **ποιῶν εἰς μυστήριον κοσμικὸν ἐκκλησίας**; როგორც ჩანს, იგულისხმება ის საიდუმლო ეკლესიისა, რომელიც ხილულ სამყაროში არსებობს (**κοσμικός** სამყაროული, მსოფლიო, ამქვეყნიური).

23. შდრ. **κατὰ κυριακὴν δὲ κυρίου συναχθέντες κλάσατε ἄρτον καὶ εὐχαριστήσατε**; „დიდაქეს“ ეს ნაწილი საყურადღებოა პირველქრისტიანთა ყოფის შესასწავლად.

24. შდრ. **μὴ οὖν ὑπερίδητε αὐτούς αὐτοὶ γὰρ εἰσιν οἱ τετιμημενοι ὑμῶν μετὰ τῶν προφητῶν καὶ διδασκάλων.** (ფრ. თარგ. Car ils sont parmi vous ceux qui sont honorés au même titre que les prophetes et les docteurs).

25. ძნელია ზუსტად განსაზღვრა, თუ სახარების რომელ მუხლს ეხება მითითება. შესაძლოა აქ იგულისხმებოდეს მათე 18,15.

26. **ἐξ αἰῶνος** (შდრ. depuis le commencement des siecles—იგულისხმება „დასაბამიდან“;

27. შდრ. **πρῶτον σημεῖον ἐκπετάσεως ἐν οὐρανῷ** მიიჩნევენ, რომ „ცაში გავრცობა“ მოასწავებს ჯვარს, რომლის განფენილი მკლავები შემოწერს მთელ სამყაროს (იხ. La doctrine... p. 198 n. 1).

28. აქ წყდება ტექსტი. დარჩენილი ნაწილი მიახლოებითი სიზუსტით შეიძლება აღდგეს ცნობილი ადრექრისტიანული ძეგლის „მოციქულთა კანონების“ მიხედვით, რომელიც „დიდაქეს“ ბოლო ნაწილის ასეთ პარაფრაზს გვაწვდის:

„და მაშინ მოვა უფალი—მიწისძვრის ჟამს (**ἐν συσσεισμῷ**) „ღრუბელთა ზედა“ (I თეს. IV, 16) სამეუფო ტახტზე ანგელოზთა შორის, რომლებიც მისი ძალისაგან არიან (**μετ'ἀγγελων δυνάμεω ς αὐτοῦ**) და ყველა წმინდანი მის გვერდით (იქნება); და განსჯის იგი ქვეყნის-მაცდურ ეშმაკს და საქმის მიხედვით მიაგებს ყველას (შდრ. მათე 16, 27); მაშინ განიდევნება ყველა ბოროტი საუკუნო სატანჯველში, ხოლო მართალნი საუკუნო ცხოვრებაში შევლენ (მათე 25, 46), და დაიმკვიდრებენ მას, რაც „თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუჯდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა თჳსთა“ (I კორ. 11, 9) და განიხარებენ ღვთის სასუფეველში, რომელიც არის იესუ ქრისტეს შორის“ (**καὶ χαρήσονται ἐν τῇ βασιλεία τοῦ θεοῦ τῇ ἐν χριστῷ 'Ιησοῦ**).

თარგმნა და კომენტარები
დაურთო **ᲔᲓᲘᲨᲔᲠ ᲯᲔᲚᲘᲫᲔᲛ.**

# გრიგოლ ფერაძე



„... დოქტორი თეოლოგიისა, პროფესორი პატროლოგიისა ვარშავის უნივერსიტეტში, არქიმანდრიტი მართლმადიდებელი ეკლესიისა ცნობილი იყო, როგორც მკვლევარი ქართული ისტორიისა. ხშირად აქვეყნებდა წერილებს მეცნიერულ ქრისტიანულ ჟურნალებში... საეკლესიო საკითხებზე. ჰქონდა უძვირფასესი ბიბლიოთეკა, აგრეთვე უძვირფასესი საგნები, რომელიც მან ჩამოიტანა აღმოსავლეთში მოგზაურობიდან — ტყავზე ხელნაწერები, პალიმფსესტები. ჰქონდა დაწერილი მრავალი გამოკვლევა იოანე ბატონიშვილისა და იოანე ხელაშვილის შესახებ, აგრეთვე ბიბლიის ებრაული ენიდან ახალი თარგმანები და სხვა, ნარკვევები მეცნიერულ საკითხებზე. ყველაფერი ეს დაიკარგა მისი დაჭერის დროს ვარშავაში. არავინ უწყის მას შემდეგ ბედი ამ ნივთებისა. ბრალდებოდა, თურმე, ბოლშევიკებთან კავშირი. სინამდვილე არავინ იცის. გავლენიანი ქართველები ომის დროს ბევრს ეცადნენ, რომ დაეხსნათ თქვენი ძმა. სამწუხაროდ, არაფერი გამოსულა. აი, რაც შეიძლია გამცნოთ. მისი სიკვდილი ქართული მეცნიერებისათვის საზღვარ-გარეთ დიდი დანაკლისი იყო“ — აუწყა 1969 წლის 11 აგვისტოს პარიზიდან წერილით არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის შესახებ აწგანსვენებულმა მეცნიერმა და მამულიშვილმა კალისტრატე სალიამ ვასილ ფერაძეს.

გრიგოლ ფერაძის დაღუპვის ზუსტი თარიღი არავინ იცის — 1944 წლის გამოუცნობმა დღემ სისხლიან ხარკად მიითვალა იგი.

დავსძენთ: მამა გრიგოლის მოწამებრივი აღსასრული მოუშუშებელი იარაა არა მხოლოდ „ქართული მეცნიერებისათვის საზღვარ-გარეთ“, არამედ ზოგადქრისტიანული კულტურისათვის, ვინაიდან მსახვრალმა ხელმა, უსამართლოდ განსჯილთან ერთად, იავარყო სამოციქულო ეკლესიის გარდასულ დღეთა „ნაშთნი ცხოველნი“, ჭეშმარიტების შესამეცნებლად რომ მოიძია ქართველმა ბერმა მამა-პაპათა ნატერფალზე სირიასა თუ პალესტინაში, საბერძნეთსა თუ ბულგარეთში, აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში.

1929 წლის იანვარში გრიგოლ ფერაძემ, სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მიერ ევროპაში სასწავლებლად მივლინებულმა, რომელიც უკვე მეცნიერების, კულტურისა და განათლების ზეაღმავალ ხარისხზე იდგა, თბილისის სასულიერო სემინარიის ყოფილ რექტორს — პროფესორ კორნელი კეკელიძეს მამაშვილური ბარათით გაუზიარა გულის ზრახვანი და შეჯერვებანი: „...საშინლად ვიტანჯები. არაფრის ხალისი არ მაქვს... თუმცა ნივთიერად სრულიად უზრუნველყოფილი ვარ... რისთვის ვიტანჯე ამდენი ხანი, რისთვის ვისწავლე; რისთვის მოვიარე თითქმის მთელი ევროპა? რატომ არ მიშვებენ სახლში, რა დავაშავე?...“ „შეიძლება სამეცნიერო კარიერას მთლად თავი დავანებო და საეკლესიო სამსახურს შევუდგე. სახლში ხომ მაინც არ მიშვებენ? (მიზეზი არ ვიცი!)... მიუხედავად დიდი სიყვარულისა მეცნიერებისადმი, იგი სრულიად არ მაკმაყოფილებს...“.

და ჭაბუკმა ქართველოლოგმაც ძალე შეიმოსა ბერობის მადლი.

„ვერ ხელეწიფების ქალაქსა დაფარვად მთასა ზედა დაშენებულსა“ (მათე 5,14): არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის ნაამაგარი დღეს „უფროსად კურთხეული“ და პირმეტყველია, იხილვება და ცნაურდება ჩვენს შორის. მან ჭეშმარიტად მთასა ზედა დააშენა და განაბრწყინა ქალაქი სულიერი, აღმატებული და ზეციური — აკვანი ქართული ემიგრაციისა და დიასპორისა — პარიზის წმ. ნინოს საყდარი. ავბედობის ჟამს ფრანგთა ქვეყანას გარდახვეწილ მორწმუნე ქართველების სულს იქ, იმ ციხ-ქვეშეთში, ათ წელიწადს „ქვრივობის“ შემდეგ, 1931 წლის 31 მაისს, ლხენად ჩაეღვარა დედაენაზე ჟამისწირვის ტკბილხმოვანება. ცხოველმყოფელი საიდუმლოც მათ მღვივან გულებს მამა გრიგოლის ხელით მიეადლა. იმავე წელს ქართული ემიგრაციის რელიგიური ცხოვრების საზრდოდ დაარსდა და გამოიცა ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, რომლის ფურცლებზე, ღარიბ-ღატაკი ქართველი მრევლის წვითა და დაგვით რომ ისტამბებოდა პარიზში, ჩვენი წარსულისა თუ აწმყოს მრავალი საკითხი გაშუქდა, — მეცნიერულიც და პრაქტიკულიც. პირუთვნელი მკვლევარი მომავალში მათ სათანადო ადგილს მიუჩენს.

„ჯვარი ვაზისას“ პირველ ნომერში (მარიამობის თვე, 1931) წარმოდგენილია არქიმანდრიტ (იმჟამად ხუცესმონაზონ) გრიგოლ ფერაძის ბიოგრაფია, რომლის ავტორი ჩვენთვის უცნობია. იგი ყველაზე სანდო წყაროდ გვესახება ქართველი თეოლოგისა და ფილოლოგის „მოქალაქობის“ სრულყოფილად შეხწავლის გზაზე. დღემდე მოძიებულ ცნობებსა თუ გამოკვლევებს ეს სტატია რამდენადმე ავსებს და აზუსტებს. ამიტომაც მიგვაჩნია მიზანშეწონილად მისი მთლიანად წარმოჩენა:

„გრ. ფერაძე დაიბადა 13. 09. 1899 სოფ. ბაკურციხეში (ხიდნადის მაზრა), სადაც მამა მისი რომანოსი მღვდელი იყო. სწავლობდა გრიგოლი ტფილისის სახელმწიფო სასწავლებელში და შემდეგ ტფილისის სახელმწიფო სემინარიაში, რომელიც დასრულა 1918 წელს; საკათალიკოსო საბჭომ მაშინდელი სემინარიის რექტორის პროფ. კეკელიძის შუამდგომლობით მიმართა გენერალ ფონ კრესს გრ. ფერაძისათვის რომელიმე გერმანულ თეოლოგიურ ფაკულტეტზე სტიპენდიის მიცემის შესახებ (ვინაიდან, როგორც პირველი სარისხით სწავლადასრულებულისათვის, მისი გაგზავნა რუსეთის რომელიმე აკადემიაში ბოლშევიკური რევოლუციის გამო შეუძლებელი იყო). ფონ კრესსი ოფიციალური მიმართვით შეპპირდა საკათალიკოსო საბჭოს, მაგრამ გერმანიაში ამტყდარმა რევოლუციამ ამ გეგმას ხელი შეუშალა. გრ. ფერაძე წავიდა მასწავლებლად ს. ზემოსანდაკში (გორის მაზრა). 1919 წ. მას გაიწვევენ ჯარში და იგი მსახურობს გორში, ბორჯომში და ახალციხეში. ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ იგი მიდის მასწავლებლად ს. მანავში 1921 წ. მარტში. იმავე წელს გარეკახეთის სამღვდელოება აგზავნის მას წარმომადგენლად შესამე საეკლესიო კრებაზე გელათში, სადაც მისი ევროპაში გაგზავნის საკითხი, ისევე პროფ. კეკელიძის და მიტრ. ნაზარის შუამდგომლობით, ხელმეორედ ისმება. ცნობილ მოღვაწე არტურ ლაისტის დახმარებით იგი სტოვებს საქართველოს 1921 წ.

გერმანიაში ჩამოსვლისას გრ. ფერაძე სწავლობს სამი წელიწადი ბერლინის უნივერსიტეტში (1922—25) და ერთი ბონში. თეოლოგიასთან ერთად აგრეთვე ეუფლება აღმოსავლურ ენებს: ძველ ებრაულს, სირიულს, არაბულს, კოპტურს და სომხურს. 1926 წ. იგი აბარებს სადოქტორო გამოცდებს ფილოსოფიურ ფაკულტეტზე და მიემგზავრება ბელგიაში ცნობილ ბოლანდისტ პეეტერსთან სამუშაოდ და იქიდან ლუვენის უნივერსიტეტში, სადაც რჩება ერთი წლით. შემდეგ ხვრდება ერთი წლით სტიპენდია ინგლისში. მაგრამ, სამწუხაროდ, 1927. ბონში კვდება ცნობილი ორიენტალისტი და ქართველოლოგი გუხენი და მის ალაგას იწვევენ გრ. ფერაძეს. სამი და ნახევარი თვის ინგლისში ყოფნის შემდეგ იგი უბრუნდება ბონს, სადაც დღევანდლამდე მუშაობს.

1927 წ. ცნობილ საეკლესიო კონფერენციაზე ლოზანაში გრ. ფერაძეს მიიწვევენ გერმანელ და შვეიცარელ (ძველ კათოლიკების) დელეგატთა რჩევით საქართველოს ეკლესიის კოპტურ წარმომადგენლად (?!).

გრ. ფერაძეს გამოქვეყნებული აქვს ხვადასხვა ენაზე სამეცნიერო შრომანი და გამოკვლევანი, რომელთა შორის შემდეგი არიან:

1. ქართული ბერობის შესახებ (გერმანულ ენაზე);
2. ბერობის დასაწყისი საქართველოში (გერმანულად);
3. ქართველ ბერთა ლიტერატურული მოღვაწეობა ათონის მთაზე (ფრანგულად);
4. შობის დღესასწაული იერუსალიმში მე-7 საუკუნეში;
5. ცნობილ ლიტურგისტ პრ. ბაუმშტარკთან ერთად ძველი ქართული ლიტერატურა და მისი პრობლემები (გერმ.).
6. წინაბიზანტიური ლიტურგიის შესახებ საქართველოში (გერმ.). ეს გამოკვლევა ჯერ მოხსენების სახით წაკითხულ იქმნა 1928 წ. ბონში ორიენტალისტთა კრებაზე, სადაც შემდეგ პლენარულ კრებაზე გამოტანილ იქმნა რეზოლუცია ქართულ ლიტერატურულ ნაშთების მნიშვნელობის და გერმანულ უნივერსიტეტებში მათი შესწავლის აუცილებლობის შესახებ. ეს რეზოლუცია წარედგინა პრუსიის განათლების მინისტრს ბეკერს;
7. პრობლემანი ქართულ სახარების თარგმანისა. — წაკითხული ვენაში 1930 წ. და დაბეჭდილი;
8. ძველი ქართული ლიტ. შესახებ საქართველოში (გერმ.)*. ეს გამოკვლევა იბეჭდება გაგრძელებით. დღემდე (გამოქვეყნებულია) მხოლოდ ასოები: ა, ბ, ც, დ, ე, ფ, გ. (კეკელიძის კატალოგის მიხედვით).

აგრეთვე — ესკიზები ქართულ კულტურულ ცხოვრებიდან: 1) წმიდა გიორგის შესახებ; 2) სპეციფიკური ქართული ბერობის შესახებ მმართლმადიდებელ ბერობაში“.

წინამდებარე ქადაგებების ციკლი — „მამაო ჩვენოს“ განმარტება—ავტორს წარმოუთქვამს პარიზის წმ. ნინოს ეკლესიაში. იგი დაბეჭდილია ხსენებული ორგანოს 1933 წლის მე-3 ნომერში (გვ. 13—68), რასაც ემყარება ჩვენი პუბლიკაცია. გარდა თეოლოგიურ-შემეცნებითი ასპექტისა, იგი საყურადღებოა აგრეთვე ქართული ეშიგრაციის იმდროინდელი ყოფა-ცხოვრებისა და ხელიერი სამყაროს უკეთ გაცნობის თვალსაზრისით.

გამოცემა ხასიათდება შესაძენევი სტილისტური და, რა თქმა უნდა, კორექტურული შეცდომებით. მკითხველთათვის ადვილადსაქმელია რომ ყოფილიყო, თავს უფლება მივეცით მცირედი რედაქციისა თანამედროვე სალიტერატურო ქართული ზოგი, ამ შემთხვევაში უსათუოდ გასათვალისწინებელი, ნორმის მიხედვით.

**ნ. პაპუაშვილი**

არქიმანდრიტი **გრიგოლ ფერაძე**

# შინაარსი ჰეშმარიტი მოძალაქეობისა

## (განმარტება „მამაო ჩვენოსი“)

„და ჰრქვეს მოწაფეთა იესოს: უფალო, გვასწავლე ჩვენ ლოცვა, ვითარცა იოანემ ასწავლა მოწაფეთა თვისთა“ (ლუკა, 11,1).

წარსულ სიტყვაში*, ამ ორი თვის წინათ, მივაქციე თქვენი ყურადღება იმ განცდებისაკენ, რომელიც უნდა ჰქონოდა ყოველ მორწმუნე ქართველს, ერთგულ წევრს ჩვენი ეკლესიისა, ათი წლის განმავლობაში წირვის ქართულად მოუსმენლობის შემდეგ. სიტყვის მეორე ნაწილში გადაგიშალეთ წინ ჩემი პროგრამა თქვენ შორის მოქმედებისა, პროგრამა, რომელიც ნაკარნახევია ჩემთვის, პირველ რიგში, როგორც მართლმადიდებელი ქრისტეანისათვის, მეორე, — როგორც წევრის საქართველოს ეკლესიისა და, შემდეგ, როგორც წევრის ემიგრაციისა. დღეს ჩემი მოვალეობაა ახლო მანძილიდან გადავხედო იმ ობიექტს, რომელშიაც და სადაც მიხდება ამ პროგრამის აღსრულება. ეს ობიექტია მრევლი პარიზში, ე. ი. ხართ თქვენ.

ვის, ან რას უნდა შევადარო ეს მრევლი, რა მაგალითი, ანდა რა იგავი უნდა ავიღო მისთვის?

ჩვენ ყველანი ვართ მიწის შვილნი. გუთანი და ვენახი, ცხვარი და საქონელი იყო ჩვენი უწმიდესი და უკეთილშობილესი მუშაობა ჩვენს ქვეყანაში — ამოდენა უძილო ღამეებმა და ბენზინის სიმყრალემ ველების და ტყეების სუნი, რომელიც ჩვენ ჩვენი ქვეყნიდან უცხოეთში მოვიტანეთ, მაინც ვერ მოგვაშორეს.

ჩემი მრევლი ედარება იმ ვენახს, რომელშიაც უკვე 10 წელიწადია არც უმარგლიათ და ვაზთა შორის უბარნიათ, არც უსხლიათ, არც გოგირდი და შაბიამანი შეუყრიათ ვაზებისათვის, რომ მეტი ნაყოფი გამოეღოთ, არც ჭიგოები შეუყენებიათ, რომ არ დაცემულიყვნენ, ე. ი. ედარება იმ ვენახს, რომელსაც ღობე შემოაცვდა და შემოეგლიჯა და რომელსაც ყოველი: მოყვარე თუ მტერი, შინაური თუ გარეული ცხოველი თავისუფლად ყოველი კუთხიდან ესტუმრება. როგორ უნდა მოიქცეს ის, ვისაც ეს ვენახი ჩააბარეს? მან უნდა, რასაკვირველია, პირველად შემოარტყას ამ ვენახს ღობე და გაუკეთოს ერთი კარები, რომ ამ კარებიდან მხოლოდ ის შედიოდეს და გამოდიოდეს, ვისაც რამე საქმე აქვს ვენახთან.

ყოველი ვაზი ამ ვენახის, რომელიც მაინც არ დაეცა და მტრის მიერ საკორტნი და სათელი არ გახდა, ყოველი ის ვაზი, რომლის ფესვებიდან აღმოცენდა მტევანი— შემდეგ ღვინოდ გადაწურული მტევანი, რომელიც არა ერთხელ ზედაშედ — სისხლად შეიწირა ჩვენი ეკლესიის წმ. საკურთხეველზე, — სწორედ ეს ვაზნი უნდა შემოერტყან ამ ვენახს სულიერ ზღუდედ.

ამ ვენახში არიან კიდევ სხვა ვაზები, რომელთაც სინაპოხიერობის, მაგრამ მოუვლელობის გამო ვეგეტიურს ზრდას მიჰყვეს ხელი; ისინი, ბრტყელი ფოთლებით, გაბარდნულნი დგანან და პირველ შეხედვისთანავე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენენ, ვითომ ბევრ ნაყოფს — ბევრ მტევანს იღებდნენ. უნდა განისვენოს და დაიძინოს მევენახემ ამათ ფოთლების ჩრდილში, თუ უნდა შეარხ-შემოარხიოს ფოთლები ნაყოფის ძებნაში და თუ რაიმე ნაყოფის ჩანასახი იპოვა, არ უნდა მოსჭრას ზედმეტი ფოთლები და ყლორტები, რომ მისცეს ნაყოფს მეტი მზე, სითბო, სინათლე, ჰაერი და თავისუფლება?!

და არიან კიდევ სხვა ვაზები ამ ვენახში, მომეტებული წილი ვაზთა — დავარდნილნი. დაცემულნი აკვრიან ისინი მიწას მტვერში და ტალახში, ღვარძლი აწევს მათ სამარის ლოდივით, ჭია და მატლი დანავარდობენ მათზედ.

უნდა მევენახემ გვერდი აუხვიოს ამისთანა ვაზებს, თუ უნდა მეტი სიყვარულით, მეტი მოთმინებით და მეტი მუშაობით მიადგეს მათ?

რომელ ვაზს უნდა მოჰკიდოს პირველად ხელი იმან, ვისაც ეს ვენახი ჩააბარეს: იმას, ვინც ნაყოფს ისხამს, თუმცა მოუვლელს და თვით ვაზს კი დაღლილობა ემჩნევა; იმას, ვინც შრიალებს და ფოთოლთა შრიალში ჰგონია ახალ განცხადებებს იღებს და ავრცელებს; თუ იმას, ვინც მიწაზედ გდია, მაგრამ თუ აიმართა და წამალი ეშოვა, ათწილად და ასწილად გამოიღებს ნაყოფს?

და ჰქვეს მოწაფეთა იესოს: „უფალო, გვასწავლე ჩვენ ლოცვა“.

ლოცვა! ჩემი იარაღი არის და იქნება მხოლოდ ლოცვა და ამაზე უკეთესი იარაღი ჩემთვის არც არსებობს და არც მესაჭიროება; ლოცვა არის არა მხოლოდ ღობე და კარები ამ ვენახის — არა მხოლოდ წამალი, რომელიც სპობს ვაზებზედ ფილოქსერას, არა მხოლოდ ის მაკრატელი, რომელიც აჭრის ამ ვაზებს ზედმეტ ყლორტებს, არა მხოლოდ ის ჭიგო, რომელსაც გარს ევლება ვაზი!...

ლოცვა არის ქვეყანა, სამყარო თავისთვის და ყველამ, ვისაც ამ ქვეყანაში ბინა აქვს, იცის, რომ ლოცვის გარეშე არსებობა — ადამიანური, სულიერი არსებობა — ისევე შეუძლებელია, როგორც ხორციელი ცხოვრება უპუროდ და უჰაეროდ. და ის ადამიანი, რომელიც არ ლოცულობს ან მისთვის არ ლოცულობენ, მოისპობა — მოიკრუნჩხება, დაეცემა და გახდება მსხვერპლი წარმავლისა და მტვრისა. „უფალო გვასწავლე ჩვენ ლოცვა!“.

მაგრამ რას ნიშნავს ეს: „გვასწავლე ჩვენ ლოცვა“? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ადგილი გულისხმობს

* იხ. „ჯვარი ვაზისა“, № 1, გვ. 12—19, პარიზი, 1931 წ.

ამას: დაგვეხმარე, რომ სიტყვებით გამოვთქვათ ყველა ის გრძნობანი, რაც ჩვენშია ჩამარხული, ჩვენ მიერ შემეცნილნი თუ შეუმეცნელნი. დაგვეხმარე, რომ ჩვენ მკაფიოდ და ნათლად შევსწვდეთ და გავიგოთ ის, რაც ჩვენ გვაშფოთებს, გვაღელვებს და მოსვენებას გვიფრთხობს. „უფალო, გვასწავლე ჩვენ ლოცვა", ჰგულისხმობს იმავე პროცესს, რომელიც ყოველ ხელოვანს, ყოველ ადამიანს განუცდია, თუკი რაღაცის შექმნა სურს, რაღაცა აზრი უდგას თვალწინ (თუმცა პირველხანებში დაბნეულად და არეულად). „უფალო გვასწავლე ჩვენ ლოცვა" ნიშნავს (სხვა სიტყვებით): მოგვეცი ჩვენ მანიფესტი, პროგრამა ჩვენ რელიგიური ცხოვრებისა და მოქმედების, იმ ჩანასახთა მიხედვით, რომელიც ჩვენშია, ისე როგორც იოანემ მისცა თავის მოწაფეებს პროგრამა მათი რელიგიური ცხოვრებისა და მოქმედებისა.

ჩვენ ყველამ ვიცით ცხოვრებიდან, რომ ადამიანნი, რომელთაც რაღაცის გაკეთება სურთ, ან რაიმე მიზანს ისახავენ, ან რაიმე მოვლენა ცხოვრებაში მათ არ აინტერესებთ და სურთ, რომ ის მოისპოს, აარსებენ ერთგვარ საზოგადოებას, რომელსაც ისინი პარტიას ან კავშირს უწოდებენ. იქმნება პროგრამა მათი მოქმედებისა. ამ პროგრამის შედგენის წინ ისინი ითვალისწინებენ მას, რაც უკვე აქვთ, რაც თუმცა ცხოვრებაში ჯერ არაა განხორციელებული, მაგრამ მათ წევრთა უმრავლესობას ესმის — მისაღებია და ზოგადია. და ჩვენც, ჩვენი საქმის წინ, უნდა გავითვალისწინოთ ჯერ ის, რაც გვაქვს — რაც ზოგადია ყოველი ჩვენგანისათვის... ჩვენი მიზანია, ვთხოვოთ უფალს, შეგვაგნებინოს ჩვენ დღეს ეს ზოგადი რელიგიური საუნჯე ანუ ის, რაც ჰკვებავს და ასაზრდოებს ამ ვენახს, ის რელიგიური განძი, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ჩვენში — თვითეულ ჩვენთაგანში, შეგვაგნებინოს ჩვენ მან ეს მკაფიოდ და ნათელი სიტყვებით, რომ ამაზედ შეგვეძლოს შენება და წარმატება.

2000 წელიწადი გვაშორებს ჩვენ იმ დროიდან, როს მეთევზურნი მივიდნენ ქრისტესთან და სთხოვეს მას რელიგიური პროგრამის მიცემა. 2000 წელიწადია მას შემდეგ და იმ ხნიდან ბევრი გამოიცვალა, ძლიერ ბევრი. თვით ჩვენი ცხოვრება დილიდან-საღამომდისინ და საღამოდან დილამდისინ სრულიად განსხვავდება მათ ცხოვრებიდან, ვინც 2000 წლის წინათ მივიდნენ ქრისტესთან და სთხოვეს რელიგიური პროგრამის მიცემა.

ისინი ცხოვრობდნენ თავიანთ სამშობლოში — მუდამ ლაჟვარდ გალილეის ცის ქვეშ. დიდი ზრუნვა მათ არ აწუხებდათ იმ პიროვნების გარშემო, რომელიც იყო ღმერთი განკაცებული და რომელთან ერთად ყოფნა ყოველ სულიერ და ხორციელ სნეულებათ ჰკურნავდა. ჩვენ ვცხოვრობთ უცხოეთში, უცხო ცის ქვეშ, რომელიც ჩვენთვის ყოველთვის მონისლულია — მთელი ჩვენი ცხოვრება სავსეა ბრძოლით და ზრუნვით ლუკმა პურისთვის, ხოლო მთელი ცხოვრება მათი კი იყო რელიგიური მოტივებით გათვალისწინებული. რელიგიური მომენტი იყო მათი არსებობის დასაწყისი და დასასრული. ჩვენ ცხოვრებაში კი რელიგიური მომენტი თუ უკანასკნელი არაა, მაინც ერთი უკანასკნელთაგანია.

და ამის გამო ჩვენი ლოცვა დღეს აღარ იქნება ისეთი ცეცხლით სავსე, როგორც იყო ლოცვა მოციქულთა, რომელმაც გადასწვა მთელი მაშინდელი სამყარო და რომლის ნაპერწკლებიც ჩვენ ქვეყნამდისაც ჩამოცვივდნენ. რა ვუყოთ, რომ ჩვენ დღეს არ ვართ ცეცხლის მატარებელნი, რომ ჩვენ აღარ ვართ ძლევისა გალობისა მგალობელნი. განა ჩვენი ბრალია, თუ ჩვენი ლოცვა იქნება დაღლილი, თუ ეს ლოცვა იქნება სევდიანი, გაუბედავი და ღარიბი! თუ ეს არ იქნება ჰიმნი ძლევის და გამარჯვების, არამედ სულ უბრალო და მარტივი სიმღერა, სულ უბრალო და მარტივი ღიღინი. განა ეს ყველაფერი დანაშაულია ჩვენი თაობის? და მაინც ამ თაობის დანაშაულობა იქნება, თუ იგი ლოცვას ჩაჰკლავს და გასაქანს არ მისცემს იმ დროს, როდესაც ცხოვრებაში ყოველ სიბილწეს და უზნეობას ფართო ასპარეზს და გასაქანს აძლევს. დიახ, ჩვენი დანაშაული იქნება, თუ ამ ლოცვას ამირანის სიმღერად გადავაქცევთ, რომლის ხმა ვერვინ გაიგო — ჩვენი სიმღერა კი უნდა გაისმას, რომ მოყვარემ ბანი მოგვცეს, მტერმა კი ამ სიმღერის ხმა გაიგოს. ამინ.

9 ავგისტო, 1931.

## „ხოლო მან ჰრქვა მათ, როდესაც ილოცევდით, სთქვით: მამაო ჩვენო"

(ლუკა 11,2; მათე 6,9)

იმ ვენახის სურათი, რომელიც წარსულ ქადაგებაში თქვენ სულიერი თვალების წინ დაგიხატეთ და რომელსაც ჩემი მრევლი შევადარე, მთლად ნათელი არ იქნება, თუ ერთ მცირე დეტალს არ დავძენთ. ჩვენ ვართ ამ ვენახის წევრნი, მაგრამ სად იღებს ეს ვენახი თავის დასაწყისს — სად არის ამ ვაზების დედა ან ძირი საძებნი? ზვარი — მშობელი ამ ვენახის — არის ჩვენი ქვეყანა და ჩვენ ვართ წევრნი მისი სხვადასხვა კუთხეებისა.

ჩვენი სამშობლო, ჩვენი მამების და ჩვენი საკუთარი ქვეყანაა! რომელი ქართველის გული და სისხლი არ უნდა ატოკდეს ამ სიტყვების გაგონებაზედ? სამშობლოა, სადაც არიან საფლავნი ჩვენი წინაპრების, სადაც არიან ჩვენთვის ძვირფასნი არსებანი, რომელთათვის ჩვენ ჩვენს სიცოცხლეს და ყველაფერს მივცემდით. სამშობლო! ამის თქმაზედ ჩვენ გვიდგება თვალწინ ცა, რომელიც საქართველოს დასცქერის — მთები, ტყეები, ველები და მინდვრები, მისი სოფლები და ქალაქები, მისი საუცხოო მონასტრები, თუგინდ დაშთენილნი და დარღვეულნი და ციხე-კოშკები.

მაგრამ რისთვის გვიზიდავს ჩვენ ეს ცა და ტაძარ-კოშკები, ანდა მისი ტყე-ველნი და მდინარენი? განა

უცხოეთში ცა იგივე არ არის? ლამაზი ქალაქები და ტაძრები არ ამკობენ ამ უცხო ქვეყანას? განა იგივე მზე აქ ისევე არ გვინათებს და გვათბობს? განა მთვარე უცხოეთში ნაკლებად ლამაზია, ანდა ნაკლებად არიან ვარსკვლავები ცაზედ? არა, თუმცა ჩვენი ქვეყანა ლამაზია და მოხედნილი, ბუნებით და მოხდენით ბევრ ქვეყანას უსწრობს და აღემატება, მაგრამ ყოველ სამშობლოს აქვს აგრეთვე თვისი საკუთარი სილამაზე, — სულიერი, უხილავი სილამაზე, რომელსაც მხოლოდ ის გრძნობს და ჰხედავს, განიცდის და იცის, ვისიც ეს სამშობლოა. და გვიზიდავს სწორედ ეს სულიერი, უხილავი, გამოუთქმელი უბრალო სიტყვით, მაგრამ გამოთქმული პოეზიაში, მითოსში, გადმოცემებში და ლეგენდებში, ე. ი. განსპეტაკებულ-ამაღლებული ღვთაებრივ ენით. აიღეთ სულ უბრალო რამ მაგალითი, აიღეთ ცა საქართველოსი: ცა იგივეა, როგორც სხვა ქვეყნების, ხან მოწმენდილი, ხან ღრუბლიანი, ხან მონისლული, ხან მზე გვიცინის ჩვენ იქიდან, ხან თოვლს და სეტყვას გვიშენს თავზედ და მაინც ეს ცა, ცა ჩვენი ქვეყნის, არს „სულ სხვაფრად გაბრწყინებული და სულ სხვაგვარად დამშვიდებული" (ილია ჭავჭავაძე). ეს ცა, რომელიც ტფილისის მთაწმიდას დასცქერის, შეადარა ერთმა მგოსანმა ძვირფას ქვას — ფირუზს (აკაკი), ხოლო მეორე ქართველმა — კანკელს, ე. ი. მას, რაც ეკლესიაში ხატებითაა მოჭედილი და რომელსაც მორწმუნენი სანთლებს უნთებენ და ეთხოვევიან:

„თავზედ გადგია, როგორც კანკელი,
ცა მოელვარე და აჟღერილი" (პაოლო იაშვილი).

გურიის მოწმენდილ ცაზედ ერთმა ქართველმა თვით ანგელოზების დანახვაც კი შესაძლებლობად აქცია:

„ცა ისეა მოწმენდილი, ცა ისეა შეუმკრთალი,
რომ ანგელოზს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი" (გალ. ტაბიძე).

თუ ეს ცა, რომელიც ესეა დაშორებული მიწიდან, რომელიც თავისი ბუნებით „ციეია და უგრძნობი", ჩვენს გრძნობას და გონებას ამდენს ეუბნება, რამდენის თქმა შეუძლიან მისთვის თვით დედამიწას, რომელიც გამოგზარია ჩვენი ლოცვით, სუნთქვით, ჩვენი ცრემლით და ჩვენი საკუთარი სისხლით? ციხე-კოშკები მოგვითხრობენ ჩვენ ჩვენი წინაპრების გმირობას, მათ მოუდრეკელ სიყვარულს თავისუფლებისადმი—მათ ბრძოლებს თავის სამშობლოსათვის. ტაძრები და მონასტრები გვიამბობენ ჩვენ წინაპრების სულიერ ძიებას, მისწრაფებას ღვთისაკენ — ჩვენს წარსულ კულტურულ ცხოვრებას. ტყეებში და ღრეებში არის ჩარჩენილი ხმა და ამოძახილი მათი, ვინც მტრის შემოსევის დროს იქ სახლდებოდა, რომ თავი გადაერჩინა სამშობლოსათვის. მთელი ამეტყველებული ბუნება ჩვენი ქვეყნისა და ქვათა ღაღადი არის მეორე მატიანე, უფრო ქართული ენით დაწერილი, უფრო ვრცელი, უფრო მოხდენილი, უფრო ლამაზი, ვიდრე თვით „ქართლის ცხოვრება". ალაპარაკებული ბუნება არის ფილოსოფია, პოეზია, რელიგია ჩვენი წარსულის...

ცენტრი, ძარღვი უმთავრესი ,რომელზედაც ეს სამშობლო და ეს გარდმოცემანი ტრიალებენ, რომელიც ამათ ქმნის, არის თვით ადამიანი. სწორედ ადამიანმა შექმნა ეს ტაძრები და ციხე-კოშკები, მან შემოახვია თავის მოქმედებით, სულიერი და ფიზიკური გმირობით, შარავანდედი მთელ მიდამოს; მან ჩასძახა და ჩასწერა ბუნებაში ის, რაც სხვისთვის, უცხოსათვის, წიგნია შვიდ ბეჭდით დაბეჭდილი, გაუგებარი ასოებით დაწერილი და რასაც იგი ესე ადვილად და თავისუფლად კითხულობს და მღერის.

როგორც ამირანი კავკასიონის ქედზედ, ეს ადამიანი მთელი თავისი არსით, სისხლით, უკანასკნელ ძარღვით მიჯაჭვულია თავის სამშობლოზედ და ეს მიჯაჭვა არის მტკიცე, ორგანული, განუყრელი, განუშორებელი, თანაარსი. ის განიცდის თვისში მთელ წარსულს და „როს დადის მშობლიურ მიწაზედ, გრძნობს წინაპართა ძვალთა მსხვრევას". სისხლი წინაპრებისა და ანდერძი მათი არის მჩქეფარე. ის ატარებს ყველა იმ კეთილს, რაც დროთა ვითარებაში შეიქმნა და ყველა იმ ბოროტს, რომლის წინააღმდეგ უკეთესნი შვილნი ჩვენი ერისა, ჩვენი ეკლესიის წინამძღოლობით, ებრძოდნენ — ეს არის ცოცხალი, განსაზიერებული, ხელით მოსაკიდი და თვალით დასანახი ჩვენი ქვეყნის წარსული, ჩვენი აწმყო და ჩვენი მომავალი.

როდესაც ეკლესია ლოცულობს ან ლაპარაკობს სამშობლოზედ, ის არ ჰგულისხმობს პირველ რიგში ტაძრებს, ან საქართველოს მზეს ან მთებსა და ველებს, არამედ იმ ადამიანს და მის კეთილდღეობას, რომელიც ყველა ამათ ჰქმნის, სდარაჯობს, სულს უდგამს, ინახავს და იცავს, და რომელიც გრძნობს წინაპრების ანდერძს და ესმის ენა თვისი ქვეყნის, რომელმაც იცის პასუხისმგებლობა თვისი ამ ანდერძის წინაშე და სცდილობს შეძლებისდაგვარად ერთი ნაბიჯი მაინც წინ წადგას ამ გზაზე. და ეკლესია უდგას გვერდით ამ ადამიანს, — ეხმარება ამ ანდერძის აღსრულებაში, და ეს ანდერძია: ძიება ღვთისა და ძიება სასუფევლისა, ძიება ღვთის სიმართლის ამ ქვეყანაზედ — ბრძოლა უფლებისათვის, თავისუფლებისათვის და განვითარებისათვის. ამ ანდერძის ასრულებისათვის ჩვენ არ ვართ შეზღუდულნი ჩვენი სამშობლოთი. ეს ანდერძი დღეს, პირველ რიგში, სულიერ-რელიგიურ-კულტურული ხასიათისაა და მას ჩვენ აქ ისევე შეგვიძლიან ვემსახუროთ და შეიძლება უკეთაც, ვიდრე ჩვენს სამშობლოში. ერთი არ უნდა დაგვავიწყდეს: არაა ის გამორიყული და საბრალო, რომელმაც სამშობლო დასტოვა. დიახ, ამგვარი ადამიანი არაა გამორიყული და საბრალო, არა! საბრალოა ის და თვით ნიცშეც თავის წიგნში — „საბრალოა ვისაც სამშობლო არა აქვს" — ჰგულისხმობს იმ ადამიანს, რომელიც აღარაა შესისხლხორცებული ორგანიულად, თავისი ძარღვით, სისხლით და ხორცით სამშობლოსთან, რომელიც თვისი წინაპრების ანდერძს აღარ გრძნობს, რომელსაც ბუნება აღარაფერს აღარ ეუბნება. ამისთანა ადამიანს შეუძლია ისევე კარგად იცხოვროს ტფილისში, როგორც უცხოეთში. ჩვენში კი ამოდენა ტანჯვამ და წვალებამ სულ სხვა ძარღვები აალაპარაკა, ანდა, — უნდა აელპარაკებინა.

„მამაო ჩვენო": იესო ქრისტეს ლოცვის პირველი სიტყვა იყო მამა ე. ი. ღმერთი... და ეს იმას ნიშნავს, რომ სუბიექტი ჩვენი მისწრაფებისა უნდა იყოს ღმერთი.

და ამისთანა კონცეფციაში ჩვენი პატარა ქვეყანა, შემოფარგლული საზღვრებით, ჩვენი პატარა სურვილე-

ბით ანუ შემოფარგლულნი ჩვენი მისწრაფებანი, ჩვენი ტანჯვანი, ჩვენი აქ ყოფნა ანუ ყველაფერი, რაც მოხდა და ხდება, მიიღებს სულ სხვა მნიშვნელობას და სხვა სახეს და შეიძლება ჩვენთვისაც ცოტათი მაინც ცხადი შეიქმნას დანიშნულება და მოწოდება ჩვენი ერისა.

ემიგრაციაში ყოველთვის ჯამი კეთდება ერის სულიერ ცხოვრებისა. აიღეთ ქართველი ემიგრაცია მოსკოვში, რომელთაც ჩვენ ერს აჩუქეს ბიბლია. კულტურული მიღწევა XVIII საუკუნის, რომელიც დღევანდლამდისინ უბადლოა მთელს ჩვენს ცხოვრებაში და რომელთანაც შედარებით მთელი მუშაობა და მომუშავენი შეიძლება შევადაროთ „მშვილდთა ბედითთა და ყმაწვილთა მონადირეთა“; ებრაელებმა ბაბილონის ტყვეობაში აჩუქეს თავის ერს კანონი ძველი აღთქმისა, ე. ი. ჯამი გაუწიეს წინა ეპოქის მთელს კულტურულ მუშაობას; ბერძნებმა თვისი ფილოსოფია შექმნეს უცხოეთში: ემიგრაციამ, რომელიც გათავისუფლდა თავისი ქვეყნის მითოლოგიური წარმოდგენებისაგან, ადამიანის თავისუფალ აზროვნებას გასაქანს რომ არ აძლევდა, შექმნა უცხოეთში ის, რამაც ბერძნები უკვლავჰყო შემდეგში. ემიგრაციას არა აქვს პოტენცია შემოქმედებითი, — იგი არის ჯამი, სინთეზი ყველა იმ მუშაობისა, რაც კეთდებოდა მის ქვეყანაში, მის წინ.

რა სულიერი მუშაობა სწარმოებდა ჩვენ ერში, რომ დღეს მას სინთეზი გავუწიოთ? რა საუნჯენი მოვიტანეთ ჩვენ ჩვენი ქვეყნიდან აქ, რომ დღეს ვსენი სისტემატურად დავალაგოთ და თაიგულად შევკრათ? რას წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის პატარა სურვილები? ვიწრო აზროვნებას, რომელიც აქამდისინაც არ მოგვყვა და ეს იმიტომ, რომ სუბიექტად ჩვენი სურვილებისა იყო ან სამშობლო ან ამ სამშობლოს და მის შვილთა ეკონომიური წარმატება და არა ღმერთი. და ამიტომაც დღეს ვსხედვართ აქ, ბაბილონის მდინარეზედ — შევცქერავართ ერთმანეთს, წვრილ ინტრიგებში ამოგვდის სული და ერთი მეორეს ხელს უშლის, თუკი მას (მეორეს) რაღაცის გაკეთების სურვილი აქვს.

აქ, ემიგრაციაში, მაინც ჩვენს აზროვნებას უნდა ფართო ჰორიზონტი მიეცეს, რომ რაღაცა გავაკეთოთ, რომ სრულიად უმიზნოდ და უშედეგოდ, უკვალოდ არ გაჰქრეს ჩვენი ცხოვრება. დიახ, ჩვენის ერის მოწოდების, დანიშნულების ცხადყოფად ვართ ჩვენ აქ დღეს, რომ ვეედროთ ღმერთს, ვილოცოთ, ვიმუშაოთ და ვიფიქროთ. დაე, ღმერთმა თვითეულ ჩვენგანს განუნათლოს გონება ამ მხრივ. ამინ.

## „რომელი ხარ ცათა შინა“

(ლუკა 11,2; მათე 6,9).

წარსულ ქადაგებიდან დავინახეთ ჩვენ, რომ პირველი სიტყვა იესო ქრისტეს ლოცვისა იყო ღმერთი. აგრეთვე, — პირველი სიტყვა იესო ქრისტეს მრევლისა უნდა იყოს ღმერთი, ე. ი. მიზანი მოქალაქის ცხოვრების და მოქალაქეობის უნდა იყოს ღმერთი. ისიც დავინახეთ, რომ თუ ამ ადამიანის ან ერის ლოცვის პირველი სიტყვა სხვა რამეა და არა ღმერთი, გინდაც ეს სხვა რამე იყოს ისეთი, როგორიცაა სამშობლო, პატრიოტიზმი, ბრძოლა და მუშაობა ერის თავისუფლებისათვის და ეკონომიურ განვითარებისათვის, მაშინ ეს პირველი სიტყვა მისი ლოცვისა იქნება უკმარისი. რომ ადამიანის ცხოვრება და კეთილდღეობა, აგრეთვე — კეთილდღეობა და წარმატება მისი ქვეყნისა იყოს მადლიანი და ჭეშმარიტი ან ხანგრძლივი, მან თავისი მისწრაფებანი უნდა დაუშორჩილოს უმაღლეს პრინციპს. და ეს უმაღლესი პრინციპი ღმერთია. ადამიანმა თვისი ცხოვრება უნდა ჩააყენოს დიდ კონცეპციებში, ე. ი. მოქმედება და ცხოვრება უნდა დაუშორჩილოს ისეთ დიდ რაშეს, რომლის მადლს და ძლიერებას არავითარი საზღვარი არა აქვს, რომლის ცა მთელს მზოფლიოს ჰფარავს, რომელიც ადამიანის ყოველ მიზანს და მისწრაფებას, — რა გინდა ლოკალური იყოს იგი და ადგილობრივად განსაზღვრული თუ შემოზღუდული, — უნივერსალურსა და წარუვალ მნიშვნელობას აძლევს. ის ადამიანი და ის ერი, რომელიც ესე ჰმოქმედობს, პოულობს ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიზანს იმ საზღვრების გარედაც, რომელსაც იგი სტოვებს. ამ ერის მსოფლმხედველობა და თვალსაზრისი ამაღლებულია სიწვრილმანიდან ანუ მეორეხარისხოვანიდან და ეს ამაღლებული მსოფლმხედველობა ამაღლებს და აპატიოსნებს თვით ცხოვრების სიწვრილმანეს და მეორეხარისხოვნებას. ყოველმა ადამიანმა, ყოველმა ერმა, რომელსაც სურს მოიპოვოს რაიმე წარუვალი ნაყოფი, არ უნდა დაახურდაოს და შესცვალოს ქრისტეს ლოცვის პირველი სიტყვა — „მამაო ჩვენო“, ე. ი. ღმერთი — სხვა სიტყვებზედ, რომელნიც ჩვენი ქვეყნის ერთი საზღვრიდან მეორემდე ვერც კი სწვდებიან.

ყოველი ერის ცხოვრებას ჰქმნიან არა მასსები, არამედ რამოდენიმე ადამიანი, რომელთაც, საერთო სახელით, პიროვნებას ეძახიან და ქართველი ერი ამისთანა პიროვნებებს მადლიან ადამიანებს უძახის. და ეს ცნება — „მადლიანობა“ — არის ცნება რელიგიური და იმაზედ გვითითებს, რომ ამისთანა ადამიანის ცხოვრების ორიენტაცია არის მადლის მოპოვება ღვთისაგან. ამისთანა საკრალურ მნიშვნელობით იხმარებოდა ეს სიტყვა ყოველთვის და იხმარება დღესაც და ვინც სხვა მნიშვნელობით ხმარობს ამ სიტყვას, იგი ატყუებს მხოლოდ თავის საკუთარ თავს. იესო ქრისტეს სიტყვაც, ჩავარდნილი მასსებში, ეძებს მხოლოდ ამისთანა მადლიან პიროვნებებს. და სწორედ ეს პიროვნებანი, რომელნიც გაცილებით მეტს გრძნობენ, ვიდრე სხვები, რომელთა სული და გული გამთბარია ამ ჭეშმარიტებით, ჰქმნიან ეკლესიას. ამაზედ დამყარებული ეკლესია კი არის მტკიცე საფუძველზედ აშენებული და მას ვერც ჯოჯოხეთი დაანგრევს და ვერც სხვა რამე ძალა...

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა! ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი მამა არ არის არც ადამი; არც აბრა-

ჰამი და არც ქართლოსი, არამედ ის, რომელიც ცაშია, ე. ი. ღმერთი. თვით ცა არ არის ცნება ბუნებისმეტყველური, ესე იგი ის ცა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, არამედ რელიგიური და ნიშნავს: რომელიც ამაღლებულ ხარ, მაღლა სდგეხარ იმ დედამიწისაგან, რომელზედაც ჩვენ დავდივართ, რომელიც მხოლოდ შენი ქმნილებაა. ადამიანიც ხომ მაღლა სდგას ყველა იმ ქმნილებაზედ, რომელიც მან შეჰქმნა? ამასთანავე, მას ხომ ვერ შეუძლია გახდეს მონა მისი, რაც შექმნა, თუნდაც თვის ქმნილებაზედ კმაყოფილებას და სიხარულს განიცდიდეს?

ის ადამიანი, რომელიც მასსიდან არის ამოსული და განთავისუფლებული, უკვე მასსაზედ მაღლა სდგას. ის უკვე აზროვნებს და ფიქრობს იმ კედლების იქითაც, რომელიც მასსას აზროვნებას უსაზღვრავს. ის მუშაობს და მოქმედებს იმ საგნისათვის, რომელიც მას აკმაყოფილებს, რომელსაც იგი სიკვდილამდის არ უღალატებს, და ეს იმ დროს, როდესაც მასსა ერთი ბელადიდან მეორე ბელადისაკენ გარბის და თვის წინამძღვარს სწორედ მაშინ ტოვებს, როცა უკანასკნელს იგი სჭირდება. იგი ერთ დღეს ყვავილებს უგებს ვისმეს და მეორე დღეს „ჯვარს აცვი იგი“-ო გაიძახის. პიროვნების ცხოვრება და აზრი ცხოვრებისა ერთი და იგივეა და ის ატარებს ვედიდეს პასუხისმგებლობას. ეს პიროვნება ჰქმნის უკვდავ ღირებულებას წარმავალში და ყოველდღიურ ჭირვარამში ეძებს წარუვალს იმ დროს, როდესაც მასსა მხოლოდ მომენტით სცხოვრობს ჭუჭყში და მტვერში.

თუმცა პიროვნება არის ამაღლებული თვით დედამიწაზედ, რომელიც მან დასტოვა, მაგრამ ეს მას არ ნიშნავს, რომ მას უკვე აქვს ბინა ცაში, არა! ის სცხოვრობს დედამიწაზედ და პური, ჰაერი და ყველაფერი, რაც სხვებს სჭირიათ, სჭირია მასაც, ოღონდ იგი სულ სხვა საზომით და კრიტერიუმით უდგება მიწას; იგი არაა მონა ამ მიწის, არამედ პური ან ფული, მის ხელში ჩავარდნილი და ღვთიურ ასპექტის ქვეშ გათვალისწინებული, იღებს სულ სხვა დანიშნულებას და ხდება საშუალებად ღვთის მცნებათა აღსრულებისათვის.

ყოველი აზრი, რომელიც კი ოდესმე ადამიანთა შორის შობილა, მოითხოვს ადამიანისაგან ამაღლებას, რათა დედამიწის მონა აღარ იყოს იგი, არამედ თვით პრინციპის ასპექტის ქვეშ განიცადოს დედამიწა და ღვიური ცხოვრება. და თუ თვით უკიდურესნი მატერიალისტური მიმართულებანი მოითხოვენ ადამიანისაგან თავგანწირვას, ნუთუ იესო ქრისტეს — მის სახარებას და მის ეკლესიას არა აქვს უფლება იგივე მოთხოვნილებანი წარუყენონ ადამიანს?!

ყველა აზრი, რომელიც კი ოდესმე ადამიანთა შორის შობილა, ან მათ შორის ჩავარდნილა, მოითხოვს ადამიანისაგან დათმობას სურვილთა, თავის საკუთარ მოთხოვნილებათა შეკვეცას, ასკეტიზმს — თვისი ცხოვრების შეწირვას მომავლისათვის. თვით უკიდურესი მატერიალისტური მიმართულებანიც კი თხოულობენ ადამიანისაგან ამისთანა იდეალიზმს და ნუთუ იესო ქრისტეს, მის სახარებას და მის ეკლესიას არა აქვს უფლება იგივე მოთხოვნილება წარუყენოს თავის წევრს?

ცხოვრების სხვადასხვა მიმართულებანი თხოულობენ მსხვერპლს ხვალისთვის, მაგრამ ხანდისხან ეს ხვალე ისე არ გამოიყურება, როგორც რეზოლუციებში გათვალისწინებული იყო. ამიტომაც ამგვარი მსხვერპლი: ფანატიზმი, სისხლი, ცხოვრება, დათმობა ყველაფრის, ერის ენერგია, ერის ძალა და ერის ქონება იკარგება სულ ტყუილად, სულ უბრალოდ. მსხვერპლი კი, რომელსაც ადამიანი გაიღებს ეკლესიისთვის, ინაყოფიერებს არა მომავალში, არამედ ღღეს — მის საკუთარ ცხოვრებაში და მის ყოველდღიურ ყოფაში; ეს მსხვერპლი აძლევს მას სხვა სულიერ სიმდიდრესთან ერთად მასაც, რაც ჩვენ ღღეს ემიგრაციაში ყველაზედ ძლიერ გვჭირდება: კეთილშობილებას.

ნუ გგონიათ, რომ ეს ყველაფერი იყოს ცარიელი ფრაზა, სიტყვის მასალა, არა, ესაა ცხოვრება... და ის უხილავი ნათელი კულისებში, რომელიც ადამიანის ცხოვრების სცენაზედ ანათებს. ეს არის ის უხილავი რამ, რომელიც ადამიანის მთელ ცხოვრებას ტონს აძლევს და ამოქმედებს და გგონიათ, რომ ეს ადამიანს არ ემჩნევა ცხოვრებიდან და მოქმედებიდან? და განა იმ თაობას, იმ ერს, რომელიც ქრისტეს ლოცვას — „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“ — თვის ცხოვრებაში არ იყენებს, არ ემჩნევა? განა ამ ერს არ აკლია მაშინ ის ნათელი, რომელიც გზას უნდა უნათებდეს? ანუ მარილი, რომელიც მის ცხოვრებას უნდა ამარილებდეს? ანუ საფუე და ლედაცომი, რომელიც მთელ მის ცხოვრებას უნდა აფუებდეს? დიახ, მას აკლია სიმტკიცე ცხოვრებაში.

ჩვენ ღღეს ვცხოვრობთ უცხოეთში, ქვეყანაში, სადაც სულ სხვანაირად აზროვნებენ, ვიდრე ჩვენში; სხვანაირი საზომი აქვთ ცხოვრებისა და მოქმედებისა, ვიდრე ჩვენში. ეგოისტურ ქვეყნებში ვცხოვრობთ ჩვენ ღღეს, რომელთა დამარცხება შეიძლება ან ფულით, ან ხიშტით, ან განათლებით, ან სხვა რაიმე სულიერ ძალით. სხვა კიდევ რით? არაფრით. ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ ჩვენ ღღეს, სადაც გვცემენ პატივს მხოლოდ იმ ძალის და გავლენის მიხედვით, რაც ჩვენ ან ზურგს გვიმაგრებს, ან ჩვენშია, და სადაა ეს ძალა, თუ არ ეკლესიაში! საიდან უნდა ამოვიღოთ ეს ძალა და სიმტკიცე, თუ არა ეკლესიიდან, რით უნდა ვაიძულოთ და ვძლიოთ ეს ცივი ქვეყანა, თუ არა იმ ძალით, რომელმაც სხვა ამგვარად ცივი ქვეყანაც დაამარცხა და მასში თვისი სიმბოლო — ჯვარი — დროშად აღმართა! საჭიროა, რომ ყოველი ქართველი ჩაუფიქრდეს ამას; საჭიროა, მთელი ჩვენი თავმოყვარეობა და ჩვენი ერის საუკეთესო თვისებანი მოვიხმაროთ ღღეს მისთვის, რომ არ გავხდეთ მხოლოდ უბრალო სტატისტები, არამედ აქტიურნი წევრნი ჩვენი მრევლის, შიგ ეკლესიაში და ეკლესიის გარეთ; საჭიროა, შევქმნათ ისეთი სულიერი ძალა, რომ სწორედ იგი გვამოქმედებდეს; საჭიროა, რომ ამ ძალით ელაპარაკებოდეს მღვდელი ყოველ ჩვენს მტერს და პირველ რიგში თვით ქართველებს, რომელნიც თაკილობენ ჩვენ სიღარიბეს, ჩვენ მოუწყობლობასა და დარბიან სხვებთან; საჭიროა, მღვდელს ჰქონდეს ძალა და ეს ძალა სულიერი თქვენ უნდა მისცეთ მას, თქვენი წრიდან; ეკლესიის მწუხარება და შეურაცხყოფა უნდა იყოს თქვენი საკუთარი პიროვნებისა და თქვენი ქართული ოჯახის მწუხარება და შეურაცხყოფა. მაშ, — მეტი დისციპლინა, მეტი შეგნება, მეტი სიყვარული, მეტი ლოცვა. მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა. ამინ.

# „წმიდა იყავნ სახელი შენი“

(ლუკა 11,2; მათე 6,9)

იმ ადამიანს, რომელზედაც წინა სიტყვებში მქონდა საუბარი, აქვს მხოლოდ გეოგრაფიულად განსაზღვრული სამშობლო, მაგრამ არა აქვს სამშობლო უფრო ფაქიზი და მოსავალელი, გეოგრაფიულად განუსაზღვრელი, და ვინც თავისთავს ზნეობრივად იცავს და უფრთხილდება, ის იცავს და უფრთხილდება თავის სამშობლოსაც. ამ ადამიანს მოაქვს ამ სოფლად თან სხვა საუნჯენიც, სხვა სიმდიდრენიც და ერთი სიმდიდრე ამ სიმდიდრეთა შორის არის მისი ენა, ქართული ენა — დედაენა! ამ თემაზე ბევრი დაწერილა. და ყველა ამ ნაწერს თავი რომ მოვუყაროთ და სასწორის ერთ მხარეზე დავდოთ, მეორე მხარეზედ კი მხოლოდ ერთი სიტყვა ამ ენისა, სწორედ ეს ერთი სიტყვა, თვის სიმძიმითა და შინაარსით, ბუმბულივით აისვრიდა ცაში ყველა ამ ნაწერს. ლაპარაკობენ: ტკბილი, მშვენიერი, საამური, ლამაზი, ფაქიზი, სადა, მარტივი, მდიდარი, მოხდენილი და კიდევ, ღმერთმა იცის, რა სახელწოდებით არ იხსენიებენ ამ ჩვენს ქართულ ენას, მაგრამ ჩვენი ეკლესია და ჩვენი ერი ამ ენას უფრო მაღალი სახელწოდებით იხსენიებს, ვინაიდან ეკლესიისათვის ეს ენა, ეს სიტყვა არის ღვთიური დასაწყისის ენა: „პირველიდან იყო სიტყვა... და სიტყვა იგი ხორციელ იქმნა“; სიტყვა ნიშნავს იმავე დროს აზროვნებას, რომელიც მას არჩევს პირუტყვისაგან. სიტყვა არის ერთი სასწაულთაგანი და მადლი ღვთისა კაცისადმი და მხოლოდ ორ მეცნიერებას (კულტურულ ერთა საკუთრებას) აქვთ საღმრთო, საკრალური ხასიათი, ესენია: თეოლოგია და ფილოლოგია. და მეც ვალდებული ვარ ეს სიტყვა — ენა— ისე ვიხმარო, როგორც ღვთიური რამ, როგორც სიწმიდე, როგორც სახელი ღვთისა. წმიდა იყავნ სახელი შენი!

მაგრამ პირადად მე სიტყვას იმიტომ კი არ ვაფასებ, რომ იგი ლამაზია, მოხდენილი ან კეთილხმოვანი, არამედ: რომ იგი არის გასაღები დაკეტილის; მისი შემწეობით ჩვენ შეგვიძლია გავაღოთ დაკეტილი, როგორც ილია იძახდა, შევიჭრათ მის გულში, ავხსნათ ფსიქოლოგიური პროცესი განცდის. სიტყვა ეკლესიას დიდათ უწყობს ხელს და ეხმარება ადამიანს შესაგნებლად, მისი სულიერი ცხოვრების ანალიზისთვის, მთელი ერის სულიერ ცხოვრების, აზროვნების მხარის გასაგებად. ამა თუ იმ ხალხის წარსული, სულიერი ნამუშევარი და მემკვიდრეობა ჩვენთვის ისევე გასაგებია, როგორიც იყო ამ ორი ათასი წლის წინეთ. „ჩვენ გვაქვს ძლიერ უცნაური და საცნაური ენა. ჯერ ქართული ენის ფილოსოფია, ფსიქოლოგია და ისტორია არაა დაწერილი; მაგრამ ის ბედნიერი მკვლევარი, რომელსაც ეს ბედნიერება წილად ერგება, ბევრს ძლიერ რამ საინტერესოს აღმოაჩენს“ (გრ. რობაქიძე, სილოვან ხუნდაძის შესახებ, ქართული მწერლობა, № 6—7, 1928, გვ. 225—227) და დღეს მე მიხარია, როდესაც ქართულ სიტყვაზედ მიხდება ლაპარაკი...

შინაარსიან სიტყვებით ვიწყებთ ქართულ სიტყვაობას და ეს სიტყვებია: წმიდა და სახელი. წმიდა იყავნ სახელი შენი!

წმიდა დღესაც მას ნიშნავს, რასაც ნიშნავდა „მამაო ჩვენოს“ ქართულად თარგმნის ჟამს, ანუ მეოთხე საუკუნეში (თუ უფრო ადრე არა), ე. ი. „წმიდა“ დღეს ნიშნავს იმასაც, რასაც ვულგარულ ცხოვრებაში „სუფთას“ ვეძახით, რომლის საწინააღმდეგო ცნებაა „უსუფთაო“, და კიდევ მეტს: ეს სიტყვა უკვე ეუბნება ყოველ ქართველს იმას, რაც მასშია ნაგულისხმევი. ჩვენთვის ეს თავისთავად ცხადია... მაგრამ სხვა ერების ენებთან რომ შევადაროთ, დავინახავთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენას ჩვენთვის და რა დიდი გავლენა მოახდინა მან, შედარებით სხვა ერებთან, ჩვენი რელიგიური ცხოვრების ფსიქოლოგიაში. აიღეთ, მაგალითად, რუსული „СВЯТ“. ეს სიტყვა, თავისთავად, განათლებულ რუსსაც არაფერს ეუბნება იმიტომ, რომ იგი არაა რუსული, არამედ უცხოა. ფილოლოგიურად და ეტიმოლოგიურადაც უდრის ჩვენს „სპეტაკს“. და რადგან რუსისთვის ეს სიტყვა თავისთავად არაფერს ამბობს, ამ ერის შვილი ფიქრობს იმ პიროვნებაზე, რომელთა ეპითეტია წმიდანი და ის, რაც ამ წმიდანებზედ აქვს წაკითხული ან გაგონილი, გადააქვს ამ სიტყვის შინაარსზედ... ჩვენში კი სულ სხვა რამეა: ჩვენ გვესმის ეს სიტყვა — „წმიდა“ და ამის გამო ჩვენთვის საჭირო არაა ვიფიქროთ წმიდანებზედ; ჩვენ ვიცით, რომ ძარღვი ამ სიწმიდისა არის სიუფთავე და ამიტომ ჩვენ ვცდილობთ, ამ ცნებისა და ამ შეგნების მიხედვით ავაგოთ ჩვენი ცხოვრება. საფუძველი ჩვენი ცხოვრებისა არის სიწმიდე და ამის გამო არაბუნებრივობისაკენ არ ილტვის ქართული სული, ამის გამო ჩვენს რელიგიურ ცხოვრებაში ბერვასა და ფარისევლობას, ე. ი. მას, რაც ჩვენ არ გვაქვს (გვსურს კი რომ გვქონდეს), არა აქვს ადგილი.

აი, ამ ერთ სიტყვას მხოლოდ რა დიდი და ღრმა მნიშვნელობა ჰქონია ჩვენს ცხოვრებაში.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს მეორე სიტყვას — „სახელი“; ჩვენ ვიცით, ყველას აქვს სახელი და ზოგს გამოცვლილიც. დღეს სახელს არქმევენ ბავშვს კალენდრის ან წინაპართა, ისტორიულ პირთა მიხედვით, ასე რომ, სახელთა შერჩევაში შემოქმედებას აღარა აქვს ადგილი. მაგრამ იყო დრო, როდესაც შერჩევა სახელისა იყო შემოქმედება და ინტუიცია, ე. ი. ცდა, — ერთი სიტყვით გამოეთქვათ იგი, რაც, სახელის მაძიებელთა აზრით, ბავშვის მოწოდებას შეადგენდა... ეს სახელი იყო თვით ადამიანი, განსახიერებული პიროვნება ამ ადამიანისა და, ვინც ამ სახელს წარმოსთქვამდა, ის იმავე დროს ფიქრობდა იმ ადამიანზედ, რომელსაც ეს სახელი უნდა ეტარებინა, — სახელი იყო ატრიბუტი ამ ადამიანის ხელისა, ე. ი. მისი ფიზიკური ძალისა, რადგან მაშინ მხოლოდ ფიზიკურ ძალაზედ იყო დამყარებული არსებობა.

„წმიდა იყავნ სახელი შენი“ ნიშნავს იმას, რომ ღმერთი არის ჩვენი მამა და, ამავე დროს, მთელი ქვეყნის მფლობელი და პატრონი, და როდესაც ჩვენ მას ვევედრებით, საჭიროა, ჩვენთვის ერთგვარი კულტურა, მეტი ზრდილობა, პატივი, თავაზიანობა და მოწიწება.

„წმიდა იყავნ სახელი შენი“ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ უნდა გავაუპატიურით და წავბილწოთ ღვთის სახელი წვრილმანებით სავსე ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი ამაოდ მოხსენიებით. ჩვენ თვითოეულს გვაქვს იმდენი ძალა და უნარი და საშუალებანიც — ღვთის მიერ მოცემული — რომ ჩვენს თავს მოვუაროთ. ძველად ღვთის ძალას ანუ ღმერთს მოუხმობდნენ დედამიწაზედ მხოლოდ მაშინ, როდესაც საშინელი უსამართლობა და ცინიზმი თარეშობდნენ, როდესაც ადამიანი საკუთარი ძალით უმწეო იყო, ჯოჯოხეთის წინ იდგა, როდესაც სიბნელე და საშინელი უკუნეთი მსოფლიოს და ადამიანს გზას ურევდნენ.

ღვთის სახელს მოიხმობს მღვდელი ყოველ წირვაზედ და ამ წმიდა სახელის დახმარებით პური და ღვინო — თქვენს მიერ მოტანილი — იქცევა ჩვენი მაცხოვრის ხორცად და სისხლად, რომელიც, ღვთის სახელით ახლადდაბადებული, განსპეტაკებული და განწმენდილი პირველცოდვისაგან, სდგამს ფეხს ჩვენს ცხოვრებაში. ვინც ცოდვებისაგან იტანჯება, სვინდისი ჰქეჯნის და წარსულის შეცოდებანი მოსვენებას არ აძლევენ, სწორედ ამ წმ. ღვთის სახელის ხსენებით არა მხოლოდ ეძლევა პატიება ცოდვათა, არამედ, აგრეთვე, მტკიცე ნიადაგი ფეხქვეშ. ღვთის სახელით ორი ახალგაზრდა არსება, შეერთებულნი სიყვარულით, აშენებენ ოჯახს — კერას, — კეთილ და პატიოსან მოქალაქეობას. ღვთის სახელით მასაც, ვინც ცხოვრების საზღვარზედ დგას და ემშვიდობება წარმავალს, ძალა ეძლევა არა მხოლოდ წყნარი და მშვდობიანი სიკვდილისა, არამედ, აგრეთვე, ღვთის საშინელი ტახტის წინაშე წარდგომისა.

ამ მიზნებისათვის მოიხმობს წმ. ეკლესია ღვთის სახელს, — საშინელსა და განსაკრთომელს. და მეც მოვიხმე ეს სახელი ჩვენს პირველ წირვაზედ იმ დარბაზში, რომელშიაც გუშინ ცეკვავდნენ და სვამდნენ და ჩვენი წასვლის შემდეგაც ალბათ კვლავაც დალევენ და იცეკვებენ. ჩვენი სიღარიბის წინაშე, ჩვენი საშინელი სულიერი და რელიგიური სიღარიბის წინაშე ვახსენე სახელი ღვთისა იმ წრეში, სადაც მამაკაცები მამაკაცობენ და მანდილოსნებიც მამაკაცობენ და უფრო მეტ მამაკაცობას იჩენენ. ვახსენე ღვთის სახელი... და ეს ნიშნავს რომ ამ სახელის ხსენების ღირსეულნიც უნდა შევიქნეთ, რომ მივაღწიოთ და შევასრულოთ ის, რისთვისაც ეს სახელი იყო ხმობილი და მოწოდებული. ღვთის სახელი დღეს ჩვენ ქვეყანაში კი არა მხოლოდ, არამედ მთელ სამყაროშიც იბილწება. დაე, ჩვენ მაინც აქ, უცხოეთში, მისი სახელი შევინახოთ სიწმიდით, ამინ.

(გაგრძელება იქნება)

ცხორებაჲ ესე წარვალს და განილევის,
შუენიერებაჲ და დიდებაჲ დაჭნების,
ხოლო სიმდიდრე დალპების და წარწყმდების.
რასაცა ცუდად ვმაღლოით, ოდეს ყოველნი
მოკუდავნი ვართ და მიწად მიქცევადნი!

**ოპიზარი მგოსანი**

X საუკუნე

# 70 წელი ქართული უნივერსიტეტის დაარსებიდან

არა დიდ არს 70
წელი,
არამედ ამ დროში
ჩატეული
ღვაწლი და ამაგი შენი.
დიდება შენს მოამაგე
ნათელ სულებს, მათ წმი-
და საფლავებს...
დიდება შენს გუმბათ-
ქვეშ მოშრიალე ახალ-
გაზრდობას, სახოებას
და რწმენას ქართველი
ერისას, მის ამაღლე-
ბულ ფიქრს...
დალოცვილ იყოს შე-
ნი გზა მომავალში.
აწ და მარადის...
აწ და მარადის.

# სიტყვა
# თქმული კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II მიერ ქართული უნივერსიტეტის გახსნის დღეს

**იმ პირველ წლებში, როცა საფუძველი ჩაეყარა ქართული უნივერსიტეტის გახსნის იდეას, მის მომაგეთა შორის საქართველოს ეკლესიის მსახურნიც იყვნენ... მათაც გაიღეს შესაძლო წვლილი ამ დიდი, საშვილიშვილო საქმის გახრულებაში. ხოლო, 1918 წლის 26 იანვარს, უნივერსიტეტის გახსნის დღეს, მის ფუძესა და სამომავლო გზას საქართველოს ავტოკეფალიააღდგენილი ეკლესიის პირველი კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II ლოცავდა...**

„მოგვეც ჩვენ უფალო, გული ბრძენი
და გონიერი“ (3 მეფე. III. 12).

ცოდნის და მეცნიერების მიმდევარნო! დღეს შევიკრიბენით ამ წმიდა ტაძარში, რომ გამოვითხოვოთ ღვთისგან კურთხევა ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის. ამ ძვრა-რყევა და სიყმილის დროს ჩვენ შესაძლოთ დავინახეთ საძირკველი ჩავუყაროთ ქართულ მაღალ კულტურულ დაწესებულებას, რომელმაც უნდა შეიტანოს მეცნიერების შუქი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში და რომელიც შეადგენს ჩვენი ხალხის ხიამაყეს. ეხლა თქვენს ხელშია, ბატონო პროფესორნო, ბედ-იღბალი ამ მაღალი სამეცნიერო ტაძრისა. ჩვენი გული ივსება სიხარულით, რომ სიბრძნეს, რომელიც დაუსრულებელია, ვნერგავთ ამიერიდან ჩვენს ხალხში. იმ დღესაც მოვესწარით, რომ ქართულ უნივერსიტეტს ვხსნით. განა ამ ორიოდ სამი წლის წინად შეგვეძლო ამის წარმოდგენა? ჩვენი გენიოსის ნათქვამისა არ იყოს: „კეთილმან სძლია ბოროტსა, არსება მისი გრძელია“.

ვგონებ, შემთხვევით არ მოხდა ქართული უნივერსიტეტის გახსნა დღევანდელ დღეს, როდესაც ჩვენი ეკლესია დღესასწაულობს წმ. მეფე დავით მე-3 აღმაშენებელის ღვაწლს. მან აღადგინა ეკონომიურად საქართველო, გააძლიერა და დანერგა კულტურაც. განურჩევლად ხალხოსნობისა და სარწმუნოებისა, იგი მფარველობას უწევდა მეცნიერებას. აავსო მეცნიერი ხალხით თავისი სასახლე, რომელიც წარმოადგენდა სამეცნიერო აკადემიას და მან პირველმა ქართველ გვირგვინოსანთა შორის ჩაჰყარა მკვიდრი საძირკველი აკადემიისა იყალთოს მონასტერში.

ლტოლვილებამ სინათლისადმი, ცოდნის წყურვილმა და ჭეშმარიტების სიყვარულმა შეჰკრიბა დღეს აქ აუარებელი ხალხი. კაცი შექმნილია სინათლისათვის და თვით ბუნებისაგან ჩანერგილია მასში ღვთიური ნიჭი — ძიება ჭეშმარიტებისა, რომელიც ჰქმნის კაცს თავისუფლად. გილოცავთ ჩვენი პირველი უნივერსიტეტის ხელმძღვანელნო და ვისურვებ ჩვენი საზოგადო საქმის წარმატებას, საკეთილდღეოდ ჩვენი ერისა. განათლებით ირჩევა კაცი კაცისაგან. იგი ფასდაუდებელი საუნჯეა, რომლის შეძენას ბევრი დრო, მოთმინება და ცდა უნდა. განათლებას ფასი და მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ აქვს, როცა მას რიგიანად გამოვიყენებთ.

სარწმუნოება არასდროს მტრულად არ უცქეროდა მეცნიერებას და ამიტომ იგი მუდამ ეკედლებოდა სარწმუნოებას. მაგალითად, ქალდეაში, ასურეთში, მისრეთში, ბიზანტიაში და სხვა ქვეყნებშიც ქურუმები მუდამ ესარჩლებოდნენ მეცნიერებას და თვითონაც ერთადერთი მისი წარმომადგენლები იყვნენ. ქრისტიანობის ხანას, როდესაც მან მიიღო სარწმუნოებრივი უფლება, თავშესაფარად ჰქონდა ქრისტიანული მონასტრები, რომლებშიც გაჩაღებული იყო სწავლა-განათლება. ნამდვილ სამეცნიერო კერებს წარმოადგენდნენ ჩვენი ლავრები და მონასტრები: დავით გარეჯის ფიბაიდა, იოანე ნათლისმცემლის უდაბნო, იყალთო, გელათი და სხვა. საშუალო საუკუნეებში, როდესაც მეცნიერებას დაუდგა მეტად ბნელი ხანა, როდესაც მისი არსება ბეწვზე ეკიდა და ყველას ეგონა, რომ მისი შუქი სამუდამოდ ჩაქრებოდა, მხოლოდ ბერების მოღვაწეობის წყალობით არ ჩაქრა იგი: ფილოსოფიის ქვის ძებნის გამო ბერებმა ბევრი რამ კაცობრიობისათვის სასარგებლო აღმოაჩინეს, გამოიგონეს და მით მეცნიერება დაიფარეს.

სულით და გულით ვისურვებ, რომ ამ ჩვენს ქართულ ნორჩ უნივერსიტეტში მალე გახსნილიყოს ყველა განზრახული ფაკულტეტი და მიჰმატებოდეს მას საღვთისმეტყველო ფაკულტეტიც, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში არის მოწყობილი. იყავნ, იყავნ. ამინ!

**გაზეთი „საქართველო“ 1918 წ., 31/1**



# ქადაგებანი

## პეტრე-პავლოგას

ქრისტეს მიერ საყვარელნო მამანო, ძმანო და დანო! მნიშვნელოვანია ჩვენთვის დღევანდელი დღე. ჩვენ დღეს ვიხსენებთ იმ დიდ ღვაწლს და ამაგს, წმიდა მოციქულებმა რომ წმიდა ეკლესიას მიაგეს.

მოგეხსენებათ, საყვარელნო, რომ ქრისტიანული სარწმუნოება მთელ დედამიწაზე წმიდა მოციქულებმა გაავრცელეს. სწორედ ამისათვის გამოარჩია ისინი უფალმა, სწორედ ამ კურთხეული საქმისათვის იღვაწეს. მოციქულებმა უმეცრებით გაყინული ადამიანთა გულები ღვთის სიტყვით გაათბეს და მათი დახშული გონება ღვთიური სიბრძნით განანათლეს და როგორც საგალობელშია ნათქვამი, „ყოველი სოფელი კეთილად მოინადირეს“.

მოციქულებს შორის განასკუთრებით გამოირჩნენ პეტრე და პავლე, რამეთუ ისინი ღვთის მადლის ჭეშმარიტ სადგურად გადაიქცნენ. ისინი გამოირჩნენ იმიტომ, რომ ქრისტეს სარწმუნოებისათვის თავი დასდეს; გაბრწყინდნენ იმისათვის, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე მათ მთელი არსებით შეიყვარეს. ნათლად რომ დავრწმუნდეთ ზემოთქმულის სისწორეში, გავიხსენოთ, თუ როგორ გამოარჩია უფალმა ისინი. გამორჩევამდე პეტრე იყო უბრალო მეთევზე, აბა ვინ იფიქრებდა, რომ ეს სრულიად უბრალო, უსწავლელი კაცი მომავალში გაანათლებდა ათასობით ადამიანებს. ერთხელ, როცა პეტრე ჩვეულებრივ, თავისი საქმით იყო გართული, მოადგა ძმა მისი ანდრია და უთხრა, რომ ჩვენ ვიპოვეთ მესია, ანუ ქრისტე. ქრისტეს სახელის გაგონებაზე შეკრთა პეტრე, — მას გაგონილი ჰქონდა მომავალ მხსნელზე, — მესიაზე, მაგრამ თუ მასთან შეხვედრის ღირსი გახდებოდა, ფიქრიც კი არ შეეძლო ამაზე. ეხლა კი მისი ღვიძლი ძმა ანდრია ეუბნება — წამოდი, და მე შეგახვედრებ ქრისტეს. სიხარული დაეუფლა პეტრეს, მაშინვე მიატოვა ყველაფერი, სახლი, კარი, ოჯახი, ახლობლები და ანდრიასთან ერთად გაეშურა.

პეტრე გულანთებული შეხვდა ქრისტეს. როცა იესომ შეხედა მასთან რწმენით მისულ პეტრეს უთხრა: „შენ ხარ სვიმონ, ძე იონასი, შენ გეწოდოს კეფა, რომელი არს კლდე“ (იხ. 1,43). ამ სიტყვებმა კიდევ უფრო შეაკრთო და განაცვიფრა მეთევზე პეტრე, — ქრისტემ არა მარტო ზუსტად განსაზღვრა, თუ ვინ იყო იგი, არამედ, ისიც იწინასწარმეტყველა, მომავალში რაც მოელოდა, საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რომ ჭეშმარიტად ღმერთ-კაცი იყო ქრისტე და მდაბლად მოიდრიკა თავი მის წინაშე. მაცხოვრის წინასწარმეტყველება აღსრულდა კიდეც: რაკი ერთხელ აღიარა ქრისტე, სამუდამოდ ჩაიბეჭდა გულში და ერთგულ ქრისტიანად დარჩა ბოლომდე. რაღა არ დაითმინა მან ეკლესიისათვის, რამდენი ტანჯვა-წამება გადაიტანა ქრისტეს გზაზე, მაგრამ ერთხელ არჩეული გზისათვის აღარასოდეს აღარ უღალატნია, იგი თავდაუზოგავად ქადაგებდა ცათა სასუფეველსა და საუკუნო ცხოვრებაზე. უსაშინელესმა ტანჯვა-წამებამ ვერ შეაშინა პეტრე. პირიქით ახარებდა კიდეც, რომ ქვეყნიურ ტანჯვათა დათმენით ოდნავ მაინც მიეშგავსებოდა თავის ზეციურ მასწავლებელს. ამ რწმენით იმოღვაწა დიდმა მოციქულმა და იმავე რწმენით ჯვარზე გაკრულმა დაასრულა ქვეყნიური სიცოცხლე.

პავლე მოციქული კი მოციქულად მოწოდებამდე იყო მეკარვე. იგი მტკიცედ იცავდა ძველი აღთქმის მცნებებს, მაგრამ დაუნდობლად დევნიდა ქრისტიანებს. სადაც კი შეხვდებოდა, მუსრს ავლებდა ქრისტეს მიმდევრებს. ასეთად იცნობდნენ პავლეს, შინ ებრაელნი და წარმართები გარეთ. აბა ვინ დაიჯერებდა, რომ ეს დაუძინებელი მტერი ქრისტესი, შემდგომში თვითონ იქადაგებდა ქრისტეს და მის მიერ დაფუძნებულ ცათა სასუფეველს. ადამიანებს ამის წარმოდგენა არ შეეძლოთ. ღმერთი კი, რომელიც ჭვრეტს ადამიანის გულს, პავლეს სახით ამზადებდა უერთგულეს მოწაფეს, რადგან მასში ხედავდა დიდ შინაგან სიკეთეს. ღმერთმა იცოდა, რა ფასდაუდებელი სამსახური შეეძლო ეკლესიისათვის პავლეს, ამიტომ აჩვენა მას თავისი საკვირველი ძალა, როცა ქრისტიანთა შესაპყრობად მიდიოდა დამასკოს და მოუწოდა არა მარტო შეეწყვიტა ქრისტიანთა დევნა, არამედ, თავად ექადაგა ქრისტე. ამ საკვირველი სასწაულით პავლე დარწმუნდა, რომ ღმერთი მას დიდი მოღვაწეობისაკენ მოუხმობდა.

შეწუხდა, მიხვდა თავის უმეცრებასა და სიბნელეს.

**მიხვდა**, რომ იგი, რომელიც თაყვანსა სცემდა ერთ ჭეშ-**მარიტ** ღმერთს, თურმე დევნიდა მის თაყვანისმცემლებს. **მწარე** სინანული დაეუფლა და ცრემლებით განბანილმა **ახალი** ქრისტიანული სიცოცხლე დაიწყო. ყველგან, სა-**დაც** კი მოხვდებოდა, ქადაგებდა ქრისტეს, როგორც ჭე-**შმარიტ** ღმერთს, და წარსული ცხოვრებისათვის ითხოვ-**და** პატიებას.

ასე რომ, საყვარელნო, ქრისტიანთა დაუძინებელი **მტერი**, გახდა თავდავიწყებამდე შეყვარებული ქრისტე-**ზე**. ამან მას ბევრი მტერი შესძინა, სასიკვდილოდაც **არაერთგზის** გაიმეტეს. მოციქულს თავის ეპისტოლე-**ებში** დაწვრილებით აქვს აღწერილი, ის სიმწარენი, **რაც** მას ქრისტიანობის ქადაგებისათვის სიკეთის **მტრებმა** მიაყენეს. მადლობით ითმენდა ყველაფერს, ეს-**წრაფვოდა** უფრო დიდ განსაცდელებს, და ბოლოს წმ. **პავლე** მოციქული, ისე, როგორც მოციქული პეტრე, **წამებით** ამთავრებს თავის ქვეყნიურ სიცოცხლეს.

აი, ამ ორი დიდი მოციქულის ხსენებას ვდღესას-**წაულობთ** ჩვენ დღეს. წმიდა მოციქულნი პეტრე და პავ-ლე თავიანთი სიწმიდით სიცოცხლეშივე გაბრწყინდნენ და უხვად ახდენდნენ სასწაულებს. უბრალო შეხებითაც კი ბევრმა მიიღო მათგან დიდი სიკეთე. ისინი დღესაც ზრუნავენ ეკლესიაზე — ქრისტეს ახალ მიმდევრებზე. დიდია მათი მეოხება ჩვენზე, დღეს, როცა წმიდა ეკლე-სია მათთვის საგანგებოდ აღავლენს საგალობელს.

შევთხოვთ უფალს, რომ მათი წმიდა მეოხება არ მოჰკლებოდეს დედა ეკლესიას უკუნისამდე.

დასასრულს მინდა შევთხოვო ღმერთს კიდევ ერთი რამ: დაე, პეტრე მოციქულის დიდი რწმენა და პავლე მოციქულის დიდი სიყვარული ამკობდეს ჩვენში თვი-თეულ მორწმუნეს.

პეტრე-პავლობას გილოცავთ, საყვარელნო, ყველას და გისურვებთ დიდ სულიერ სიხარულსა და წარმატე-ებებს.

**ეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი)**

12 ივლისი (ახ.).

მოვედით ძმანო, შთავდიხედნეთ საფლავთა,
სადა არს შური, საოცრებაჲ და ჴდომაჲ,
სადა არს ძჳრის ხსენებაჲ და ზუაობაჲ
და ჴორცთა გულის-თქუმანი, აჰა ესერა
მიწა, ნაცარ და თიხაჴმნილ არს ყოველი

**ოპიზარი მგოსანი**

X საუკუნე

# წარსულიდან

## ალექსი ბერი

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული ეკლესიის ნაამაგარი შვილია ალექსი ბერი (ბაქრაძე). მისი ცხოვრების შესახებ მოძიებული მასალები დასტურია ამ ჭეშმარიტად თავმდაბალი, დაუცხრომელი მუშაკის, ქართველ სასულიერო პირთა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების ღირსეულად გამგრძელებელი ბერის ცხოვრებისა და ღვაწლისა.

მისი სახელი არცთუ ისე იშვიათად გაიელვებდა ხოლმე XIX საუკუნის ქართულ პერიოდიკაში, როგორც სათნო, კეთილშობილი მოღვაწისა, რომლის სახელთან ყოფილა დაკავშირებული მრავალი საქველმოქმედო საქმიანობა, ქართული ლიტერატურული ძეგლების გადაწერა-გავრცელება და მათ მოვლა-პატრონობაზე ზრუნვა.

მისი მოღვაწეობისა და ცხოვრების გზის ზუსტი თარიღები ჯერჯერობით დადგენილი არაა. დღესდღეობით მივმართავთ ქართველ და რუს მკვლევართა წყაროებს, რომლებიც XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების აღსაწერად არიან ნამყოფნი ლეჩხუმსა და სვანეთში და რომლებთანაც ალექსი ბაქრაძეს პირადი ნაცნობობა ჰქონია.

დ. ბაქრაძის, ექ. თაყაიშვილის, ალ. სტოიანოვის ჩანაწერებიდან, გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძის) მიმოწერიდან ირკვევა, რომ იგი დიდად იყო დაინტერესებული სვანეთის ძეგლების მოვლა-პატრონობით და უშუალო მონაწილეობას იღებდა მათ გამომზეურებაში.

საგულისხმოა ექვთიმე თაყაიშვილის ცნობა ამ პიროვნებაზე: „ბერი ალექსი ბაქრაძე შესანიშნავი სათნოიანი პიროვნება იყო, უზომო თავმდაბალი, კეთილი, ღვთისნიერი, წყნარი, უაღრესად მორწმუნე და მუშაკი... ღრმად მოხუცებული ის დადიოდა ჩემთან ტფილისში და მოქონდა წიგნები, მის მიერ გადაღებული წარწერები (მაგალითად მომიტანა დადიშკელიანის კოლოფის არაბული წარწერები და სურათები). შემდეგ ათონის მთაზე წავიდა და იქიდან მიგზავნიდა მის მიერ გადმოწერილ სტატიებს ივერიის მონასტრის ძველი ხელნაწერებიდან. ესენი ეხლა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაშია. ეს ღირსეული ადამიანი იქ, ათონის მთაზე გარდაიცვალა. ერთი მის მიერ გადმოცემული პატარა რვეული in 16 შეიცავს 9 ფურცელს, ერთი ფურცელი აკლია, ამას აწერია: მოგზაურობა სვანეთში. იწყება ვახუშტი ბატონიშვილის მიერ გადმოცემული ლეგენდით, რომ სეტის ეკლესიაში გახიზნული იყო მცხეთის ტაძრის განძეულობა და კანკელი ძვირფასი თვლებისა, ვახტანგ გორგასლანის მიერ ინდოეთიდან მოტანილი და შემდეგ მოჰყვება მოკლე ცნობები მცირე რიცხოვან ნივთებზე ლატალის, ლენჯერის, მესტიის, მულახის, მუჟალისა და ფარის (სუფსის ეკლესია) თემებისა. ეს აღწერილობა შედგენილია 1864 წელს; მეორე რვეული შეიცავს სულ 7 დაწერილ ფურცელს ასეთის სათაურით: „1874 წელსა მაისის 29 დღესა კომისია დანიშნული სვანეთის ეკლესიებთა ქონების ცნობაში მოყვანისათვის შეუდგა უშკულის სამრევლოს შინა გამოკვლევასა მოძრავთა კუთვნილებათა მისთა და აღმოჩნდა შემდგომი“. სულ ორი ხატია აღწერილი უშგულის თემისა. პირველის შესახებ სწერია: „უშკულის მაცხოვრის ძველს ეკლესიაში არის ხატი წმიდის გიორგისა, სიმაღლით 4 ვერშაკი, განით 3 ვერშაკი, ვერცხლით მოჭედილი უკანით და მოოქროვილი,

რომელსაც აწერია შემდეგი: „წმიდაო გიორგი ზღუდისაო, მეოხ და მფარველ ექმენ აბესალომ ყიფიანს, და ძეთა მისთა, ამინ...“.

ექვ. თაყაიშვილი აგრძელებს:

„... აღსანიშნავია საოცარი სიმცირე დასახელებული ნივთებისა. ვინ იყვნენ კომისიაში, ნაჩვენები არ არის, მაგრამ ამ კომისიაში ბერი ბაქრაძეც რომ უნდა ყოფილიყოს, ეს იქიდან სჩანს, რომ ხელით გადმოღებულია ბერძნული წარწერა კალას სანაწილესი და ლატალის ჯვარისა. გარდა ბაქრაძე ბერისა სვანეთის მღვდლებმა ბერძნული არ იცოდნენ. მნიშვნელობა ამ რვეულისა იმაშია, რომ მათში ნაჩვენებია ნივთი, რომელიც ჩვენს დრომდე არ შენახულა...“.

ალექსი ბაქრაძე ცნობილი ყოფილა, როგორც იშვიათი წიგნებისა და ხელნაწერების შემგროვებელი და ქართველი საზოგადოებისთვის შემომწირველი. გაზეთ „იერიის“ ფურცლებზე რამდენიმე ცნობაა მისი შემოწირულების თაობაზე. ასე, მაგალითად, 1899 წლის № 90 ნომრიდან ვიგებთ, რომ „მღვდელმა ალექსი ბაქრაძემ შემოსწირა ტფილისის სათავადო-აზნაურო სკოლის წიგნთსაცავს შემდეგი წიგნები...“ ჩამოთვლილია წიგნების დასახელება, ქვემოთ კი: „გამგეობა სკოლისა გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველს...“.

ნოდარ ჯაფარიძის ცნობით, ალექსი ბაქრაძე კალიგრაფთან ერთად მეტად დაოსტატებული მხატვარიც ყოფილა. ერთ-ერთ მაგალითად მოჰყავს მის მიერ სოფელ სევაში (ონის რაიონი) მოხატული ბაზილიკის ტიპის კარის ეკლესია, რომელიც დაცული ყოფილა 1960 წლამდე.

საყურადღებოა ალექსი ბაქრაძის გამოკვლევა ქართულ გვართა გამოკვლევის ისტორიაში. მას შეუსწავლია ბაქრაძეთა გვარის გენეალოგია და აქედან გამომდინარე ასკვნის, რომ გვარის დასაბამის ათვლა იწყება ჩერქეზი ბაქარით (იგივე ბახუტი), რომელიც იმერთა მეფის საცოლეს ანნა ხანუმს გადმოჰყოლია ჩერქეზეთიდან XVII საუკუნის დასასრულს.

ალექსი ბერის სურვილი ყოფილა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტული ბაქრაძეთა გვარის საიმდღეისო ვითარების გარკვევა.

ამ ცნობას თან ერთვის ალექსი ბაქრაძის მიერ XIX საუკუნის დასასრულისათვის შესრულებული გვარის გენეალოგიის დიაგრამა და ტაძრის მხატვრობის ფრაგმენტები.

დიაგრამის ბოლოს ალექსი ბაქრაძე შენიშნავს: „თუმცა ვსცდილობდი, რომ ჩვენი მეგვარენი, რომელნიც სხვაგან გადასახლებული არიან: ქართლს, კახეთს, გურიას, ოდიშს და სხვათა ადგილთა, მაგრამ ვერ შევკრიბე ჯერ მათი ცნობა. უეჭველია ოდესმე განათლებული პირნი შეასრულებენ ამ საჭირო მოთხოვნილებას“.

ზემოთ უკვე ითქვა, ცხოვრების მიმწუხრში ალექსი ბაქრაძე მიემგზავრება ათონის მთაზე და როგორც ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი, მოღვაწეობს ათონის ივერთა მონასტრის იოანე ღვთისმეტყველის სავანეში. ათონის მთაზე გამგზავრებამდე მისი ნაღვაწი შრომების რამდენიმე ტომი სევას ეკლესიიდან ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში გადაუტანია პედაგოგსა და ისტორიკოსს ტრიფონ ჯაფარიძეს.

„ათონის სავანე მუდამ მატარებელი იყო ქართული ეროვნული იდეისა ბიზანტიაში. იგი გადაიქცა იმ წყაროდ, სადაც ჩვენში უხვად მოდიოდა მოწინავე კულტურის ნაკადი. თუ ქართული მწერლობა უაღრესად განვითარდა X—XI საუკუნეებში, ეს ივერთა მონასტრის მეოხებითაც, სადაც თავმოყრილი იყო ქართველთა საუკეთესო კულტურული ძეგლები, რომელთაც მიზნად დაისახეს გაეცნოთ თავიანთ თანამემამულეთათვის დასავლეთის ლიტერატურული სიმდიდრე და მემკვიდრეობა. იქ ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. იქ შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს წარსულში. ერთი სიტყვით, არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერთა მონასტერს. უამისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას, შეიძლება სხვა სახე და ხასიათი მიეღო“. (კ. კეკელიძე).

აი ამ ტრადიციების დაუღალავ და ნაყოფიერ გამგრძელებლად გვევლინება ალექსი ბაქრაძე. ცნობილია მისი მწიგნობრული ნამუშევრის არაერთი ნიმუში. მის მიერ დამზადებული ხელნაწერებიდან აღსანიშნავია: „თეოდორე სალოსის ცხოვრება (S № 33469. 1895 წ.). „უწყებაჲ და თხრობა აღშენებისათვის... აია სოფიას ტაძრისა“ S № 3345), დიონისე არეოპაგელის ეპისტოლე ტიმოთე მოციქულისადმი (S № 3342. 1900 წ.); იოსებ არიმათიელის „უწყება აღდგომისათვის უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა და აღშენებისათვის ეკლესიისა“ (S № 3343); კასიანე რომაელის „რვათა მათ ბოროტთა გულის-სიტყვათათვის“ (S № 3344, 1900 წ.); „ცხორებაჲ და მოქალაქეობაჲ ღირსისა მელანია რომაელისა“ (არქ. ხელნ. №-174, 1902 წ.); სასულიერო საეკლესიო შინაარსის კრებული (არქ. ხელნ. № 177, 1902 წ.) და სხვა. იხ .აგრეთვე არქ. ხელნაწ. №№ 190, 191, 195...).

ა. ბაქრაძე თავის ანდერძ-მინაწერებში ხშირად გვამცნობდა ხელნაწერის გადაწერის დროს, ვითარებას, მიზეზებს და ა. შ. მაგალითად, ისაკ ასურის „სწავლანის“ მინაწერში ვკითხულობთ: „გადაწერილ იქნა მთასა წმიდასა, ათონს 1903 წელსა; ახალ ქართველთ წმ. მოციქულის მახარებლის და ღვთისმეტყველის და მკერდს მიყრდნობილის იოანეს სავანესა შინა, ძველის მონასტრის ივერიის ქართველთ წიგნსაცავსა შინა დაცულისა, პერღამენტზედ დაწერილის დედნიდან“. სხვა ხელნაწერის მინაწერში იკითხება: „ვითხოვ სიმდაბლით, სიჩქარით წერისთვის შემინდოთ, რადგანაც დღედაღამე დრო არ მქონდა ბერძნის ბერებისგანა“.). არქ. ხელნ. № 190).

საგულისხმოა, რომ ა. ბაქრაძე საგანგებო ყურადღებას აქცევდა ათონის ისტორიას, თარგმნიდა და კრებდა სათანადო მასალებს. მაგალითად, მას ჯერ კიდევ ათონზე მისვლამდე რუსულიდან უთარგმნია „უზენაესი მფარველობა ათონზე ანუ მოთხრობანი წმიდათა სასწაულმოქმედთა, ათონსა შინა დიდებით გამოჩინებულთა დედისა ღმრთისა ხატთა და სხვათა წმიდათასა“ (Q № 913-ა. არქ. ხელნ., (№ 644), „წმიდა ათონის მთასა

ზედა არს დაშენებული მონასტერი დოხიარისა (დუქარიოსს)", KN-233) და ა. შ. სხვათა შორის მის მიერ გადაწერილ კრებულში (K№ 233) გვხვდება „მოთხრობა ივერიის მონასტრისა", რომელიც დ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა.

1902 წელს ივერთა მონასტერში მუშაობდა, ქართულ ხელნაწერებს სწავლობდა და ალექსი ბერის მიერ გადაღებულ პირებს ამზადებდა ა. ხახანაშვილი, რომელმაც ათონური ხელნაწერის საფუძველზე არაერთი ძველი ტექსტი გამოაქვეყნა.

ჩვენს ხელთაა ალექსი ბერის ნაშრომი „განხილვა ერნესტ რენანის მოსაზრებათა იესო ქრისტეს ცხოვრების შესახებ", გამოცემული თბილისში 1908 წელს. ამ ნაშრომით ალექსი ბაქრაძე წარმოგვიდგება, როგორც ანალიტიკოსი თეოლოგი. იგი ფრიად მნიშვნელოვან მოსაზრებებს გამოთქვამს რენანის, როგორც იესოს ცხოვრების კრიტიკულად განმხილველი მწიგნობრის მიმართ.

როგორც ირკვევა, ალექსი ბერის ინტერესთა სფერო მრავალმხრივია. შთამომავლობის ვალია მიაკვლიოს მის შრომებს, უპატრონოს, ნათელი მოჰფინოს მის წმიდად განვლილ ამსოფლიო გზას, დავიწყების ბურუსს გამოსტაცოს და მშობლიური ეკლესიის წიაღს დაუბრუნოს ამ კეთილშობილი, მოკრძალებული მოღვაწის სახელი.

იმედია, ეს სურვილები განხორციელდება და ჩვენ ახლო მომავალში ისევ მივუბრუნდებით ამ პიროვნების მოღვაწეობას.

ალექსი ბერის შრომებიდან წარმოდგენილი გვაქვს მისი ერთი ქადაგება. ვფიქრობთ, მისი გაცნობა ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი მკითხველისათვის.

**ზურაბ თორია**

# ერთობა და ეკლესია

## თქმული ალექსი ბერისაგან

სიტყვა ერთობა და ძმობა შეიცავს კაცობრიობის უმაღლესს მისწრაფების საგანს და გამომხატველია მისი სულიერისა და ხორციელის ღირსების, ანუ მოვალეობისა; ეს საკვირველი და ზესთა ბუნებრივი ღვთიური ქადაგება პირველად ქრისტესაგან გამოეცხადა ქვეყნიერებას მაშინ, როცა მთელი კაცობრიობა სასტიკის ძალ-მომრეობით სცხოვრებდა ძლიერთა მიერ უძლურის დამონავებით, ისე თითქოს ღვთის განგებასაც უძლურნი პირუტყვთა მსგავსად ბატონების მონად გაუჩენიაო. აი ასეთ დროს ქვეყანას მოევლინა დაჩაგრული ხალხის გამათავისუფლებელი და ამამაღლებელი, მესიად წოდებული ქრისტე მაცხოვარი ნაზარეთში, სადაც აღიზარდა იგი, სულიერ და ხორციელ მონობისგან მხსნელი და იქიდგან გაისმა ხმა ახალ მოძღვრებისა მთელი კაცობრიობის სასმენლად, ხმა ზეციური, კაცთა გონების აღმტაცი და აღმაფრთოვანებელი მოძღვრება: თქვენ ყველანი ერთნი ხართ, თქვენ ყველანი ძმანი ხართ, „რომელთა უნდეს თქვენს შორის დიდ-ყოფა, იყავნ ყოველთა მსახურ". „ამპარტავანთა ღმერთი შემუსრავს, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი". იმ დროიდგან განმავლობს რა ათას ცხრაასი წელი, გამუდმებით ისმის ხმა სახარების: ერთობისა, ძმობისა და სიყვარულის შესახებ, მაგრამ მთავარი სოფლისა — ამპარტავნება არ იხრის თავს ამ ნათლის წინ და ჰლამის ყოველ ძალ-ღონით ბატონობას. თუმცა თან და თანობით ღვთის ჭეშმარიტი მსახურნიც, — სასულიერო და საერო რჩეულნი პირნი იბრძოდნენ და ქადაგებდნენ ქრისტეს მიერ ზემოდ თქმულ ნათელ მოძღვრებას, მაგრამ გამარჯვება თითქოს ბოროტებას რჩებოდა. დღეს კი აღელდა უფსკრული გონიერებისა და მთელი კაცობრიობა გრიალებს ხმა-მაღლა, მაგრამ, ახალ მოძრაობის მიერ აღსარებულ ერთობას, ძმობას და სიყვარულს საფუძვლად უნდა ედვას უმთავრესად ჩვენი დიდება, — ეკლესია, ანუ შეკავშირებით რო ვსთქვათ, ეკლესია, ერთობა, ძმობა და სიყვარული. ამას აღვიარებ მე მთელის კაცობრიობის სულიერ ერთ-გვამად, ესე იგი ეკლესიას — სულად, ერთობას — გვამად და ძმობა — სიყვარულს — საქმედ, რომელზედაც დამოკიდებულია ყოველივე სავსებით. უამისოდ კი, ესე იგი, უეკლესიოდ, არა მწამს არც ძმობა, არცა არავითარი განათლება და ყოველივე ამაოდ შემირაცხავს. ეკლესია, ერთობა, ძმობა და სიყვარული ოთხ-კუთხედი სამყაროა ჩვენი საერთო მოქალაქეობისა. მე მხოლოდ ამაში ვპოვებ საზოგადო ცხოვრების წარსამართებელ უნაკლულო სისრულეს და ამისგან შეუძლია მიიღოს კაცმა ორთავ სოფლის სანეტარო ცხოვრება. როგორც სული მაცოცხლებელია ხორცისა, აგრეთვე ეკლესია სულია ჩვენი ზნეობრივად საუკეთესო საქმეებით მაცოცხლებელი.

მოუსპეთ ხალხს მცნება ეკლესიისა და რწმენა მომავალ ცხოვრებისა და მაშინ ნახავთ, რომ ესრეთი ერთობა შეიქმს პირუტყულ და მხეცურ ერთობას, რომლითაც გაირყვნება ზნეობით მთელი ოჯახობა, ნათესავობის განურჩევლად, აღმოიფხვრება კავშირი, — დამცველი პატიოსნებისა, გაჰქრება სინდისის მანათობელი სათნოება და გამეფდება უსირცხვილობის მოძღვარი სატანა და აგრეთვე თითოეულ კაცთა საკუთარი ნებაც ამპარტავნებით და უსჯულოებით განლაღებული და მით დაემხობა ერთობა. გულტკივნეული კიდევ ვიმეორებ: წვეთისაგან შესდგება ზღვა და წვეთობითვე დაილევა. ასევე თითოეულ ოჯახიდან შესდგება კაცობრიობა და თითოეულ ოჯახის გაოხრებით აოხრდება მთელი კაცობრიობა.

თუ საღმრთო შიში გაქრა ხალხში, ცოდვის შედეგი, ესე იგი, საუკუნო წაწყმედა დაეუფლება მას. რომ უარყოფცნება და სჯული განაგდო, მაშინ ხორცის თვისება მო-

ორბრებს ერთობას, განყოფს ძმობას და განდევნის სიყვარულს; ცხოვრება კი ნეტარებს ოჯახის კეთილ-დღეობით, ცოლ-ქმართა და შვილთა ურთიერთ სიყვარულშორიდებით და ნამუსაუხდელ პატიოსნებით. ეს დიადი ადამიანთა საკეთილდღეო კავშირი შექმნა სალმრთო მცნებამ, ამ მცნებას კი იცავს უკვდავების რწმენა და მრავალი ცხოვრების მხედველობა და თუ ეს ღვთის მცნება და მომავალი ცხოვრების რწმენა დაჰკარგა ოჯახმა, მაშინ ვერ იცნობს ძმა დასა და შვილი დედას და ყოველად საძაგელ შერევნით გაირყვნება პატიოსნების ტაძარი, აოხრდება ოჯახი, კაცობრიობა და ჩვენი ერთობაც უკვალოდ გაჰქრება და მხეცურ თვისებით გაველურდება.

გეკითხები, საყვარელო ძმაო, რა გნებავს, ან რომელი საგანი გსურს, პიროვნული თუ საზოგადო? კერძო თუ საქვეყნო? სააქაო თუ საიქიო? ეს მოითხოვე ეკლესიისგან და ეძიე ყოველივე უჭეშმარიტესი სინათლით და ჰპოვო სახარებაში.

უკეთუ გნებავს ამაღლდე დიდ სულობით, შეუდეგ სახარებას და იხილავ უმაღლესს აღსავალ კაც-ღმერთობისას და თუ გწყურის განათლება უბნელო და არა ცალმხრივი, ვიდრე დამთავრებამდე სწავლისა, მარადის სცემდეს ყურსა შენსა სიტყვანი სახარებისანი, ღრმად შეითვისე მისი აზრი და იხილავ საკვირველად აღმართოვანებელ გულის-ხმის-ყოფას, რომელიც აღგვამაღლებს ღვთაებურის თვისებებითა.

უკეთუ გსურს სცნა ჭეშმარიტება, რომელიც ათავისუფლებს ადამიანს პირუტყული ბორკილისგან, განახორციელე სიტყვა სახარებისა შენ შორის და განთავისუფლდები მონობისგან, ვითარცა იტყვის მაცხოვარი: -უკეთუ სცნათ ჭეშმარიტება, ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქვენ, რამეთუ მე ვარ გზაჲ და მე ვარ ჭეშმარიტებაჲ და ცხორებაჲ".

ერთი სიტყვით, ეკლესია არის წყარო უკვდავებისა და ყოველ გვარ სააქაო უბედურების დროს ნუგეშინის-მცემელი. ამისთვის გეეედრებით საყვარელნო ძმანო, ნუ შესცდებით ეკლესიის ჭეშმარიტი გზისგან და ნუ შთავარდებით ბნელსა უკუნსა ეშმაკეულის მოძღვრებით, ეკლესიიდამ განდგომითა და მისგან დაწესებული სჯულის დარღვევით. გწამდეთ ღმერთი, ეკლესია, სჯული და ესრეთ განაძლიერეთ ერთობა.

ერთობა ძლიერებაა კაცობრიობისა და ნაშობია სიყვარულისა. ერთობა უძლეველი მხედრობაა, გინა მეფობაა. ერთობა სადაც იქუხებს, ეკკლესიის შეკავშირებით, იქ ყოველი უსამართლობა, ბოროტება, შენ-ჩემობა და მდიდარ-ღარიბობა გაჰქრება. ამისთვის მე მსურს წარმოვიდგინო ერთობის წმიდა სახე, იმ მაღალ ერთობისა, რომელიც პირველ საუკუნეში დაარსდა მოციქულთა მიერ. იხილე საქმე მოციქულთა, თუ რას იტყვის: „ხოლო სიმრავლისა მის მორწმუნისა იყო გული და გონება ერთ და არა ერთმან ვინ სთქვის მონაგები მისი თვისად, არამედ იყო ყოველივე მათდა ზოგად და ძალითა დიდითა ყოფდეს მოციქულნი წამებასა მას აღდგომისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა და მადლი დიდი იყო მათ ყოველთა ზედა და არავინ იყო ნაკლულევან მათ შორის, რამეთუ, რომელნი იგი პოვნიერ იყვნეს სახელებისა გინა დაბნებისა, განყიდეს და მოაქვნდეს სასყიდელი განსყიდულთა მათ და დასდებდეს ფერხთა თანა მოციქულთასა და მიეცემოდა კაცად კაცადსა, რაც ვის უხმდა" (თავი 4 ლბ.). დაუკვირდით, ძმანო, ზემოხსენებულ მოციქულთა მიერ დაარსებულ ერთობის მნიშვნელობას, მის სიდიადეს, „რამეთუ არცა ერთმან ვინ სთქვის მონაგები მისი თვისად". რამ შექმნა, ძმანო, ესრეთი სამაგალითო და საკვირველი ერთობა, თუ არა ეკკლესიის ძლიერმა სარწმუნოებამ. სწორეთ და მხოლოდ ამ ეკკლესიის მადლიანმა სარწმუნოებამ შესძლო მაშინ ესრეთი მაღალი და უნაკლულო ნათელმოსილი ერთობა; კერძო პირთა უარ ჰყვეს თავიანთი საკუთრება და ერთ საუნჯედ შექმნეს ყოველთათვის თანასწორ გასაყოფად. აი წმიდა ძმობა, ნამდვილი ერთობა და სიყვარულის მაღალი თვისება ეკკლესიურის სარწმუნოებისაგან ნაშობი, რომელმაც მოსპო მათ შორის ანგარება, კერძო გამდიდრება და ბატონობა. იხილეთ, ძმანო, შვენიერება ერთობისა სიყვარულის მიერ წარმოშობილი. ამ ერთობის წრეში სუფევდა ერთ სულობა და ერთი მიმართულება და ამის გამო მათ შორის არ იყო შფოთი კერძო შეძენისა, საჩივარი წართმევისა, ანუ ქურდობისათვის, ესე ყოველი გააქრო ზნეობრივმა განათლებამ, და დაამყარა სიყვარულმა. იხილეთ, ძმანო, ცხრამეტი საუკუნის წინად დაარსებული ერთობის უმაღლესი ჭეშმარიტება, უმაღლესი სისრულე და სიდიადე აღსაფრთოვანებელი ზნეობრივ განათლებისა. საუწყებელ არს, ძმანო, რომ ყოველი გარეგანი შრომა და ღვაწლი უნდა ემსახურებოდეს შინაგან ზნეობრივ განათლებას და ყოველი წეს-წყობილება და მოძღვრება უნდა ქმნიდეს ადამიანთათვის სულიერ ვნებათაგან განმათავისუფლებელ ძალას, ურომლისოდაც ადამიანი პირუტყვია და ყოველი მისი წესწყობილება ერთობისა არ არის ღირსი ხსენებისა. თუ ადამიანობამ არ შეიგნო, რომ პირველ ყოვლისა, უნდა ეძიოს გაუმჯობესება თვისის შინაგან* მდგომარეობის, ებრძოლოს თავის ვნებასა, განთავისუფლდეს ცოდვის მონობისაგანა, ისე არა მწამს მარტო გარეგნობამ სრულ ჰყოს დანიშნულება საერთო ბედნიერებისა, რადგან ყოვლად შესაწყნარებელია ის აზრი, რომ თუ ზნეობრივად არ განათლდა ადამიანობა, არ იქნება სრული მშვიდობა, ერთობა, ძმობა და სიყვარული.

## III

„ვიყუარებოდეთ ურთიერთას, რათა ერთობით აღვიაროთ". აი, ერთობის „სალმრთო" ხმა, რომელიც ამ ერთობის მშობლად სიყვარულსა გვისახავს. თუმცა ამას დღესაც ჰქადაგებენ, მაგრამ, სამწუხაროდ სიტყვით, საქმით კი ყოველმხრივ ისმის ძმათა სიძულვილი. ამ დიდებულ ახალ მოძღვრების ხანაში უმეტესად ჩვენი ანაფორა იქმნა შეგინებული, მოძულებული და შეურაცხყოფილი, ხოლო ეს კი არ არის ის ღვთიური სიყვარული, რომელსაც სახარება ქადაგებს, ესე იგი, თავის სიყვარუ-

---

* „პირველად ეძიებდი სასუფეველსა ღვთისასა და, ესე ყოველი შეგეძინოს შენ".

ლის თანასწორად მოყვასის შეყვარება; თუ ცთომილნი არიან სასულიერო პირნი და ხარისხის დაგვარად არ იქცევიან, ძმურად ხელი გავუწოდოთ და დავეხმაროთ, რათა გამოვიხსნათ ცთომილებისაგან, არა სამუდამოდ დაჩაგვრით და მწარე სიძულვილით, არამედ სიყვარულის ჩვენებით. წოდებას კი არ უნდა განუცხადოთ „ძირს“ (ბერობა და მღვდლობაო), არამედ, შევქმნათ ისეთი დახმარების პირობები, რომ „ძირს“ დარჩეს მხოლოდ ყოველი ბოროტება და სიცუდე. ნაცვლად ამისა კი უმრავლესობამ აღაღო პირი ჩვენდა დასაგმობად და ხალხში ქადაგებით, მშობელთა და ახალ მოზარდ ბავშვების გულში ჩანერგა სიძულვილი სასულიერო პირებისა, სამწყსოს შეაძულა მოძღვარი მაშინ, როცა ჯერი იყო სიყვარულის შეულახავად გასწორება იმ მიზეზისა, რითაც მართლა ბრალეულ არიან ზოგნი მოძღვარნი საღმრთო მოქმედების დროს ვაჭრობით. აქა შვენოდა მიუდგომელი ქადაგება და არა სიძულვილის ჩანერგვა მრევლში. საჭიროა დაკვირვება და უფრო ფართე თვალით და გონების სიმდიდრით გადახედვა ძმობის კავშირისა და ერთობის პატივისა. მიხედეთ, თუ როგორი სიყვარულით ეპყრობა უფალი მის გამცემელს იუდას. ოთხშაბათს გასცა იგი და ხუთშაბათს ქრისტემ ფეხი დაბანა და სერობის დროს მასთან იჯდა და არა განაგდო საერთო ტრაპეზისგან.

ქვეყანა და სიცოცხლე შეკავშირდა ღვთის სიბრძნე-ძლიერებით და თავისუფლება გამეფდა, ხოლო სიბრძნე გამგედ დაიდგინა სულისა. ეს ადამიანის საკუთრებაა და ნების დაგვარად მითი მოქალაქეობს მთელი კაცობრიობა. ჩემი ანაფორა და შენი საერო სამოსელი მხოლოდ გარეგანი ნიშნებია და არა ძმობისა და სიყვარულის გასაყოფი; მაშ ამა თუ იმ თანამდებობის მსახურთ კერძო ნაკლულოვანება ძმურად გავასწოროთ და ურთიერთთა პატივიც საერთო სიყვარულის კავშირით დავიცვათ, რომლითაც განმტკიცდება დედაბოძი ძმურის სიყვარულისა და არა მტრულის დევნით სასულიერო პირებისა. თუ სასულიერო პირების ვერცხლის-მოყვარეობით არის გამოწვეული თქვენი უკმაყოფილება, ხელი-ხელს მივსცეთ და გავსწორდეთ, რათა მღვდელი და ერი სიყვარულის ხმით გალობდნენ „ალილუიას“, თორემ ქრისტეს მიერ წარმოთქმული მსჯავრი სირცხილეულ გყოფენ წინაშე სიმართლისა და გეტყვით: „პირველად ვინც თქვენგანი უცდომელ იყოს და თავის სულიერ დანიშნულებას უნაკლულოდ ასრულებდეს, მან დაგვკრიბოს ქვა“.

მაშ, ვიყუარებოდეთ ურთიერთას, რათა ერთობით აღვიარებდეთ სარწმუნოებას და ძმობა-ერთობას.

## IV.

რადგან აღვიარებთ თავისუფლებას და ვსცნობთ, რომ თავისუფლება ადამიანისთვის უმწვერვალესი ღირსებაა, მაშ თვისებაც მისი გამოვიძიოთ და უფლება თითოეულის კაცისა ხელშეუხებელ ვყოთ; ვაკუთვნოთ ყველას თავისუფლება, ვიცხოვროთ ყველამ ისე, როგორც გვსურს. ყველანი მოვალენი ვართ სხვისი თავისუფლება არ შევზღუდოთ, მით არავის ვავნოთ და ღვთის სათნოდ ვიცხოვროთ.

ცხოვრების რიგში, საგნის აღრჩევა თითოეულ კაცის სურვილთა უფლებაშია. ამიტომ ბერობისა და მონაზნობის აღრჩევა ნუ იგმობის, რომ არ გესმათ საყვედური მაცხოვრისაგან: „თქვენ არა შეხვალთ და შემავალთა არა უტევებთ შესვლად“. შენ გსურს ერთობა, მე მსურს ბერობა. თუ უფლება მაქვს ვჰყო ის, რაიცა მსურს, შენ რა! შენ შენსას შეუდეგ, წინააღმდეგ ამისა ყოველი მოქმედება, რაც უნდა მიზეზი წარმოვადგინოთ, ძალ-მომრეობისა და იგივე დამონავების ცდომილი სურვილია.

კაცი არა შეკრულ არს ღვთისა მიერ იძულებით კეთილისა მიმართ მიზიდვად, არამედ თავისუფალ ჰყო იგი, რაიცა უნდეს ქმნად: „იძულებით კეთილი არა კეთილ არს“. არა ვის სმენია და არცა წერილ არს, რომ ქრისტეს ძალმომრეობა ეხმაროს მისი მოძღვრების გავრცელებისათვის. იგი ანდობდა თითოეულ კაცს, რომ მათის ნებისაებრ მიეღო სწავლა და იძულებით და ბრძანებით არავის იმონებდა. იგი თავის ქადაგებას ათავებდა შემდეგი სიტყვებით: „რომელთა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ“. „უკეთუ გინდეს სრულყოფა, განსყიდე ყოველი მონაგები შენი, მიეც გლახაკთა, მოვედ და შემომიდეგ მე“. „რომელთა უნდეს თქვენ შორის დიდჰყოფა, იყავნ ყოველთა მსახურ“. აგრეთვე: „რომელთა ძალუძთ დატევნად, დაიტიენ“. ამ გვარად მათს სურვილზე მინდობილი მაცხოვრის სიტყვები გამოხატავენ კაცთადმი მინიჭებულს თავისუფლებას და დიდ პატივს.

აწ, ვინაიდგან ღვთის მიერ ესრეთ პატივცემულ არს ადამიანის თავისუფლება და ჩვენცა ამას გავიძახით, რამდენად სიბრმავე იქნება ამის წინააღმდეგ მოქმედება, ახდა უფლებისა, კიცხვა და შეურაცხყოფა ბერობისა.

„ნუთუ მე არ ვარ თავისა ჩემისა უფალ?“ ვინ რაზედა ჩინებულ არს, მასზედა ეგენ“. „სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ, ვიდოდე მშვიდობით“. ასე გვაკურთხებს ქრისტე ყველას, სარწმუნოებისა დაგვარად. მაშ, საყვარელნო ძმანო, გვაკუთვნეთ თავისუფლება, რათა არა იგივე ძალმომრეობა, იგივე დამონავება და ბატონყმობრივი უფლება ნიადაგობდეს შემარცხვენლად განათლებისა.

1905 წელი.

# რატომ უყვართ მგრაძდგს საქართველო

როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, საქართველო ათადან-ბაბადან ითვლება ებრაელთა ერთი ტომის კეთილსაიმედო ნავსაყუდელად.

უსათუოდ ქართველთა უბადლო მასპინძლობით აიხსენება ის ფაქტი, რომ ჩვენი პლანეტის უმრავლეს ქვეყნებში მოსახლე ებრაელთაგან მარტოოდენ ქართულ მიწა-წყალზე დამკვიდრებულმა ებრაელებმა შესძლეს შეენარჩუნებინათ სოლომონ ბრძენის ენა — ივრიტი, რომელიც ერთ-ერთი უძველესია დედამიწაზე.

საგულისხმოა, რომ საუკუნეთა მანძილზე ერთი ჭირის მქონე და ერთი ლხინის მოზიარე ქართველთა და ებრაელთა უზადო მეგობრობაზე დასტამბული წიგნების ავტორები ზ. ჭიჭინაძე და ა. ციციაშვილი ამ ერთა ურთიერთობის საწყის თარიღად მიიჩნევენ „ქართლის ცხოვრებაში“ მინიშნებულ იმ გადმოცემას, რომელიც შეიცავს ნაბუქოდონოსორის მიერ დაპყრობილი იერუსალიმიდან ოტებულ ებრაელთა მცხეთაში მოსვლის ვერსიას.

ეს მაშინ როცა იმავე „ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილია ბევრად ადრე მომხდარი ამბავი, რომელიც თვალნათლივ ცხადყოფს ქართველთა კეთილად მახასიათებელ თვისებას.

„... მოვიდა ამბავი ვითარმედ მოსემ განვლო ზღვა ებრაელთა (იგულისხმეთ — ზღვა მეწამული — დ. ბ.) და ებრდებოდნენ იგინი უდაბნოსა მანანათა. გაჰკვირდეს ყოველნი და მათ ყველა წარმართთა აქეს ღმერთი ისრაელთა“. (ხაზი ჩვენია — დ. ბ.)

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში ვერ შეხვდებით მსგავს მაგალითს იმისას, რომ მოსესა და ქრისტეს რჯულის მქონე ხალხებს ისეთი შესაშური სიამტკბილობით ეცხოვროთ ერთმანეთის გვერდი-გვერდ, როგორც ათეული საუკუნეების მანძილზე სტუმარ-მასპინძლობენ ებრაელები და ქართველები.

ამიტომაც აქსიომად ჟღერს სიტყვები ზაქარია ჭიჭინაძისა მისივე წიგნიდან — „ქართველთ ისრაელნი საქართველოში“: **„არც თქმულა, არც გაგონილა, რომ ოდესმე ქართველ ებრაელს ან საქართველოსათვის ეღალატოს ან ქართველი მეფისათვის“.**

ცხადზე-უცხადესია, საუკუნეებით შედუღაბებული ქართველებისა და ებრაელთა მეგობრობის ამბავი ბოლოს და ბოლოს გასცდებოდა საქართველოს ფარგლებს. სწორედ ამით აიხსნება „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის II ტომში დასტამბული სიტყვები: „XIX საუკუნის საქართველოში სახლდებიან მეფის რუსეთიდან გადმოსახლებულ ევროპელ ებრაელთა ჯგუფები“. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ჩვენი საუკუნის დამდეგს ევროპის ქვეყნებში გამართულ ებრაელთა მსოფლიო კონგრესებზე მქუხარე ტაშისცემითა და აღფრთოვანების შეძახილებით ხვდებოდნენ ცნობებს საქართველოზე.

ბუნებრივია კითხვა: ვინ ასხამდა ქება-დიდებას ქართველ ხალხს? რაც მთავარია, თავად ყოვლად უცილობელი ფაქტი იყო მრავლისმეტყველი. რაც შეეხება პიროვნებას, ამ მხრივ ფასდაუდებელი დამსახურება მიუძღვის ცნობილი მწერლის გერცელ ბაზოვის შამას — დავით ბაზოვს, რომელიც გარდა იმისა, რომ ფრიად ერუდირებული პიროვნება გახლდათ, შესახედავადაც ერთობ მომხიბვლელი იყო. დავით ბაზოვის ამ მისიაზე ფრიად საგულისხმო ცნობას გვაწვდის ქართული თეატრის მკვლევარი, პროფესორი დიმიტრი ჯანელიძე, რომელიც ახლო ურთიერთობაში იყო ამ ოჯახთან. მისი ერთ-ერთი წერილიდან მოვიყვანთ შემდეგ პატარა ნაწყვეტს:

„დავითი უფრო საზოგადო მოღვაწე იყო, ვიდრე კულტის მსახური... ის ძველი ებრაული მწერლობის, რუსული და ევროპული ლიტერატურის მცოდნე იყო და სიყვარულით წერდა და შთამაგონებლად მეტყველებდა საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე. აკაკის დაკრძალვისას დავითმა ქართველი ებრაელების სახელით მხატვრული სახიერებით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა: როდესაც ქურდი სახლში შეიპარება, ყველაზე ძვირფას ნივთს მოძებნის და გაიტაცებს. და აი, სიკვდილი ქურდულად შემოგვეპარა და მან საქართველოს ძვირფასი თვალი — დიდი აკაკი მოგვპარა.

ევროპაში ყოფნისას ებრაელთა ერთ-ერთ კრებაზე დავით ბაზოვს სიამაყით განუცხადებია: მე იმ ქვეყნიდან ვარ, **სადაც ებრაელობა ორი ათასი წელია ცხოვრობს, მაგრამ არც ერთხელ მის მკვიდრთაგან დარბევა-აწიოკება არ განუცდია. ეს სასიქადულო ქვეყანა საქართველოა!“.**

ამ სიტყვებს მსმენელებზე გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოუხდენია.

ზემოხსენებულ დავით ბაზოვს ერთობ ახლო ურთიერთობა ჰქონდა ებრაული ლიტერატურის კლასიკოს შოლომ ალეიხემთან, რომლის საქართველოთი აღფრთოვანებას საზღვარი არ უჩანდა. ისინი ერთმანეთს ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს გასცნობიან.

„18 წლის წინათ, — აღნიშნავს დ. ბაზოვი გაზეთ „საქართველოს“ 1916 წლის 28 მაისის ნომერში დასტამბულ წერილში, — როდესაც ქალაქ კოვნოში (იგულისხმეთ ქ. კაუნასი — დ. ბ.) ვსწავლობდით, ნაკლებად ვიცნობდი მწერლობას. ჩვენს სასწავლებელში დიდი მზადება იწყეს. „სტუმარს ველით, რომელიც ძალიან გვიყვარსო“. ეს სანატრელი სტუმარიც მოვიდა. ქ. კოვნომ დიდი ამბით მიიღო... მისმა დიდმა ნიჭმა დიდი ცვლილება მოახდინა ჩემში. ვნატრობდი მის პირადად ნახვას, მაგრამ ამაოდ, ვინ მიმიშვებდა. მეორე დღეს კაცი მოვიდა და მითხრა: თქვენ გთხოვენ, შოლომთან მოდითო. მე ამან გამაკვირვა... დიდი სიამოვნებით გავეშურე მისკენ. როცა შევედი, მაშინვე მკითხა:

— თქვენ საქართველოს ებრაელი ხართ?

— დიახ!

— ოხ, რა ბედნიერი ვარ ამ შემთხვევით. მე მინდა მიამბო ქართველი ერის ამბები, მათი სულისკვეთება, მისწრაფება დღევანდელ დროში... იცით, თქვენი პირდაპირი მოვალეობაა ქართველი ერის ცხოვრებაში დიდი მონაწილეობა მიიღოთ, აღზარდოთ იმისთანა შვილები, რომ გაამდიდრონ მათი ლიტერატურა, ძმობა, ამხანაგობა გაუწიონ ყველაფერში. ჩვენი ერი, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც დიდ ტანჯვას განიცდიდა, ერთგულად ასრულებდა თავის მამულიშვილობას, აძლევდა თავის საუკეთესო ნიჭიერ შვილებს ყველა დარგში და თქვენ ხომ არაფერი გაჭირვება, დევნა არ განგიცდიათ ამ კეკლუცი ერისგან. უფრო მეტი ვალი გაქვთ, რომ მათ წინსვლას მეტი ძალი და ღონე შესწიროთ".

გაზეთ „საქართველოს" მომდევნო ნომერში დაბეჭდილ გაგრძელებას ავტორი ამ სიტყვებით იწყებს:

„განვლო ათმა წელიწადმა. ჰოლანდიის ქ. ჰაგაში თავი მოუყრიათ დიდ პირებს და აივანზე ისვენებენ. ნ. სოკოლოვიც იქ გამოსულიყო, როცა დამინახა, მომმართა: ძალიან მინდა თქვენთან საუბარი, მაგრამ არ იქნა, ვერ მოვიცალე. ცოტა რამ მიამბე ჩვენი ძმების ამბავი, მათი ცხოვრება საქართველოში.

უცებ წამომადგა დიდთმიანი კაცი, რომელიც მალე ვიცანი და აღტაცებით მკითხა:

— თქვენ განა საქართველოდან ხართ?

— დიახ, ვუპასუხე.

— იცნობთ ქართველ მწერლებს — ილია ჭავჭავაძეს, ან აკაკი წერეთელს?

— როცა დადებითად ვუპასუხე, მის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა და ამნაირად დაუხატა იქ დამსწრე პირთ... მე გავიცანი ა. წერეთელი პარიზში და ი. ჭავჭავაძე კი პეტერბურგში. აი, ნამდვილი ადამიანები. აი, ნამდვილი იდეალების მსახურნი, რომელი იდეალიც უქადის კაცობრიობას ბედნიერ გზას. რასაც დაამოწმებს ფსიქოლოგიურად ქართველი ერისა და ებრაელების დაახლოვება. აღელვებით გაისმა ხმა: გაუმარჯოს იმ ერს, რომელსაც ასეთი ძლიერი და სუფთა თვისება ჰქონია!

... შემდეგ მატარებლით გზას გავუდექით. ერთად ვიმგზავრეთ ქ. ბერლინამდე. ლაპარაკი უმეტესად ქართველ ერს შეეხებოდა. ბ. ნ. სოკოლოვმა ისე აღნიშნა ქართველი ერის წარსული და აწმყო მდგომარეობა, როგორც საქართველოს შვილმა. მანაც და შოლომ ალეიხემმაც ერთად დიდი სურვილი გამოთქვეს სწვეოდნენ საქართველოს და ესწავლათ ქართული ენა...

საჭიროდ მივიჩნევთ გაგაცნოთ დ. ბაზოვის ამ სტატიის პირველი აბზაციც, რომელშიც გამხელილია მისი დაწერის მიზეზი.

„იკურთხოს, უფალო, სახელი შენი, რამეთუ დიდია განგება შენი!" — ასე ამოიძახა ჩემმა გულმა, როცა ორი უბედურება ერთად გავიგე ახლანდელი მგზავრობის დროს. ქ. ნიუ-იორკში გარდაიცვალა ებრაელთა საყვარელი მწერალი შოლომ ალეიხემ რაბინოვიჩი. ამავე დროს გარდაიცვალა ქართველი ერის საყვარელი მგოსანი იროდიონ ევდოშვილი".

აღნიშნავს რა შოლომ ალეიხემის გამორჩეულ სიყვარულს საქართველოსადმი, დ. ბაზოვი გვამცნობს, რომ მან ვერ შეისრულა თავისი დიდი წადილი — ჩამოსულიყო საქართველოში და შეესწავლა ქართული ენა — რადგან „იგი ავად შეიქნა და ექიმების რჩევით იტალიაში გადასახლდა, სადაც ბევრი იტანჯა და ბოლოს ნიუ-იორკში გარდაიცვალა სწორედ იმ დღეს, როცა ქართველი იროდიონი გარდაიცვალა... ოხ! დიდია იროდიონის სიკვდილი. დიდია შოლომის სიკვდილიც. ჩვენ გვინდოდა შოლომი მართლა სტუმრებოდა საქართველოს, უფრო გაეცნო ქართველი ერის ადამიანობა, დიდი სული და მისი ძვირფასი ფსიქოლოგია, გაეცნო დაეცნობებია ევროპა-ამერიკისათვის, რომ არსებობს ერთი პატარა ერი საქართველოს მთებს შორის, რომელსაც მჭიდროდ უჭირავს ხელში დროშა კაცთმოყვარეობის იდეალებისა".

გამოხატავს რა ი. ევდოშვილის უდროოდ დაკარგვით გამოწვეულ დიდ მწუხარებას, დ. ბაზოვი უღრმესი მადლობით მოიხსენიებს მგოსნის ღვაწლს ებრაელებისადმი. იგი წერს: „...ევდოშვილი არის ტანჯული ხალხის მოყვარე, მასზე დარდობს, მასზე ტირის და მისთვის ნუგეშის ძებნაშია... როცა კითხულობ მის ლექსებს „ისმინე, ერო ისრაელისა" ან „ტირილს ისრაელისა", ისე ჰგრძნობ, თითქოს ფურცლები იროდიონის ცრემლით იყოს დამბალი. ჰკვირობ, იოცებ და ამბობ: რამ წაიყვანა ქიზიყელი იროდიონი შორეულ იერუსალიმში?".

დ. ბაზოვის იმავე წერილში ყურადღებას იპყრობს შემდეგი გამონათქვამიც: „მე ბევრგან ვთქვი და სიმართლეც ასეა: თუ ვუყურებთ, რომ ქართველი დეპუტატები მედგრად იცავენ დაჩაგრული ერების საკითხს სათათბიროში, მხოლოდ ქართული ფსიქოლოგიით აიხსნება ეს და არა რომელიმე პროგრამის მიხედვით.

ავიღოთ მაგალითი: თბილისში თავადმა დავით ნიჟარაძემ დიდი საინტერესო მოვლენა დაატრიალა. გაბედულად შეიტანა საერობო თათბირზე ებრაელების საკითხი. თავის მხრით მხურვალე გულით წარმოთქვა სიტყვები, რომლის გავლენითაც პატივცემულმა კრებამ საკითხი ჩვენს სასარგებლოდ მიიღო".

იმაზე, თუ რა თქვა დ. ნიჟარაძემ, ამომწურავ პასუხს გვაძლევს ამონაწერი გაზეთ „სამშობლოს" 1916 წლის 11 მაისის ნომრიდან:

„თავად დ. ო. ნიჟარაძე კრების ყურადღებას მიაქცევს იმ მოვლენას, რომ ჩვენს ქვეყანაში მრავალად ცხოვრობენ ებრაელები... ეს ებრაელები მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ცხოვრობენ ჩვენს ქვეყანაში და წარსულში ისინი იხდიდნენ ყოველგვარ ვალდებულებას სახელმწი-

ფოს წინაშე და მრავალი მათგანი, როგორც მაგალითად, ქუთაისის ებრაელები, მონასტრების საკუთრებას შეადგენდნენ... ორატორი წინადადებას აძლევს კრებას გამოთქვას სექციამ სურვილი, რომ ადგილობრივ ებრაელებს ერთობაში მონაწილეობის უფლება მიენიჭოთ".

საგულისხმოა, რომ სექცია ამ წინადადებას ერთხმად უბულობს.

რა გამოხმაურება ჰპოვა ამ ფაქტმა ებრაელთა შორის?

გაზეთი „სამშობლო" 1916 წლის 28 მაისის ნომერში დასტამბული კორესპონდენციით შემდეგს აუწყებდა მკითხველთ:

კავკასიის ერობის შემოღების გამო დიდად სასიამოვნო ამბავი მოხდა 21 მაისს დ. ონში პატივცემული მოღვაწის, რაბინის დ. ბააზოვის მეთაურობით. 400-მდე ებრაელმა მოიყარა თავი დიდ სალოცავში. გადაიხადა ლოცვა რაბინმა... ქართველი ერის აღდგენისა და ამაღლებისათვის.

შემდეგ წარმოსთქვა დიდი თავისებური მგრძნობიარე სიტყვა. უღრმესი მადლობა გამოუცხადა ქართველ ერს და დაამტკიცა ისტორიულად, რომ ქართველობას ყოველთვის კაცთმოყვარეობის დროშა ეჭირა ხელში და ამ დროშის ქვეშ ჩვენი ერიც იყო შეფარებული და ქართველნი იყვნენ დღემდის ჩვენი ერის მფარველნი და დღესაც არიან. თუმცა საერობო კრებაზე, — განაგრძო რაბინმა, — ჩვენი წარმომადგენელი არ ყოფილა და ჩვენი ხმა იქ არ გაისმოდა, მაინც ქართველმა ერმა არ დაგვივიწყა და მოითხოვა ჩვენი უფლება. საზღვარი არ ჰქონდა ხალხის ძახილს: „გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ მოძმე ქართველებს, სიცოცხლე მათ დაბედნიერება!" ბ-მა ბააზოვმა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა თავისი სიტყვა: უფალო, მოგვასწარი საქართველოს აყვავებას, ქართველი ერის ბედნიერებას და მაშინ ჩვენც ბედნიერები ვიქნებით! ძმებო! — მიმართა მან ხალხს, — ხელჩართული უნდა წავიდეთ ქართველ ერთან ერთად სამშობლო საქართველოს ასაყვავებლად და სწორედ ამით უნდა გადავიხადოთ ვალი.

სასულიერო მმართველობის თავმჯდომარე

**მოშე შიმშილაშვილი.**

ვიმედოვნებთ, ზემოთქმული კომენტარს არ საჭიროებს

**დავით ბუზუკაშვილი**



იერუსალიმი. ჯვრის მონასტერი. ადგილი საკურთხეველში, სადაც ინახება ძვირფასი ქართული ჯვარი.

ფოტო გ. მელქაძისა.



# სტუმრები

## ბერძენი მიტროპოლიტები საქართველოში

9-დან 15 ივლისამდე საქართველოში არაოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენელნი — მიტროპოლიტები: დიონისე და პანტელეიმონი. სტუმრებმა ქართველ სასულიერო პირებთან ერთად მოილოცეს თბილისისა და მცხეთის სიწმიდენი და ღირსშესანიშნავი ადგილები. განსაკუთრებული დაინტერესება გამოიჩინეს თბილისში ახლად გახსნილი ისტორიული ტაძრების — მეტეხისა და ანჩისხატისადმი. მათ მაღალი შეფასება მისცეს იმ სასიკეთო პროცესს, რომელიც მიმდინარეობს საქართველოსა და მთელს საბჭოთა კავშირში. ისინი ასევე დიდი სიხარულით შეხვდნენ პრესაში გამოქვეყნებულ ცნობას იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით, საქართველოს ეკლესიას გადაეცა შიომღვიმის, მარტყოფისა და გელათის მონასტრები. მოინახულეს შიომღვიმის მონასტერი, გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი.

მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში სტუმრებმა მიიღეს მონაწილეობა ღვთისმსახურებაში, რომლის დასასრულსაც მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სახელით მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ, წილკნელ-ურბნელმა ეპისკოპოსმა ზოსიმემ სტუმრებს მიმართა მისასალმებელი სიტყვით. საპასუხო სიტყვაში მაღალყოვლადუსამღვდელოესმა დიონისემ მოიხადა უღრმესი მადლობა გულთბილი მიღებისა და მასპინძლობისათვის. მან აღნიშნა, რომ ბერძნებს საქართველო უყვართ განსაკუთრებული სიყვარულით, რომ საქართველოში თავს ისე გრძნობენ, როგორც სამშობლოში. ქრისტე მაცხოვრის რწმენამ დიდად დააახლოვა ქართველი და ბერძნი ხალხები წარსულში და ამ რწმენამ კვლავაც უნდა დააკავშიროს ისინი მომავალში. დასასრულს, მან დალოცა ქართველი ხალხი და უსურვა გამარჯვებანი.

სტუმრებმა მოინახულეს დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო-მოღვაწის, წმიდა ილია მართლის სახლ-მუზეუმი საგურამოში და ღირსი იოანე ზედაზნელის მონასტერი მცხეთაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ოქროს ფონდმა აღტაცებაში მოიყვანა ისინი. საქართველოზე, ქართველ ხალხზე და მის კულტურაზე ადრეც ბევრი გვქონდა გაგონილი, მაგრამ თვალით ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბაო, ბრძანებდა მიტროპოლიტი პანტელეიმონი.

* * *

**17—31 მაისს საქართველოს საპატრიარქოს სტუმრები იყვნენ ჟურნალისტები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ქალბატონი ილმა რაიზნერი და ბატონი ჰანს ვერნერი. მათ განზრახული აქვთ საქართველოსა და ქართული ეკლესიის, ქართული ხელოვნების ისტორიის ამსახველი ფოტო-ალბომის გამოცემა, და ამ მიზნით იმოგზაურეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.**

**18 მაისს ისინი მიიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, მიღებას ქართული ეკლესიის მხრიდან ესწრებოდნენ: საპატრიარქოს საგარეო განყოფილების მდივანი ბორის გაგუა და კათოლიკოს-პატრიარქის რეფერენტი ვლადიმერ საბიაშვილი. მათთან ერთად ბრძანდებოდნენ რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში, ბატონი ანზორ წიკლაური და ქართული მეცნიერების წარმომადგენლები.**

**მკითხველს ვთავაზობთ კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სა და სტუმრებს შორის გამართული საუბრის მოკლე ჩანაწერს:**

**კათოლიკოს-პატრიარქი ილია II** — ქალბატონო ილმა, მადლობას მოგახსენებთ ჩამობრძანებისათვის. საქმე, რომელიც თქვენ წამოიწყეთ, ჩვენთვის დიდად საინტერესოა. მე ვთხოვე მეცნიერებს, მობრძანებულიყვნენ აქ, ესაუბრათ თქვენთან, მოეცათ შენიშვნა — რეკომენდაციები, რომლებიც ვფიქრობთ აუცილებელია. მე გავეცანი თქვენს მიერ გამოგზავნილ სტატია — წინასიტყვაობას და მინდა გითხრათ, რომ ძირითადად მისაღებია. თუმცა, არის შესასწორებელი ადგილებიც. იგი შედგენილია საზღვარგარეთ არსებული ლიტერატურის მიხედვით, ჩვენთან შეგიძლიათ გაეცნოთ ქართულ წყაროებსაც. ასე რომ, უფრო მეტად შეიძლება გამდიდრდეს.

**ქ-ი ილმა რაიზნერი** — ეს არ არის წინასიტყვაობა — შესავალი. ეს მე ადრე დავწერე. უბრალოდ გამოგიგზავნეთ, რადგან მაინტერესებდა სწორია, თუ არა.

**კათოლიკოს-პატრიარქი ილია II** — შესავალია თუ არა, ძირითადად სწორია. თუმცა შესწორებასაც საჭიროებს. მაგალითად, არაფერია ნათქვამი მოციქულების ქადაგებაზე; თქვენი სტატიის გამოყენებით ჩვენ გავაკეთებთ აქ ტექსტს და კარგი გამოვა. აქ არ არის არაფერი ნათქვამი ჩვენს სასულიერო მწერლობაზე.

**ქ-ი ილმა რაიზნერი** — „წიგნში, რომელიც გამოვა, ამის შესახებ იქნება ერთი თავი.

**კათოლიკოს-პატრიარქი ილია II** — დასამუშავებელია ქართული საეკლესიო კულტურა, ხელოვნება, კიდევ ერთი შენიშვნა; ნათქვამია, რომ ქართული ეკლესია სომხურ ეკლესიასთან ერთად ვითარდებოდა და იყო მომენტები, როცა ქართული ეკლესია მონოფიზიტობისაკენ იხრებოდაო. აგრეთვე, პირველი კათოლიკოსი მონოფიზიტი იყო. ეს არაა სწორი. გასასწორებელია.

**ქ-ი ილმა რაიზნერი** — ჩვენ ვისარგებლეთ იქ არსებული ლიტერატურით.

**კათოლიკოს-პატრიარქი ილია II** — ალბათ, სომხური ლიტერატურით ისარგებლეთ. არის ტენდენცია, ქართული ეკლესია წარმოადგინონ სომხური ეკლესიის ნაწილად. ეს ვერსია, კრიტიკას ვერ უძლებს. სინამდვილეში ქართული ეკლესია იყო ანტიოქიის ეკლესიის ნაწილი, რომლისგანაც V ს. ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო. არის კიდევ ვერსია, თითქოს ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია V საუკუნეში კი არ მიიღო, არამედ XI საუკუნეში. ესეც არაა სწორი. ოფიციალურად ჩვენი მეცნიერება ამბობს, რომ ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია V საუკუნეში მიიღო. არის ბერძენი კანონისტის ბალსამონის ცნობა, რომლის თანახმადაც ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო ანტიოქიის პატრიარქ პეტრეს დროს. ანტიოქიის საპატრიარქოს რამდენიმე პეტრე ჰყავდა. მეცნიერები მსჯელობენ თუ, რომელ პეტრეზეა აქ ლაპარაკი, რადგან ასეთი სახელით ანტიოქიის კათედრაზე V საუკუნეშიც და XI საუკუნეშიც იყო პატრიარქი სახელად პეტრე. ამ საკითხის ირგვლივ ღრმა საუბრები გვქონდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წარმომადგენლებთან, რომელთაც მრავალი ისტორიული საბუთი წარვუდგინეთ. თვითონ რომის ეკლესიის ვერსია ასეთია: ისინი თვლიან, რომ ქარული ეკლესია V საუკუნიდან ავტოკეფალურია. ასე რომ, ბევრი რამ არის ისეთი, რისი დამატებაც შეიძლება და გამოვა მეტად საინტერესო ტექსტი. კიდევ ერთი, თქვენს ტექსტში ძალზედ ბევრია ნათქვამი ჩემზე. ესეც არაა საჭირო. ახლა მსურს მოვისმინო, თუ რისი გაკეთება გსურთ? აგრეთვე, რა გსურთ გადაიღოთ? ჩვენი ძეგლების უმრავლესობის სლაიდები არსებობს და შეიძლება ეს გამოიყენოთ.

**ბ-ი ვახტანგ ბერიძე** — ძეგლთა დაცვის სამმართველო პატრონობს ამას. იქ შეუძლიათ კარგი ხარისხის ფოტოების გაკეთება. ახლახან გამოსცეს საქართველოს საგანძური და ბრწყინვალეა. თუ მათ ეს მასალა ექნებათ, ხარისხი გარანტირებულია. კარგი იქნება, თუ შევახვედრებთ მათ.

**კათოლიკოს-პატრიარქი ილია II** — თვითონ თქვენ რა სურვილი გაქვთ, ქალბატონო ილმა?

**ქ-ი ილმა რაიზნერი** — მაქვს სამი პროექტი! 1. დავწერო წიგნი საქართველოს შესახებ, სადაც იქნება როგორც ერის, ისე ეკლესიის ისტორია. მსურს დავწერო თქვენი კულტურის, ხელოვნების შესახებ. მინდა შევიტანო ეკლესიის დღევანდელი ცხოვრებაც.

**ბ-ი ვ. ბერიძე** — ამ საკითხებთან დაკავშირებით გამოვიდა პროფ. სალიას წიგნი. აგრეთვე ჩემი და პროფ. ბაუერის წიგნები.

**ქ-ი ილმა რაიზნერი** — წიგნები გასაგებია, მაგრამ მსურს ვნახო ის, რის შესახებაც ვწერ. მანახეთ, რომ

**კათოლიკოს-პატრიარქი ილია II** — განახვებთ. თქვენ ბრძანებდით I პროექტის შესახებ.

**ქ-ი ილმა რაიზნერი** — დიახ, 2. მსურს მოკლე ინფორმაცია გავაკეთო საქართველოს ეკლესიის წმიდანებზე და არსებულ ეკლესია-მონასტრებზე და გამოვცე ბუკლეტის სახით, რომელიც ტურისტებს დაეხმარება. მოსკოვში საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარის, მიტროპოლიტ პიტირიმის დახმარებით, ასეთი ბუკლეტი რუსეთის ეკლესიის შესახებ უკვე გამოვეცით. ამიტომ მინდა ვნახო მოქმედი ეკლესია-მონასტრები და დავესწრო იქ ჩატარებულ წირვა-ლოცვებს. აგრეთვე გვსურს, მივიღოთ ძეგლების კატალოგები მუზეუმებიდან.

**ბ-ი ვახტანგ ბერიძე** — ყველაფერს მიიღებთ და ყოველმხრივ დაგეხმარებით:

**ქ-ი ილმა რაიზნერი** — აგრეთვე, ვამზადებ ფილმისთვის მასალებს.

**კათოლიკოს-პატრიარქი ილია II** — კარგი ურთიერთობა გვაქვს „ქართული ფილმის" დირექტორ რეზო ჩხეიძესთან. იქნებ შეხვდეთ მას.

**ქ-ი ილმა რაიზნერი** — სიამოვნებით.

**ბ-ი ვახტანგ ბერიძე** — ყოველივეს მეტად დიდი სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ. ამას მიტომ ვამბობ, რომ მწარე გამოცდილება გვაქვს. ჩვენს შესახებ საუკუნენახევრის განმავლობაში ბევრი ყალბი და ტენდენციური იბეჭდებოდა. ახლა არ უნდა განმეორდეს ეს. მე ყოველმხრივ დაგეხმარებით, მოგცემთ ძეგლების სიას და სხვა.

**ქ-ი ილმა რაიზნერი** — პირადად შევხვდეთ და ერთად დავამუშაოთ ზოგიერთი საკითხი, როგორც უკვე ვახსენე, III პროექტი არის, ის, რომ ორი წლის შემდეგ უნდა გამოვიდეს სატელევიზიო ფილმი საქართველოს შესახებ და მასალებს ვაგროვებ. ეს იქნება ერთადერთი ფილმი საქართველოს შესახებ და მას იყიდის მთელი ქვეყანა. ამით ჩვენ მსოფლიოს გავაცნობთ საქართველოს.

**კათოლიკოს-პატრიარქი ილია II** — ჩვენ გვაქვს ფილმები საქართველოს, მისი ეკლესიის შესახებ. თუ გსურთ, გაჩვენებთ.

**ქ-ი ილმა რაიზნერი** — ჩვენ ეს ვიცით, მაგრამ გვინდა ჩვენი ფილმი გავაკეთოთ.

**ბ-ი თ. სანიკიძე** — მომავალ წელს უნდა ჩატარდეს VI საერთაშორისო სიმპოზიუმი ქართული ხელოვნების შესახებ, იქნებ გსურთ ჩამოსვლა?

**ქ-ი ილმა რაიზნერი** — იმ დროსათვის ჩემი წიგნი გამოვა.

**ბ-ი ვ. ბერიძე** — კიდევ ერთი. იქნებ უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილებას მიმართოთ, რადგან მათ აქვთ ისეთი ლიტერატურა, რომელიც თქვენ გამოგადგებათ.

**ქ-ი ილმა რაიზნერი** — დიახ. სიამოვნებით.

**კათოლიკოს-პატრიარქი ილია II** — მინდა დაგლოცოთ. მიხარია, რომ ასეთ დიდ საქმეს მოჰკიდეთ ხელი, ეს სასარგებლო იქნება, როგორც თქვენთვის, ისევე ჩვენთვის. წარმატებებს გისურვებთ.

**ქ-ი ილმა რაიზნერი** — გმადლობთ კეთილი სიტყვებისა და მეგობრული მიღებისათვის. ოთხი წლის წინათ პირველად ვიყავი საქართველოში და ჩემი გული აქ დავტოვე. დიდი სურვილი მაქვს, ხშირად ჩამოვიდე საქართველოში. მიხარია და ბედნიერი ვარ, რომ გავეცანი საქართველოს ერისა და ეკლესიის კულტურულ მონაპოვრებს. რა თქმა უნდა, ამ მიმართებით მეტი იციან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მაგრამ მე მსურს გავაცნო საქართველო ჩემს ხალხს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეებს, რათა ის სიყვარული, რომელიც მე მაქვს თქვენდამი, მათაც ჰქონდეთ. ჩემს თავზე ბევრი რამ ავიღე, მაგრამ მაინც ბოლომდე მივიყვან და ისე გავაკეთებ, თქვენ რომ კმაყოფილი დარჩეთ.

**ბ-ი თ. სანიკიძე** — სექტემბერში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩატარდება ფესტივალი, სადაც ქართული კულტურაც იქნება წარმოდგენილი.

**ქ-ი ილმა რაიზნერი** — თუ ამ დროს სამშობლოში ვიქნები, აუცილებლად დავესწრები. ჩემი მხრით, მე უკვე დავამყარე კონტაქტები გფრ-სა და საქართველოს შორის. დაძმობილებული ქალაქების საარბრუკენისა და თბილისის, ბიბერახის და თელავის ურთიერთკონტაქტები მეტად იმედის მომცემია. მჯერა, ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება.

**კათოლიკოს-პატრიარქი ილია II** — შეიძლება თქვენი წიგნი გამოვიდეს ქართულ, ან რუსულ ენაზე?

**ქ-ი ილმა რაიზნერი** — ეს გამომცემელზეა დამოკიდებული. მე შევუთანხმდები მას.



ባሕሪ ኮሎኔል ጃዉገር



# ინდოეთში

ჯგუფში ოცდათორმეტი კაცია. ეს პირველი ტურისტული ჯგუფია საქართველოდან, უცხოეთში საპატრიარქოს თანამშრომლებთან ერთად რომ მიემგზავრება... ერთი მონაზონიც გვახლავს... დედა ქეთევანი (თამარ ხატიაშვილი, ასაკით ყველაზე უმცროსი). სულ შვიდნი ვართ. მივდივართ ინდოეთში.

რა ვიცი ამ დიდი, უზარმაზარი, საოცრებებითა და უცნაურობებით სავსე, უძველესი ქვეყნის შესახებ... უამრავი რამ... ბევრიც და ცოტაც... უფრო ქაოტურად, საბოლოოდ მაინც, თითქმის არაფერი. ვათვალიერებ ძველ წიგნებს, ინდოელ მწერალთა ნაწარმოებებს, ძველ თუ ახალ მოგზაურთა შთაბეჭდილებებს, მაჰაბჰარატას, რიგვედას, თაგორის თარგმანებს, ინდურ საგალობლებს, ინდური რელიგიების ისტორიას, ინდოელ ბრძენთა გამონათქვამებს, სხვადასხვა დროს უზომო ინტერესით რომ მიკითხავს და ვცდილვარ მათ სიღრმეებსა და სილამაზეში ჩაწვდომას. და მაინც, ყველაზე მეტად ინდოეთი ჩემს ცნობიერებაში პირველად თაგორის წიგნებით მოვიდა. მისი წიგნებიდან ვხედავ ინდოეთს ახლაც... მის ვრცელ სანახებს, ხალხს, რომელსაც შეცნობილი აქვს ღვთიური მადლი, რომელიც ლოცულობს, ვისი სიმღერაც კვნესასთან ერთად ჰგავს ლოცვას. სხვადასხვა დროს ინდოელ ბრძენთა წიგნებიდან ამომიწერია ზოგი რამ. აი, რას წერენი ისინი:

„ადამიანში ორი ძირითადი ენერგიის საწყისია — დედამიწის სფეროს ცეცხლი და მზის ნათელი (ხორცი და სული). ორივე განუყოფლადაა შეკავშირებული. არსებობს მილიონობით ადამიანი, რომლებშიაც მძლავრადაა განვითარებული მიწის ცეცხლი, უმძლავრესადაც. მზის ნათელი კი ან სულ არ განვითარებულა, ან ძლივს ბჟუტავს. ასეთი ადამიანები, შესაძლოა, ბუნების დიდ ცოდნას ფლობდნენ, შეეძლოთ მათი წარმართვაც კი, მაგრამ მათში არ ანთია მზის ნათელი, ე. ი. არ გააჩნიათ სიყვარული და სიკეთე. ისინი ეგოიზმის სიბნელეში არიან. მათ ფლობენ მხოლოდ ვნებები და სურვილები, მხოლოდ ნების სიჯიუტე“.

„.. უზარმაზარი სიცოცხლის ძალაა სიტყვებში: „არა კაც ჰკლა“... ეს პასიურობა არაა, პირიქით, ნიშნავს. იყავი კეთილი, აკეთე სიკეთე“.

„... არაა საჭირო უკითხო ადამიანებს მორალი და

ბჰუბანეშვარი. კონარაკი

ჭკუა ასწავლო, საჭიროა თითონ იცხოვრო ისე, რომ ხხვებისთვის მაგალითი იყო“.

„... ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე მთავარი ბავშვებთან შეხვედრებია. მიაქციეთ მათ მეტი ყურადღება. ჩვენ არასოდეს არ ვიცით, ვის ვხვდებით მათი სახით.

ბავშვი ტირანი არაა, რომელიც მთელს თქვენს არსებას ეპატრონება. არც კერპია, რომლისთვის შენ მთელ სამყაროს დათმობ. ბავშვი, ეს ახალი კავშირია ქვეყნიერებასთან, მისდამი სიყვარულთან. მშობლები უნდა ზრდიდნენ არა „საკუთარს“, მხოლოდ თავისს, არამედ სულს, რომელიც მათ საპატრონოდ მიეცათ.

ბავშვები მარტო ცხოვრების ყვავილები კი არ არიან, არამედ ისინი, ასევე, თქვენი საჩუქრებია ქვეყნისათვის. მათი საშუალებით თქვენ ან ჭშველით კაცობრიობას ამაღლებაში, ან ინერტიულ მასად რჩებით, იმ მასად, რომლისგანაც ისე, როგორც ჩამპალი ტყიდან, მხოლოდ ათასი წლის შემდეგ ჩნდება ნახშირი და ალმასი“.

„... არ არსებობს ნაცრისფერი დღე. არსებობს გაბრწყინვებული კოშკი, რომელსაც აგებს თვით ადამიანი თავისი შრომით. იგი შორეულ ცაში კი არ უნდა გაფრინდეს, რათა იქ სილამაზე შეიგრძნოს და მიწის ჭუჭყისგან დაისვენოს, არამედ, აქ, ამ ჭუჭყიან, ოფლიან და ხევდიან მიწაში უნდა ჩასტოვოს თავისი სიკეთის წვეთი. ადამიანის ამქვეყნიური სიცოცხლე სამყაროს ის ნაფლეთია, რომელიც მან შესძლო მიეღო თავისთავში, შემოქმედებითად გადაემუშავებია, ტანჯვით გაეწმინდა და ისევ სამყაროსთვის დაებრუნებია, რათა მიხმარებოდა მას წინ სწრაფვაში“.

„... არ მოხდება ადამიანის აღსვლები ზევით, თუ მისი გული დუმს, თუ იგი მეორე არსებაში არ ხედავს იმავე ცას, რომელიც თავისთვის აღმოაჩინა“.

„... ყველაფერი, რაც გვეძახის ზევით, გვასწავლის“.

ეს ინდოელი მაჰათმების, გურუებისა და ბრაჰმანების გამონათქვამებია...

ძალზე ცოტას თუ შეუბედავს ოდესმე ინდოელ ბრძენთათვის თვალის გასწორება და შეპაექრება. მით უფრო გვხიბლავს მემატიანის ცნობა ვახტანგ გორგასალზე, რომელიც ღირსეულად მჯდარა მათ შორის და პაექრობაში გამარჯვებული გამოსულა.

ქართველებს საერთოდ შორეული საუკუნეებიდანვე მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ინდოეთთან. უცხოელ მოგზაურთა ცნობითაც, ისინი აღმოსავლეთისა და განსაკუთრებით ინდოეთის მცოდნეებად ითვლებოდნენ... გვიან შუა საუკუნეებში კი იქ ქართული სოფლებიც არსებულა.

ფრანგი მეცნიერისა და მოგზაურის ბერნიეს წიგნში „უკანასკნელ პოლიტიკურ გადატრიალებათა ისტორია დიდი მოგოლის სამეფოში“ (მოსკოვი-ლენინგრადი, სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკური გამომცემლობა, 1936 წ.), მოთხრობილია სამი ქართველის შესახებ, რომელთაც მეთხუთმეტე საუკუნის მიწურულში ინდოეთის ერთ დიდ ნაწილში სამი სამეფო შექმნეს. ამ სამეფოებმა თითქმის ორას წელიწადს იარსებეს.
(ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებს ჩვენ ცალკე წერილს ვუძღვნით. იხ. გვ. 71).

მღელვარებით მოველით უცხო, საოცარ სამყაროსთან შეხვედრას... და აი, ექვსნახევარი საათის ფრენის შემდეგ საჰაერო ხომალდი დელის უზარმაზარ აეროდრომზე ეშვება.

ყოველ ჩამოსულ სტუმარს ინდოელები ყვავილთა წნულებით ხვდებიან... ყვავილთა წნულებით და ღიმილით. მთელს ინდოეთში მეფობს ეს ტრადიცია. ჩვენც მშვენიერი ყვითელი ყვავილწნულები გვიძღვნეს და დილის ოთხ საათზე, გარეთ რომ წარმოუდგენელი სიცხე



ბპუბანეშვარი. ტაძრები

შემოგვეჯახა, ავტობუსით სასტუმროსაკენ გავემგზავრეთ. ქუჩებში პირდაპირ მიწაზე ეყარნენ თითქმის მთლიანად შიშველი ადამიანები და ეძინათ. უკვე ნათდებოდა. სასტუმრო „აშოკის“ ფანჯრიდან ვხედავდით, მაღლა, შენობათა ბანებზეც რომ ეძინათ სიცხისაგან დაოსებულებს...

საიდანღაც ორი ფარშევანგი გაჩნდა. იქვე, დარაჯებივით უძრავად იდგნენ მტრედები, თუთიყუშები, ქამელეონები, ჯგუფად თავშეყრილი მაიმუნები... საოცარი ჭუჭყის შეგრძნება... არ გვეძინება. უკვე მთლიანად განათდა. მოჩანს უზარმაზარ სივრცეში გაშლილი დიდი ქალაქი, რომლის ნახვაზეც ამაოდ ვოცნებობდით. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე შენობა და ძირითადად, ღარიბული უბნები გვიჩვენეს. საბჭოთა ტურისტებს იქეთ არ უშვებენო, გვითხრეს; თუმცა ეს არ იყო სწორი. როგორც ჩანს, ჩვენი მარშრუტი იყო ასეთი.

გავდივართ გარედ. სასტუმროს სიგრილის შემდეგ ვერც კი წარმოგვიდგენია ის საშინელი ბუღი, უეცრად, პირველი წუთიდანვე რომ დაგვეჯახა... გვიჭირს სუნთქვა. მზე თითქმის არ ჩანს. ცაც დაბლაა ჩამოსული. ქრის ცხელი, სუსტი ქარი. სასტუმროსთან და საერთოდაც ყველგან, ქუჩებში მაღალი, ლამაზი პალმები დგას. ხალხიც მაღალია, თავაზიანი, სალმიანი.

გვიჩვენეს ინდოეთის სამდივნოსა და პარლამენტის, მსოფლიოში ყველაზე დიდი, მრგვალი შენობა (ასე გვითხრა გიდმა) — რაჯიბ განდის სასახლე. გვიჩვენეს მხოლოდ შორიდან. დავათვალიერეთ 1938 წელს ვიშნუს სახელზე აშენებული უზარმაზარი ტაძარი, ღმერთების ქანდაკებებით სავსე... მოვუსმინეთ ლოცვას.. დიდებულია, მაგრამ სიძველის იერი აკლია და უკმარისობის გრძნობას ტოვებს. მოხატულია სვასტიკებით. საერთოდ, სვასტიკა ძალიან ხშირი სამკაულია აქაური ტაძრებისა და ნაგებობებისა. ზოგის თვალსაზრისით იგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეთხუთმეტე საუკუნეში შემოუტანიათ არიელებს. ამ სახელს თავისთავს უწოდებდა ხალხი, რომელიც ირანიდან შემოსულა და ინდუიზმის დიდი რელიგია შეუქმნია, რომელიც არის „რიგვედას“ ავტორი. ამ ხალხს, რომელთა შორის მთავარნი ბჰარატები იყვნენ, უკვე ადრევე ჰქონდა სრულყოფილი რელიგიური ჰიმნები. ეს ჰიმნები წერილობითი სახით არ იქმნებოდა, მაგრამ მუდამ ისეთი მკაცრი სიზუსტით სრულდებოდა, რომ წმიდად და უცვლელად მოაღწიეს ჩვენამდე. სწორედ ესაა „რიგვედა“. ინდუიზმის მრავალრიცხოვან წმიდა ტექსტებს შორის იგი ყველაზე წმიდად ითვლება. მას ახლაც ასრულებენ ქორწილებსა და გასვენებებში, და ცხადია, ბრაჰმანთა ყოველდღიური მსახურების დროს.

როგორც ანთროპოლოგიურმა და არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადყო, არიელების მოსვლამდე ინდოეთში უკვე არსებობდა დიდი ცივილიზაცია, კულტურა, რომლითაც დავალებულია მთელი მსოფლიო. განსაკუთრებით მაღალი იყო მიწათმოქმედების კულტურა. მიწათმოქმედების განვითარებით იგი ყველაზე მაღლა იდგა. განსაკუთრებით მარცვლეულის მოყვანისა და გამოყენების მხრივ.

... შთამბეჭდავი იყო მაჰათმა განდის საფლავის ნახვა... დიდი სივრცე ქალაქის განაპირას... უზარმაზარი მოედანი, რომელსაც რამდენიმე ჩასასვლელი კარი აქვს. დიდხანს დავყურებდი შავ მარმარილოს... განდი 1948 წელს მოჰკლა ინგლისელების რომელიღაც სექტის წევრმა, ფანატიკოსმა გოთსმა. იმ ჩანებში დიდი ბრძოლები იყო ინდოელ და მუსლიმან



ვატრა პური. ბაზრის ქუჩა

მოსახლეობას შორის. განდი გამოდიოდა ინდოეთში მცხოვრები ხალხების მეგობრობის იდეით. ქადაგებდა მათ შორის ძმობას, შერიგდითო, მოუწოდებდა. განდის ცხედარი, ტრადიციისამებრ, დაწვეს კოცონზე. იგი მთელ ქალაქში ჩამოატარეს... მაჰათმა განდი თითქმის ღმერთადაა აღიარებული. განდის მოძღვრება უმთავრესად გამოიხატებოდა ინგლისელებთან ურთიერთობაზე უარის თქმაში (აქტიური დუმილი). არ ითანამშრომლოთ ინგლისელებთან, არ იყიდოთ ინგლისური საქონელი, ჩაიცვით მხოლოდ ეროვნულიო — მოუწოდებდა იგი ხალხს. საერთოდ წინააღმდეგი იყო სისხლის ღვრისა. ინდოელები გვიამბობენ, განდმა მხოლოდ ლოცვით შეძლო, რომ უაღრესი ურთიერთდაძაბულობის პერიოდში ინგლისელები უსისხლოდ წავიდნენ ინდოეთიდანო... ამასვე გვამცნობს მისი ცხოვრების წიგნიც...

ინდოეთის ყველა რელიგიებისგან განსხვავებით, სიკჰიზმი, რომლის წარმომადგენელიც მაჰათმა განდი იყო, მებრძოლი რელიგიაა. „ამ რელიგიის ღმერთს ხელში ხმალიც უჭირავს, თუმცა, ეს რელიგიაც არსებითად, როგორც ინდოეთის ყველა რელიგია, წინააღმდეგობის გაუწევლობას ქადაგებს. განდიზმის შემართებაც, მისი მებრძოლი სულიც ინგლისელებთან ყოველგვარ ურთიერთობაზე უარის თქმაში გამოიხატება“.

მაჰათმა განდის საფლავიდან ცოტათი მოშორებით, გვაჩვენეს ინდირა განდის კრემაციის ადგილიც... შავი სვეტია აღმართული... ჯერ დამთავრებული არაა... ანახეთ ინდირა განდის მუზეუმიც. დაბალი, არცთუ მდიდრული შენობა... ეზოში ყვავილნარია. ტაძარში შესვლას ჰგავს მის უბრალო ოთახებში შესვლა.

ამბობენ, მაჰათმა განდი მუდამ უბრალოდ იცვამდა და მას რიგითი ხალხისგან თითქმის ვერ გაარჩევდიო... ამ დიდი სიღარიბის გამო, რაც ინდოეთში სუფევდა, მათი დიდი სულიერი მოძღვარი, თავს სხვაზე უკეთ ცხოვრების ნებას არ აძლევდაო... მისი მიმდევარი იყო ინდირა განდიც... ოთახები სავსეა ხალხით; არა მხოლოდ ტურისტებით... ინდოელებითაც. კრძალვით შეჰყურებენ სურათებს... ღიმილს, რომელიც ამ სურათებიდან გადმოდის. დღემუდამ განუწყვეტლივ ყარაული დგას მკვლელობის ადგილას... როგორც დიდ სიწმიდეს, იხე პატრონობენ მიწის იმ ნაწილს, სადაც მისი სისხლი დაიღვარა... ამბობენ, მკვლელებმა მოულოდნელად მოკლეს, როცა თავის რეზიდენციაში შედიოდაო... ისე მოდიან ამ ადგილთან, როგორც სალოცავთან... მოდიან ფეხით, რწმენით, სიყვარულით... რწმენითა და სიყვარულით სავსეა ქვეყანა, სავსეა უშუალობით, პირველყოფილი უშუალობით, თავაზით... და გჯერა, სიცოცხლე მათია.. .კაცობრიობის იმედიც თითქოს აქაა.

ძველი დელის გვირგვინია „წითელი ფორტი“ — მოგოლების ყველაზე მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე. მეჩვიულში (სახელს დააკვირდით, ქართული გეგონებათ), მთელს აზიაში უმაღლესად ითვლება მისი გამარჯვების კოშკი. თითქმის 80 მეტრს აღემატება. ამ ფორტის დაცვით საბოლოოდ დაეცა ინდოეთის სამეფო. საბოლოოდ, 200 წლით დაესვა წერტილი ინდოეთის დამოუკიდებლობას. ორასი წლის შემდეგ, ინდოეთის გათავისუფლების დღეს, ეროვნული დროშა ამ ციტადელზე, „წითელ ფორტზე“ აფრიალდა. ეს ფორტი ინდოეთის დამოუკიდებლობისა და თვითმყოფობის სიმბოლოა. დიდი მოგოლების მეფობის მთელ მანძილზე „წითელი ფორტი“ არავის შემოუნგრევია. მხოლოდ უკანასკნელ დროს აუღია იგი ნადირშაჰს და აქედან „ფარშევანგის ტახტი“ წაუღია. ირანის დიდ მბრძანებელთან ერთად აქ პატარა კახიც ყოფილა. უზომოდ შთამბეჭდავია ამ ციხე-სიმაგრისათვის თუნდაც თვალის უბრალოდ შევლება. მის კედელზე ასეთი წარწერაა: „არსებობს სამოთხე, — იგი აქ არის, აქ არის, აქ არის“. იქვეა უზარმაზარი მინარეთი... ქუთბ-მინარი. გრანდიოზული სანახაობაა. გვაოცებს თავისი არქიტექტურით, სასახლეთა და სალოცავთა, უნივერსიტეტისა და აკადემიის ნანგრევებით, აშოკის ბრინჯაოს სვეტით... ქუთბ-მინართან უამრავი რომანტიკული ისტორიაა დაკავშირებული. ესაა შუა საუკუნეების მბრძანებლის სახსოვარი, ალაჰის სადიდებლად ზედ გამოჭრილი არაბული ასოებით.

მის ახლოს რკინის უძველესი, 7 მეტრიანი კოლონაა; შავი, თითქმის ყოველგვარი მორთულობის გარეშე. გამოიცქირება უბრალოდ, მაგრამ სწორედ ამ უბრალოებაშია გამოსახული ადამიანის გენია, სიდიადე. არსებობს რწმენა, თითქოს ის, ვინც სვეტს ზურგით მიეყრდნობა და ხელებს ისე შემოაჭდობს, რომ თითებს შეაერთებს, ყველა ნატვრა აუსრულდებაო. უამრავი ადამიანი ცდის ბედს, მაგრამ თითქმის ამაოდ.

მეტალურგებისთვის დღემდე იდუმალებითაა მოცული ამ ნაგებობის ტექნოლოგია. იგი 1500 წლის წინათაა შექმნილი ლითონის მონოლითისაგან, ასეთი რამის შექმნა შეეძლო ხალხს, რომელიც უხსოვარი დროიდან ფლობდა ლითონის წარმოების ტექნიკას, ჰყავდა ბრწყინვალე ოსტატები... მცირედი ჟანგიც კი არ მიჰკარებია მას, ასე გამოიარა დაუნდობელი საუკუნეები.

ამის მერე აღარ გვაკვირვებდა ის ტაძრები და სასახლეები, რომლებიც ვნახეთ. ესაა ინდოეთის რწმენის, სიცოცხლის, ძალის სიმბოლო...

მაგრამ რისთვის ჭირდებათ სიმბოლოები ადამიანებს? საუკუნეების წინ აგებულ კოშკთან, სასახლესთან, ტაძართან რისთვის მიდიან ასეთი კრძალვით... იმიტომ, რომ ეს და სწორედ ეს მათი უკვდავი სულის ძახილია... იგი მომავლის სხივიცაა.

ასეთი იყო პირველი დღე ცხელ ინდოეთის დედაქალაქში... კიდევ გველოდა დიდი საოცრება — ტიბეტ-ბაზარი! — სიზმრად ნახული ფერადოვნება, ქაოსი... და ამ ქაოსში, რაღაც საოცარი მიმზიდველობის სურათი, რომელიც პირველად გაკრთობს, შემდეგ კი გიზიდავს, ცნობისმოყვარეობითა და ინტერესით გავსებს. ყველა ვაჭრობს, დგასდევენ...

... დილის 6 საათია. უკვე გზაში ვართ. წარმოუდგენლად ცხელა... დიდი, კომფორტაბელური ავტობუსი ერცელ უდაბნოში მიჰქრის. ფანჯრიდან მოჩანს ჩრდილს დანატრებული ველები, მცენარეული საფარი თითქმის აღარაა. საოცარია, მაგრამ ადამიანებს ზედ მზის გულზე გაუშლიათ თავიანთი მწირი ქონება და იქვე წვანან. ზოგი რაღაცას ფუსფუსებს. თითო ოჯახს საშუალოდ ხუთი შვილი მაინც ჰყავსო გვეუბნებიან.

ჩვენი გოგონები მღერიან ანა კალანდაძის ლექსს...

„საქართველოო ლამაზო...“ რატომღაც ცრემლი მერევა. ქვეყნის თვალად გაჩენილა ჩვენი სამშობლო... ნეტა ყველამ იცოდეს ეს. აქ ხალხი მცირე ლუკმისთვის ებრძვის მიწას, წვალობს. მიდის საიდან სად და დგას ხელგაწვდილი, იქნებ უცხოდ გამვლელმა მცირედი რამ მიწილადოსო. და მაინც, მაინც... ინდოეთი უსათუოდ უნდა ნახოს კაცმა. უნდა შეიგრძნოს თუნდაც ასე ეპიზოდურად.

ო, როგორ ცხელა... ფანჯრიდან, თუნდაც ერთი წამითაც რომ გაჰყო ხელი, გგონია დაიწვები. გვეუბნებიან, ტემპერატურა 50 გრადუსზე მეტიაო... ალბათ გვამშვიდებენ, არ ვუჯერით არც ერთ მაჩვენებელს... 70 გრადუსი მაინცაა. ჰაერი აღარაა. მაინც რა ცუდ დროს მოგვიხდა აქ წამოსვლა. ყველაზე დიდი სიცხის პერიოდი ახლა ყოფილა. ამის შემდეგ კი მუსონური წვიმები დაიწყება. წვიმებს ისევ ეს სიცხე გერჩიენოთო, გვეუბნებიან. მზე სულ არ ჩანს, თუ გამოჩნდება, თეთრად. მთვარეც თეთრია... ხარები, ძროხები თეთრი, კუზიანი... ჩაჰყურებენ მიწას და ამ გამოფიტულ და დამსკდარ ბელტებში რაღაცას წიწკნიან.

შემდეგ პეიზაჟი ოდნავ ცოცხლდება. აქა-იქ მოჩანს ისლის მსგავსი მცენარეულობით გადახურული საცოდავი ქოხმახები. უცნაურად ლამაზი, ჭრელი თხები. გზადაგზა, ხის მცირე ჩრდილში ადამიანები რაღაცას ჩიჩქნიან... თესენ? ეძებენ? დადიან თავზე შედგმული კალათებით, თასებით... აქლემები სისხლდაშრეტილნი, უფერულნი. უდაბნოა სულ...

რერიხი მახსენდება... მისი ლურჯი მთები და ცეცხლისფერი ღრუბლები, ოდესღაც თბილისში გამოფენაზე ნახული, ვაჟას რომ მივამსგავსე... ახლა კი, თვით ჰიმალაის არსებობაც აღარ მახსოვს და მიკვირს, სად იპოვა მხატვარმა აქ ასეთი ფერები. ბოშათა ბანაკებივით შეჯგუფებულან ადამიანები. უმეტესად წრიულად სხედან. ვინ იცის, იქნებ, სწორედ აქედან წამოვიდნენ ბოშები?

ისე როგორც დელში, არც აქ ჩანს მზე, ჩაბურულია ჰაერი და ცაც დაბალია. აქედან შორსაა ამ ქვეყნის დიდი მდინარეები ინდი და განგი (ვეძებ ქართულთან მსგავსებებს: განგი — განგება), ამ მდინარეთა ნაპირას უძველესი, სასწაულებრივი ცივილიზაცია შექმნილა. მდინარისაგან მიიღო დასახელება ინდოეთმაც. ინდოელები მას უწოდებდნენ „სინდჰუს“, ირანელები კი, რომელთაც უჭირდათ მისი წარმოთქმა, „ჰინდუს“. ძველ ინდოელებს სხვა დასახელებაც ჰქონიათ. მაგალითად: „ჯამბუდვიეცა“. (ჯამბუს ხის მიწა), „ბჰარატავარშა“ (ბჰარატას შვილების სამშობლო). ბჰარატა ლეგენდარული მეფე იყო. ინდოეთში მუსულმანების შემოსვლის შემდეგ კი ძველი ირანული სახელწოდება აღდგა და ქვეყანას დაერქვა „ჰინდუსტანი“, ხოლო ის მაცხოვრებლები, რომლებიც მის მთავარ რელიგიას აღიარებდნენ, იწოდებოდნენ „ჰინდუსებად“.

ამ მდინარეთა ნაპირებზე წარმოქმნილი ცივილიზაცია ვრცელდებოდა ოკეანის ნაპირებამდე თუ არა, გუჯარეთამდე მაინც... ინდუსები ცხოვრობენ ბენგალიაშიც (ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ).

ვიღაცას უთქვამს, მელანქოლია ბუნებამაც იცისო. საოცარია... ამდენ სიღარიბესა და შიმშილში ინდოელების სახეზე ვერ შენიშნავთ აპათიას, მელანქოლია კი უყვართ. ამ მელანქოლიასა და პოეტურ ხასიათში ჩანს მათი უაღრესად ჰუმანური სული. ხომ ცნობილია, არცერთი ძველი ცივილიზაცია არ დაკმაყოფილებულა მონათა ისეთი მცირე რაოდენობით. როგორც ინდოეთი. არც ერთი ქვეყნის კანონმდებელს არ შეუქმნია ბრძოლის ისეთი კეთილშობილი და პატიოსანი კანონები ომის დროს, როგორც ეს გააკეთა მანუმ. ძველი ინდოეთის ისტორიამ თითქმის არც კი იცის ქალაქებისთვის ჩვეულებრივი — მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტის მაგალითები. ისინი თვით ტყვეებსაც მუდამ მოწყალედ ექცეოდნენ. ძველი ინდური ცივილიზაციის საერთო ხასიათის უმთავრესი ნიშანი იყო ჰუმანიზმი. ეს ჰუმანიზმი და ჰუმანისტური სული კარგად იგრძნობა მის რელიგიებსა და ხალხურ გადმოცემებში, მწერლობაში, ხელოვნებაში, ადამიანთა ხასიათებში.

... გამოჩნდა უნაგირა მთა... ზედ ძველი XIII საუკუნის ნაცრისფერი ციხე ვიწრო სათოფურებითა და კოშკურებით, კარგად შეკრული.

ისევ თეთრი, კუზიანი ძროხები და ხარები... შივა ხშირად თეთრია... გონებაში ტივტივებს დაუკავშირებელი ფიქრი იმაზე, რომ მაგალითად, სვანეთში იციან თეთრი ხარების ღვთისათვის შეწირვა... ვეკითხები გიდს, მაგრამ მან არაფერი იცის.

ვუახლოვდებით რაჯასტანის შტატს, ჯაიპურს... მატულობს მთები, იწყება სიმწვანე... მოჩანს პატარა შიშველი ბუჩქები... უკვე იგრძნობა სიცოცხლე. მთაზე ისევ ციხეა. გზებზე ადამიანის არა, მაგრამ მკვდარი ცხოველის ჩონჩხი ხშირად გვხვდება, უფრო აქლემის. ხეებზე სხედან სვავები. მათ მესაფლავეებს ეძახიან. მიცვალებული აქ თურმე, ზოგიერთ ტომში, ტყეში მიაქვთ, საღამოთი, დილით უკვე მისგან მხოლოდ ძვლებიღა რჩება. ასეთ ადგილებს „დუმილის კოშკებს“ ეძახიან.

შვიდი საათია გზაში ვართ... რამდენადაც მძიმეა ასეთ მგზავრობა, იმდენად საინტერესოცაა ქვეყანას ერთი თვალის გადავლებით, მაგრამ მაინც კარგად ხედავ. გამოჩნდნენ ეზოები. შევდივართ ჯაიპურში. ქალაქი დიდი და ვრცელი კედლითაა შემოზღუდული, მოჩანს მთაზე ნაშენი სასახლე. ხვალ იქ სპილოებით ავალთო, გვეუბნება გიდი..

ოდესღაც აქ სპილოებით მეფე და დედოფალი დასეირნობდა. სასახლის დაბლა ოდესღაც ტბა ყოფილა. ახლა ყვავილნარია... მსოფლიოს მერვე საოცრებას უწოდებენ ჯაიპურის სასახლეს...

ქაოსში თანდათან საოცარი სინატიფე იკვეთება... მაღალი კაკტუსებით, ულამაზესი ყვავილებით... ასევე უფოთლო, ბუჩქადქცეული, ულმაზესი, სავსებით უცხო, მოწითალო თუ მოვარდისფრო ყვავილებით შემკული აივნებიანი და რიკულებიანი სახლები.. რაღაცით ძალიან შენს რომ გახსენებს... ქალაქი მთლიანად კოშკებსა და სასახლეებშია ჩაძირული.

გზაზე გამოდიან თეთრი ძროხები. მათ კრძალვით უთმობენ გზას მცხოვრებლები. უმრავი ხალხი. ნამდვილი, ოცნებაში წარმოსახული ინდოეთი. დრო თითქოს

გაჩერებულა. ერთადაა შორეული საუკუნეები და მცირე დროზით, თანამედროვეობა.

ქუჩებში ველოსიპედის ურიკებით დაქრიან რიქშები. გზაზე ერთბაშად უამრავი რიქშა აგდევნებათ და სამსახურს გთავაზობთ. მანამ მოგდევენ, სანამ სადმე არ შეუხვევ.

ჩვენგან ნახულ ქალაქთა შორის ჯაიფური პირველი ქალაქია, რომელშიაც იგრძნობა გეგმა, ქუჩების განლაგების რღაცნაირი წესი, სიმეტრია. იგი 2000-ზე მეტი წლისაა. ქალაქს ოდესღაც 9 კარი ჰქონია. მაგიური რიცხვია ცხრა. დარჩა 7. ჯაიფური ვარდისფერ ქალაქს ნიშნავს. აქ ყველაფერს ვარდისფრად ღებავენ. საოცრად ეხამება ერთმანეთს ძველი და ახალი... საპნის ქაფივით მსუბუქი თვალით შემოგყურებენ სპილოს ძვლის ჩუქურთმებში ჩამჯდარი ძველი შენობები. პირდაპირ გზებზე გამოუფენიათ ყველაფერი... გაშლილია ბაზარი... უაღრესად ეგზოტიკურ შთაბეჭდილებას ქმნის მათი ხილვა.

მეორე დილით ადრევე გავუყევით გზას სასახლისაკენ... შეგვსხეს სპილოებზე და ნელი რწევით ავყევით აღმართს.

შევდივართ სასახლის თაღებში... შემდეგ ქარების დარბაზში... ქვემოთ კი, თავისი ეგზოტიკით, მოჩანს ვარდისფერი ქალაქი. აქაც, ისე როგორც ყველგან, დაგხვდნენ ხელგამოწვდილი მათხოვრები. შიშველი, ჩაუცმელი, მშიერი ბავშვები... ტკივილით გვავსებს მათი დანახვა... ვურიგებთ საჩუქრებს, მაგრამ რას აუთავდები.

... ისევ მივდივართ.. გზა აგრასაკენ მიემართება, ინდოეთის დიდ მოგოლთა ძველი დედაქალაქისაკენ. ისევ გადახრუკული ტრამალები, აქლემები, კობრები... ისეთი სიღარიბეა, ქოხები მიტოვებულს ჰგვანან, დაგლეჯილ-დაფლეთილები... გვხვდება მუსულმანთა უბნები... მაინცდამაინც შრომისმოყვარედ არ მეჩვენება ხალხი, ალბათ აუტანელი სიცხის და სიმწირის გამო... მცენარეულობა აქეთ მაინც, უფრო მეტია. მთაზე გაწოლილი ქვით ნაგები გზა ზიგზაგით საკმაოდ მაღლა მიდის. იქ ინდუისტური ტაძარია. ჩვენ ვერ ავალთ. დიდი დრო უნდა. შორიდან ძალზე მიმზიდველია. ციხეებიც, ისე როგორც ჩვენში, ხშირად მთებზეა. ისეა ყველაფერი აშლილი, არქეოლოგიური გათხრების ადგილი გგონია, ირგვლივ დიდი სიბინძურეა, მაგრამ ის, რაც რწმენის სიმბოლოა, მუდამ ძვირფასად და კოხტად ნაგებია, სუფთაა. სუფთაა მტრედების სახლიც... ჩანს, მტრედი აქაც წმიდა ფრინველად ითვლება.

აგრა სამოთხის ქალაქს ნიშნავს. აქ ედგათ ტახტი დიდ მოგოლებს, ბაბურისა და ჰუმაიუნის შთამომავლებს, — აქბარს, შაჰ-სელიმს, შაჰ-ჯაჰანს, აურენგზებს. აგრაში დგას ინდოეთის ერთი საოცრებათაგანი — თაჯ-მაჰალი — სასახლეთა გვირგვინი, სიყვარულის ლეგენდა. ესაა შაჰ-ჯაჰანის მიერ მეჩვიდმეტე საუკუნეში აგებული მავზოლეუმი, რომელიც თავისი უდროოდ გარდაცვლილი მეუღლისათვის აუშენებია. ეს, თოვლივით თეთრი მარმარილოსაგან ნაგები შენობა დგას ინდოეთის ერთ-ერთი დიდი მდინარის — ჯამნას ნაპირას, მის მარცხენა მხარეზე. სიზმრად ნახულს ჰგავს იგი.



აგრა. თაჯ მაჰალის მავზოლეუმი

უცნაური ბედი ხვდომია შაჰ-ჯაჰანს. მას ოთხი შვილი ჰყოლია. როცა დაბერდა, შვილებს ტახტისთვის ბრძოლა აუტეხიათ. აურენგზებს სამივე ძმა დაუხოცავს და ღრმად მოხუცი მამა აკბარის მიერ აგებულ უზარმაზარ აგრაფორტის საკანში ჩაუსვამს.

აურენგზებს ბოლოს, მამის სიკვდილის წინ, მისგან შენდობა უთხოვია. შემორჩენილია მისი წერილი. „როგორც თქვენ მოგეხსენებათ, როცა თემურმა ტყვედ ჩაიგდო ბაიაზეთი, ბრძანება გასცა, იმ დღესვე მიეყვანათ იგი მასთან და სახეზე რომ დააცქერდა, აუტყდა სიცილი, რაზედაც ბაიაზეთმა სევდიანად უთხრა. „ნუ დამცინი, თემურ, ნუ დასცინი ჩემს უბედურებას, იცოდე, რომ სამეფოებსა და იმპერიებს ანაწილებს ღმერთი და ხვალ შენც შეიძლება ისეთივე ბედში ჩავარდე, რა ბედშიც მე დღეს ვიმყოფებიო“. ამაზე თემურმა ღრმააზროვნად და ზრდილობიანად უპასუხა: „მე შენზე უკეთ ვიცი, ბაიაზეთ, რომ სამეფოებსა და იმპერიებს ღმერთი ანაწილებს. მე არ დავცინი შენს უბედურებას. ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ, როცა მე შენს სახეს ვაკვირდები, თავში მომდის აზრი, რომ ეს სამეფოები და იმპერიები, ალბათ ღვთისათვის და იქნებ თავისთავადაც არაფერსაც არ წარმოადგენდნენ, თორემ რატომ აძლევს ღმერთი მათ ისეთ უშნო აგებულების მქონე ადამიანებს, როგორიც მე და შენა ვართ. შენ — ცალთვალა .უბედურ ბრმას და მე საწყალ ხეიბარსო“.

მდინარის გაღმა ჩანს აქბარის ციხე-სიმაგრე, მრისხანე აგრა-ფორტი.

... მივდივართ ბენგალიისაკენ... მცირეოდენი იმედი ბეჟუტავს: იქნებ ოკეანესთან ასეთი სიცხე არ იყოსო, ვფიქრობთ... გზაზე აღარ გვხვდება უდაბნოები და მწირი ბუჩქები... მატულობს სიმწვანე: მაღალი, ტროპიკული ჯიშის ხეები, გაშლილა პალმები, კაკტუსები, ყვავილები, ათასნაირი, უამრავი ფრინველი... ეზოები ლამაზი ბანიანი სახლებით, პალმებით, ყვავილნარით... კი არ გვეჩვენება, ნამდვილად ჰგავს საქართველოს.

ოკეანის ცისფერ ნაპირთან პალმებისა და მანგოების ხეივნებში დგას წრიული, ლამაზი კოტეჯები. აქ დავსახლდით ჩვენ ხუთი დღით... სულ ტყუილად ველოდით სიგრილეს... ბევრად მეტი სიცხე და ნესტი შემოგვეხვია... მაგრამ მოვიდნენ ზანგების მშვენიერი, თავაზით სავსე ბავშვები... ალაგებენ... ვესაუბრებით, ძლივ-ძლივობით ვუგებთ ერთმანეთს. რა გქვია-მეთქი, ვკითხე ერთს...

— ბიჯოი.

— ძმას?

— ერთს ოჯოი, მეორეს სანჯოი.

ვიცინით... როგორ ქართულად ჟღერს... ბიჯოის გვარი ეპიტია... შემოგვეჩვივნენ ეს ბავშვები... სხვებიც, დიდებიც... აღარ გვტოვებენ. მოაქვთ მანგი, მარჯნის მძივი, ხან რა და ხან რა... ჩვენ როგორც ვახერხებთ, ვმასპინძლობთ... ეს ჩვენი ქალაქის ბაგრაკიაო, გვეუბნებიან. ქალაქი კი სულ ახლოსაო.

ახალი ხოცრებაა ამ ქალაქის ნახვა: ისევ ისეთივე და კიდევ უფრო ფართოდ გაშლილი ბაზარი: ისევ რიქშები, ისევ მათხოვრები. და, ტაძრები, — ტაძრები, ტაძრები...

ინდუსების ყველაზე დიდი ტაძარი, რომელშიც 6000 კაცი ეტევა, სწორედ აქაა. ესაა ვიშნუ-ჯანგანატაჰა. იგი XIII საუკუნეშია აშენებული. ამ ტაძარში სუფთა სისხლის ინდუსების გარდა შესვლის უფლება არავის არა აქვს. თვით ინდირა განდიც ვერ შედიოდა თურმე შიგ... მხოლოდ სიკვდილის შემდეგ შეუსვენებიათ მისი ფერფლი, ნიშნად დიდი თაყვანისცემისა. ჩვენ მხოლოდ გარედან ვნახეთ იგი, მეზობელი შენობის აივნიდან... უაღრესად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მთელი გარემო. 2500-ზე მეტი წლისაა თითონ ქალაქი. დიდად კოლორიტული და ალბათ, ყველაზე მეტად შთამბეჭდავი ყველა იმ სანახაობათა შორის, რაც ვნახეთ.

იქვე, მეორე ტაძარი მზის ღმერთის სახელზეა აგებული. მისი 200 ფუტის სიმაღლის კოშკი დიდი ხანია ჩაქცეულა, მაგრამ დარჩენილა უზარმაზარი საკრებულო დარბაზის ნანგრევები, რომელიც გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს.

... მივემგზავრებით ბჰუბანეშვარში. ბჰუბანეშვარი ღმერთ შივას სამოთხეს ნიშნავს. ქალაქი ტაძრებითაა სავსე, ტაძრებითა და სასახლეებით.

ქალაქის განაპირას შავად იცქირება შივას 17 მეტრიანი. ძვირფასად ნაგები უზარმაზარი ტაძარი — „შავი ამინდი“ — იგი გარედან მთლიანად ეროტიული სცენებითაა მოქანდაკებული, აქაც ძირითადად ინდუსები ცხოვრობენ.

შივა ქვეყნის შემოქმედი ღმერთია. მას რვა ხელში რვა სხვადასხვა იარაღი უჭირავს. შივა არის შემოქმედიც, მცველიც, დამანგრეველიც. დამანგრეველ შივას გვირგვინზე თავის ქალა ახატია, ყელზეც თავისქალები ჰკიდია, ხელში გველი-კობრა უჭირავს. მას გარს ეხვევიან მოჩვენებანი, დემონები. იგი განასახიერებს სიკვდილსა და დროს — ყოვლის მნგრეველსა და მომსპობს. შივა მცველს ხელში ლოტოსის ყვავილი უპყრია (ლოტოსი სიცოცხლის სიმბოლოა).

შივა ამავე დროს დიდი ასკეტია და ყველა ასკეტის მფარველი. იგი უდიდესი იოგია. ზის ვეფხვის ტყავზე, ჩაძირული მედიტაციებში და განაგებს ქვეყნის არსებობას. მისი გრძელი თმებიდან ჩამოდის სამი მდინარე: — განგა, ჯამნა და სარსვატი. შუბლზე მესამე თვალიც აქვს შივას. ეს უმაღლესი სიბრძნისა და ყოვლისმხედველობის სიმბოლოა. ყელი მისი შავია. მას სასიკვდილო საწამლავის კვალი აჩნია. ეს საწამლავი შივამ თითონ, სხვა ღმერთების გადასარჩენად დალია. შივა ცეკვის უფალიცაა.

საერთოდ, ღმერთების უზარმაზარი პანთეონია ინდოეთში. 3000-ზე მეტია მათი რიცხვი... ლეგენდებით, გადმოცემებითაა შემოსილი მათი სახელები... არც დრო, არც შესაძლებლობა გვყოფნის მათზე თუნდაც ეპიზოდურად საუბრისათვის. ინდოეთის ძირითად რელიგიებსაც კი ვერ ვეხებით.

ერთ მაგალითს კი ისევ მოვიყვან... ოღონდ ამჯერად ხალხური რელიგიიდან, რომელიც გიდმა ვიშნუს ტაძართან გვიამბო: ვიშნუ სამყაროს შემოქმედი და სიცოცხლის წყაროა.

ინდოელებს სწამთ, რომ ამ უთაბილო ქვეყნიერების დასახრულის ჟამს ვიშნუ ადამიანის სახით, თეთრ

ცხენზე ამხედრებული, ანთებული მახვილით ხელში გამოცხადდება და განსჯის ცოდვილებს, უცოდველებს კი შეიწყალებს და დაამკვიდრებს „ოქროს საუკუნეს“.

ვიდი გვიამბობს სხვა რელიგიებზეც, ერთმანეთის საწინააღმდეგო რწმენებზე... გვიამბობს ბუდას შესახებ, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეექვსე საუკუნეში ცხოვრობდა. მან შექმნა მონაზონთა საზოგადოება, რომელნიც ნარინჯისფერ სამოსელს ატარებდნენ. ისინი მას ეძახდნენ — „ბუდას“, რაც „განათებულს“ ნიშნავს. ბუდამ უდიდესი გავლენა მოახდინა არა მარტო ინდურ რელიგიებზე, არამედ, თითქმის მთელს აღმოსავლეთ ქვეყნებზე. ბუდას ცხოვრება საქართველოშიც უთარგმნიათ... და მას კარგად იცნობენ ჩვენში.

ბუდა ერთ იმ უდიდეს ადამიანთაგანია, ვინც ინდოეთში დაბადებულა... მას არა მხოლოდ კაცად, არამედ, უდიდესი სულიერი არსების მიწიერ განსახიერებად მიიჩნევენ.

ჰიმალაიზე, ერთ-ერთ სოფელში, ლეღვის ხის ძირას მიუღია ბუდას ნათელი... ამიტომაც წმიდა ხედ თვლიან ლეღვს... იმავე ჰიმალაის სოფლის განაპირას გარდაცვლილა იგი... და მისი ბოლო სიტყვები ყოფილა: „ყველაფერი, რაც ნაწილებისგან შესდგება, იმსხვრევა, დაუსრულებლივ იჩქარეთ, გათავისუფლდეთ..“.

„ადამიანი ,— ამბობდა ბუდა — შედგება ოთხი ელემენტისაგან. როცა ის კვდება, მიწა უბრუნდება მიწის სტიქიას, წყალი წყალს, ცეცხლი ცეცხლს, ჰაერი ჰაერს. მათ შორის კავშირი ირღვევა და სივრცეში ქრებაო“.

... კალკუტაში ვეღარ ჩავედით.. წვიმდა... მთელი დღის უაზრო ლოდინის შემდეგ აღთქმულ მიწასავით მხოლოდ შორიდან დაგვანახეს იგი და თვითმფრინავი ისევ ბჰუბანეშვარში დაბრუნდა... ვეღარ ვნახეთ თაგორის სახლი, ვეღარც კალკუტის ცნობილი ბოტანიკური და ზოოლოგიური ბაღები, ვერც ინგლისის დედოფლის ვიქტორიას ცნობილი სასახლე, რომელშიც ინდოეთის ეროვნული მუზეუმია მოთავსებული. და კიდევ ბევრი რამ, თუნდაც „ბანიანი ტყე“. ბჰუბანეშვარში დღენახევრის ლოდინის შემდეგ ჩვენი თვითმფრინავი ბომბეის აეროდრომზე დაფრინდა და ოციოდე წუთის შემდეგ დიდი სჰაერო ხომალდით მოსკოვში დავბრუნდით.

ვერ ვნახეთ ინდოეთის დიდი ქალაქები, მაგრამ ყველაზე მეტად მტკივნეული მაინც ის იყო, რომ ვერ ვნახეთ ქრისტიანული ეკლესიები... ჩვენი მარშრუტი სულ სხვა გეზით მიემართებოდა... აქა-იქ, ძალზე იშვიათად ვხედავდით შენობის ფასადზე გამოსახულ ჯვრებსაც, მაგრამ ახლოს მხოლოდ ერთ კათოლიკურ ტაძარში შევძელით მისვლა ბჰუბანეშვარში.

ქრისტიანულ რელიგიას არცთუ უმნიშვნელო მდგომარეობა აქვს ინდოეთში. პირველი ქრისტიანები ამ ქვეყანაში ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ სულ მალე გამოჩენილან, თვით მოციქულმა თომამ მოაქცია ისინი. ინდოეთის მეფეს განდოფარს ახალი ქალაქის აშენების მიზნით სირიაში ხალხი კარგი ხუროთმოძღვრის ჩამოსაყვანად გაუგზავნია... ელჩი წმიდა თომასთან ერთად ჩამოსულა. მათ მეფისთვის წმიდა, ხელთუქმნელი ქალაქის ისტორია და ქრისტეს ჯვარცმის ამბავი უამბიათ და იგი ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოუქცევიათ. მასთან ერთად ქრისტეს ნათელი მიუღიათ მის ხელქვეითებსაც. სასახლის კარის შემდეგ წმიდა თომამ ქრისტეს სჯული ინდოეთის მრავალ კუთხეში იქადაგა და მოწამის სიკვდილით მიიცვალა. შემდგომ წლებში აქ ჩამოსული კათოლიკე მისიონერები მიიჩნევდნენ, რომ წმიდა თომას ნაწილები დაკრძალულია მილაპურის ტაძრის სარკოფაგში, მადრასის მახლობლად. (ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ წმ. თომა მოციქულის თავის ქალა თბილისის სიონში ინახება).

ეკლესიის გადმოცემები ქრისტიანთა უფრო ადრინდელ მისიებზე მოგვითხრობენ, მაგრამ ყველაზე სანდო ცნობა კუზმა იანდოკოპლოვის „ქრისტიანულ ტოპოგრაფიაშია“ დაცული. ეს იყო მეექვსე საუკუნის ალექსანდრიელი ბერი, რომელმაც დასტოვა თავისი მოგზაურო-

აგრა. თაჯ მაჰალის სასახლესთან

ბის ჩანაწერები. იგი ადასტურებს, რომ ქერალში და შრი ლანკაზე არსებობდა ტაძრები და ისინი ირანელ ეპისკოპოსებსა და მღვდლებს ეშორჩილებოდა, რომლებიც კალიანეში იმყოფებოდნენო. როგორც ჩანს, ინდოელი ქრისტიანები ნესტორიანელები იყვნენ. ეს ერესი იმხანად ირანში ფართოდ იყო გავრცელებული. ნესტორიანელები აქტიური მისიონერები იყვნენ.

უკვე VII საუკუნიდან, ისე, როგორც ზოროასტრიზმი, ქრისტიანული რელიგიაც საკმაოდ შეავიწროვა ისლამმა. ამის გამო ინდოეთის ქრისტიანებმა დასახმარებლად მიმართეს ანტიოქიის პატრიარქს. მათ დღემდე უწყვეტი კავშირი აქვთ სირიასთან. ქრისტიანთა ერთი ნაწილი აღიარებს რომის ავტორიტეტს. ინდოეთის მართლმადიდებლებს ძმური ურთიერთობა აკავშირებს საქართველოს ეკლესიასთანაც. ჩვენ ამაოდ ვოცნებობდით გოაში ჩასვლაზე, სადაც ქეთევან დედოფლის ნაწილები ინახება, გვენატრებოდა იქაურ ქრისტიანებთან შეხვედრა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. იმ იმედით, რომ ეს შეიძლება მომავალში განვახორციელოთ, დელში, სასტუმროს ფანჯრიდან, ხალხური ჩვეულების თანახმად ხურდა ფული გადავყარეთ...

... და აი ,უკვე თბილისში ვართ... ვფიქრობ ინდოეთის შთაბეჭდილებებზე... იმ საოცრებებით სავსე, ფერადოვან ქვეყანაზე მის ქალაქებზე... ბაზრებზე... ხალხზე... ბავშვებზე... ყოველთვის თავაზიანი ღიმილით რომ შემოდიოდნენ ჩვენთან...

ბიჯოია, სანჯოია, ოჯოია, მისრა... სინანულით, ცრემლით რომ გვაცილებდნენ... ჩვენები გვგონიხართო, გვეუბნებოდნენ. მჯიღით იწმენდდა ცრემლს პატარა ბიჯოია და ჩვენც ვტიროდით... გვენანებოდა, გვტკიოდა და ყველაზე ძვირფასი, რაც იქედან წამოგვყვა, ეს მათი წმიდა ცრემლები იყო. ამ ცრემლებიდან ვხედავ მუდამ ინდოეთს, მის ვრცელ უდაბნოებს თუ ოკეანის ნაპირთან აფერადებულ ოაზისს... ხალხს, წმიდა გულით რომ მიგვიღო და შეგვიყვარა. მშვიდობა მის მიწას, მის ადამიანებს...

**თინათინ კობალაძე**

---

ექმნეს განმანათლებელ დაბნელებულთა,
ექმნეს წინამძღუარ შეცდომილთა,
იყვნეს საყუდელ და შესავედრებელ შეცდომილთათჳს,
ექმნეს ზღუდე და შემწე ჭირვეულთა მათ.

მაღალ და საშინელ არს სიონს
და დიდებულ ყოველსა ქუეყანასა ზედა
ქრისტე მაცხოვარი ჩუენი, —
რომელმანცა გამოაბრწყინვა
ბნელისაგან ნათელი...

**ოპიზარი მგოსანი**

# ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან

შორეულ საუკუნეებიდან საქართველოს მჭიდრო კავშირი ჰქონდა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის სახელმწიფოებთან... იგი მათ დამაკავშირებელ გზებზე მდებარეობდა და თავისთავად მონაწილეობდა იმ გაცხოველებულ ეკონომიურ ურთიერთობებში — ვაჭრობებში, რომელიც ამ სახელმწიფოებს შორის არსებობდა. ასეთ გზათა შორის ერთ-ერთი იყო გზა ინდურ მსოფლიოსთან... ეს გზა სხვა სახელმწიფოებთან ერთად ინდოეთთან საქართველოსაც აახლოებდა. გაჩნდა კულტურული კერები, რომლებიც როგორც თავიანთ ხალხს, ისე სხვებსაც აცნობდნენ საკუთარი ქვეყნის ამბებს, რელიგიას, თქმულებებს, გადმოცემებს... მოგვანებით, კერძოდ, XI საუკუნეში თბილისის სავაჭრო თავყრილობის უბანში — ავლაბარში საგანგებო **სახლიც** კი დაუარსებიათ ასეთი ურთიერთობის მომსახურებისათვის.

ასეთ შემთხვევაში, ცხადია, არ იქნებოდა საჭირო, ვთქვათ, ქართველთა და ინდოელთა შორის ვისმე შუამდგომლობა, რომ მათ ურთიერთის რელიგიური და მითიური თქმულებანი გაეცნოთ. ისტორიული წყაროები ასეთი ურთიერთობების არსებობას ინდოეთთან VI—VII საუკუნეებიდან ადასტურებენ. მაგალითისათვის „სიბრძნე ბალაჰვარისაც“ კმარა.

ძნელი წარმოსადგენია, რომ იმ მისიონერული ამოცანების არსებობის პირობებში, რომლებიც სავაჭრო ქარავანთა მოძრაობას აკავშირებდა, შეხვედრის გარემოცვაში — ფაქტორიებში ბუდიზმის, ზოროასტრიზმისა და ქრისტიანობის წარმომადგენლებს ერთმანეთისთვის არ ეამბნათ თავიანთ რელიგიურ მოღვაწეთა შესახებ.

პროკოპი კესარიელის ცნობის მიხედვით ქართველნი უშუალო კავშირში იყვნენ ინდოელებთან. ცხადია, აქ ლაპარაკია მხოლოდ ზეპირ თხრობასა და გადმოცემებზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ინდურ წყაროებთან დაკავშირებული თქმულებები — მოთხრობა სინდბადზე, თქმულება შვიდი ბრძენის შესახებ და სხვ. თავდაპირველად გაზიარების გზით შემოვიდოდა ჩვენში.

მრავალი საინტერესო ცნობა არსებობს ჩვენი ერთმანეთისაგან ესოდენ მოშორებული ქვეყნების ურთიერთობის შესახებ... გავიხსენებთ მხოლოდ რამოდენიმეს:

ფრანჩისკიანების (მინორიტების) ისტორიაში მოხსენებულია ერთი გაკათოლიკებული ქართველი დიმიტრი ტფილელი, რომელიც თარჯიმნად გაპყოლია ინდოეთში რომიდან წარმოგზავნილ მინორიტების წესის ოთხ ძმას და მათთან ერთად ქრისტეს სარწმუნოებისათვის სისხლი დაუღვრია და წამების „გვირგვინი დაუდგამს“. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის მიხ. თამარაშვილი:

„1321 წ. აპრილის 13, ბზობის წინა ხუთშაბათს დიდებული წამება მიიღეს მინორიტების წესის ოთხთა სარწმუნოების ბრწყინვალე მხედართა, რომელნიც არიან: ძმა თომა თოლეთინელი, ძმა იაკობ პადოელი, ძმა პეტრე სენიელი. იგი იყო თავისი ძმების თარჯიმნად, რადგან ძლიერ კარგად იცოდა აღმოსავლეთის ენები. ეწამნენ ინდოეთის ქვეყანაში თაჰანსა. მათი მოღვაწეობა და დიდებული წამება აღწერეს იქვე აღმოსავლეთში და გამოგზავნეს მათისავე გზის ამხანაგებმა დომინიკიანებმა: ძმა იაკობმა, ფრანჩისკე პიზანელმა და ძმა პეტრე თურელმა“. ამას გვაცნობს ფრანჩესკოებია ისტორია. თამარაშვილი აღნიშნავს, რომ აქ დასახელებულ პირთა წერილები დრომ შთანთქა და სამწუხაროდ არც დიმიტრი ტფილელისა და არც მისი ამხანაგების შესახებ, რომელთა შორის შესაძლოა სხვა ბევრი ქართველიც ყოფილიყო, აღარაფერი ვიცითო.

ცხადია, ეს კავშირი შემდეგაც გაგრძელებოდა. მართლაც იგი უფრო გაძლიერდა კოლონიურ დაპყრობათა ეპოქაში, როცა რომიდან წარმოგზავნილ ქრისტიანობის გამავრცელებელ ბერებს ახლო, შუა და შორეული აღმოსავლეთისაკენ დაედევნენ ევროპის სხვადასხვა კუთხის მოგზაური ვაჭრები.

იმავე თამარაშვილს მოჰყავს ცნობა მეორე ქართველის შესახებ, რომელმაც დიმიტრი ტფილელივით თავისი სიცოცხლე ინდოეთში დაასრულა. ეს იყო გორელი ანდრია (ერისკაცნობაში ნასყიდა). მან ისე გაითქვა სახელი ქრისტიანულ ასპარეზზე ქალაქ გოაში, რომ თვით პატრები მიიჩნევდნენ „წმინდანად“.

ანდრია გოაში გარდაიცვალა. მისი გვამის დაკრძალვის სურვილი რამდენიმე მონასტერს ერთდროულად გამოუთქვამს, მაგრამ როგორც პეტრე ავიტაბილეს წერილიდან ირკვევა, იგი დაუკრძალავთ წმ. ავგუსტინეს მონასტერში..., აუგიათ ისეთივე ყოველი წესი, რომელიც კანონად ჰქონდათ შეესრულებინათ უფროსისათვის.

უფრო მეტი ცნობაა შემონახული XVIII საუკუნიდან. არსებობს ქართველი აზნაურის რაფაელ დანიბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთში, რომელიც 1815 წ. გამოქვეყნდა.

ინდური საქონელი ჩვენში მაღალხარისხოვნად ითვლებოდა და ფართო ბაზარს პოულობდა. მაგ., ქ. კაშმირის ქსოვილები საქართველოში საუცხოოდ მიაჩნდათ და იგი დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ აქ. ძველად თბილისში ინდოეთიდან შემოზიდული საქონლის სპეციალური მაღაზიებიც კი ყოფილა. საქართველოდან წასულ ვაჭრებს ინდოეთის დიდ ქალაქებში საკუთარი ქარვასლები და ამხანაგობებიც ჰქონდათ დაარსებული. ინდოეთში დღესაც დაცულია მაშინ იქ მცხოვრები ზოგიერთი ქართველის საფლავის ქვები ქართული წარწერებით. მაგ., ქ. ბენარაში დაკრძალული კოჯრელი თამაზა ხუდაშვილის საფლავის ქვის ქართული წარწერა ასე იკითხება:

„ქ. გაიხსენე უფალო, ეს საფლავი კოჯრელი ხუდიაანთ თამაზას საფლავია, რომ ჩემს ქვეყანას, საქართველოს მიწას მოვშორდი, ინდოსტანის მიწას ვეღირსე. ვინც წაიკითხოს, მიბრძანოს შენდობა, ქორონიკონს უო“ (1782 წ.).

ეს კი იმას მოწმობს, რომ ინდოეთში კერძოდ ქ. ბენარაში უნდა ყოფილიყვნენ ქართველები, რომელთაც ასევე შეეძლოთ წაეკითხათ ეს და ამის მსგავსი ეპიტაფიები და საქართველოს მიწას მოშორებული „გარდაცვლილი თანამემამულისთვის უკანასკნელი „შენდობა“ ეთქვათ.

უცხოელ მოგზაურის დელაპორტის ცნობით (მან აღწერა საქართველო), ინდოელებს თბილისში საკუთარი საკულტო საყდარიც ჰქონდათ (პლ. იოსელიანი. 1956 წ. გვ. 265). ეს საყდარი ნარიყალას მიდამოებში ყოფილა, სადაც აგურისაგან აგებული კვადრატული ნაგებობა მდგარა და ძველთაგანვე „საკერპოდ იწოდებოდა“. გადმოცემა ამბობს, მის თაყვანისმცემელთათვის აქ „მარადიული ცეცხლი“ ინახებოდაო. ინდოელთა საყდარი და „მარადიული ცეცხლის“ მსახურება ისლამის გავრცელების შემდეგაც დიდხანს ყოფილა დაცული საერთოდ კავკასიაში.

ყველაზე უფრო თანმიმდევრულად ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობა მწერლობაში აისახა... ავიღოთ თუნდაც მსოფლიოში ცნობილი „სიბრძნე ბალაჰვარისა“.

უკვე შუა საუკუნეებში ეს კავშირი კიდევ უფრო მჭიდროვდება... ისე როგორც „ვეფხისტყაოსანში“, ასევე „თამარიანსა“ და „ამირან-დარეჯანიანშიც“ ხშირად ვხედებით არა მარტო ინდოეთის ხსენებას, არამედ არა ერთ საყურადღებო ცნობასაც. მათში იხსენიება ინდოელთა ძლიერი ლაშქარი, ინდოელი რაინდები. ამ რაინდთა მაღალი ზნეობა და კეთილშობილება, რაც ადასტურებს ამ ორი ქვეყნის კეთილგანწყობასა და ურთიერთობას.

აკადემიკოს გიორგი ახვლედიანს, რომელიც ჯავაჰარლალ ნერუს მიუწვევია, პრემიერმინისტრისათვის უამბნია, რომ საქართველოს მეფეს ვახტანგ გორგასალს ინდოეთში ყოფნისას შემთხვევა ჰქონდა ინდოელ ფილოსოფოსებთან შეხვედრისა. მათ შორის

ფილოსოფიურ პრობლემებზე გამართული მსჯელობა, რასაც ცხოველი პაექრობის ხასიათი მიუღია. მეფე ვახტანგ გორგასალის ფილოსოფიურ განათლებას და საღ მსჯელობას დიდი ყურადღება და საყოველთაო პატივისცემა დაუმსახურებია გამოჩენილ ინდოელ ბრძენთა შორის.

ეს საყურადღებო ცნობა, რომელიც მოხსენდა ჯ. ნერუს, ემყარება არსებულ საბუთს, ინდოეთის ლიტერატურულ ძეგლებსა და უნიკუმებს, სადაც როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, სხვა სახის მრავალი ცნობაც ყოფილა შემონახული საქართველოს ინდოეთთან ურთიერთობისა და იქ მყოფი ქართველების შესახებ.

საინტერესოა ერთი საყურადღებო ფაქტი: ალაჰაბადის უნივერსიტეტის რექტორს ერთ-ერთი საბჭოთა დელეგაციის ოფიციალური მიღების დროს განუცხადებია: საქართველოს შესახებ საინტერესო ცნობები ჩვენს მუზეუმებსა და წიგნთსაცავებში მოიკითხეთო.

სამწუხაროდ, ეს ურთიერთობა შემდგომში დიდად დასწია უკან მონღოლ-თათართა შემოსევებმა. თურქების გაბატონებამ კი სავსებით ჩაკეტა საქართველოზე მიმავალი აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი დიდი სავაჭრო გზა. ამიერიდან ინდოეთში ქართველი ბერები რომის მისიონერებთან ერთად მოგზაურობენ...

ფრანგი მეცნიერის და მოგზაურის ფრანსუა ბერნიეს დიდად საყურადღებო გამოკვლევაში „უკანასკნელ პოლიტიკურ გადატრიალებათა ისტორია დიდი მოგოლის სამეფოში“, სხვათა შორის, მოთხრობილია სამი ქართველის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ, რომელთაც მეთოთხმეტე საუკ. ბოლოს ინდოეთის ნაწილებში სამი სამეფო ჩამოუყალიბებიათ. მათ მიერ შექმნილ დინასტიებს თითქმის 200 წელი უარსებია. ბერნიეს ცნობითვე, ამ მეფეთა ერთ-ერთი წარმომადგენლის — ნეზამ შაჰის სამეფოს დედაქალაქს დუალეთი რქმევია.

1738 წელს ჯაბუკი უფლისწული, შემდეგში ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II ქართველთა თანხმლები ამალით თავად იყო ინდოეთში. ჩვენამდე მოღწეულია მისი პირადი ბარათები თავისი დისადმი.

როგორც ამბობენ, ინდოელი მწერლის ბონკიმჩონდრო ჩოტტოპატჰაის (1838—1894) ისტორიულ რომანში „რაჯ-სინგჰ“ მოთხრობილია ქართველი დედოფლის თავგადასავალი. ეს ქართველი ქალი დიდმოგოლთა დინასტიის იმპერატორის ერთ-ერთ ვაჟს დარუს მონებით მოვაჭრისაგან უყიდია, მოხიბლულა მისი სილამაზით და ცოლად შეურთავს. დარუს ორი ცოლი ჰყოლია. ერთი ქართველი, ერთი ინდოელი. ქართველი ქალი ძლიერ ჰყვარებია და მისთვის პირველი ადგილი მიუნიჭებია. ქალი ლამაზიც ყოფილა და ჭკვიანიც. ისეთი დიდი გავლენა ჰქონია შაჰ-დარუზე, რომ იგი გაუქრისტიანებია კიდეც. ქართველ ქალს თან ჰქონია ჯვარი (ჯვარცმით) და ღვთისმშობლის ხატი, რომელიც სადაც არ უნდა წასულიყო, ყოველთვის თან დაჰქონდა. დაქვრივების შემდეგ იგი ცოლად შეურთავს მისი ქმრის მკვლელს — იმპერატორ აურენგზებს. ერთ-ერთ ლაშქრობაში აურენგზებს იგი თან წაუყვანია. ამ ომში იმპერატორი დამარცხებულა. დედოფალი ინდოელებს ტყვედ ჩაუგდიათ... ბოლოს აურენგზებს იგი მთელი სამეფოს ფასად გამოუსყიდია.

კარგი იქნებოდა, თუ ჩვენი მკვლევარები დაინტერესდებოდნენ ამ ქართველი ქალის ვინაობით. როგორც ამბობენ, მის შესახებ მასალები აურენგზების არქივში ინახება.

რამდენიმე წლის წინ გაზ. „თბილისში“ გამოქვეყნდა ინდოელი მეცნიერის დოქტორ ხატანას წერილი, რომელშიც იგი იუწყებოდა, რომ სწავლობს ინდოეთში მცხოვრებ გუჯართა ტომს, რომლებიც ბევრ რამეში ჰგვანან ქართველებს. იგი წერდა, რომ „ინდოეთში არის წმინდა ქართული სოფლები“. ცხადია, ეს ჩვენს ძალზე დიდ ინტერესს იწვევს.

„ინდოელი ქართველების“ ისტორია, როგორც ვარაუდობენ, შორეული საუკუნეებიდან უნდა მოდიოდეს, კერძოდ IV—V საუკუნეებიდან. ქართველთა „შელწევა“ ინდოეთში შეიძლება მომხდარიყო დიდი ლაშქრობებისა და გადასახლებების ხანაში. უკანასკნელად, როგორც ჩანს, ეს მოხდა XIV საუკუნის დამლევს, მაშინ, როცა თემურლენგის ურდოები შეესივნენ ჩრდილოეთ ინდოეთს. ინდოელ მეცნიერებს კი მიაჩნდათ, რომ გუჯარები ინდოეთში მოხვდნენ ჰუნებთან ერთად IV—V საუკუნეში. ბენგალიაში თურმე არსებობს სამი ქართული სოფელი. როგორც ჩანს, ეს ის ქართველებია, რომლებიც თემურ-ლენგმა დაატყვევა, რჯული გამოუცვალა და შემდეგ სამარყანდში გარეკა. იქიდან კი მოაწყო ლაშქრობა ინდოეთში. ევროპის მეცნიერთა ცნობებით, ქართველები ინდოეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩნდებიან XV—XVI საუკუნეებში.

გუჯარები სახლობენ მთელ რაჯასტანში, ჯემასა და ქაშმირში, ჰიმალაის მთიანეთში, აგრეთვე, პაკისტანსა და ნეპალში. ამბობენ, ბომბეის ჩრდილოეთით, გალეჯაიერის მთაზე მცხოვრები კათხის ტომი (ხშირად ასრულებს ქართულ ცეკვებსო (კათხი — კახი?!).

საინტერესოა, რომ ალექსანდრე „მაკედონელისდროინდელი ბერძნები ჰიმალაის „ინდურ კავკასიას“ უწოდებდნენ. „გუჯარეთი“ ჰქვია ერთ-ერთ სოფელს ბორჯომის რაიონშიც.

ვშლით საქართველოს ტრაგიკულ მატიანეს.

ამ მატიანის ერთი უმძიმესი ფურცელია ქეთევან დედოფლის მოწამებრივი ცხოვრება და მისი აღსასრული.

თავისი გასაოცარი სიმტკიცითა და სულიერი ძლიერებით იგი მსოფლიოს დიდ მოწამეთა სიმაღლეზე დგას.

თავის დროზე, ირანის მრისხანე შაჰმა აბასმა, იმის გამო, რომ ქართველთა დიდებულმა დედოფალმა, დედამ მეფისა და პოეტის — თეიმურაზ პირველისა, უარი განაცხადა: ქრისტეს მცნება განეგდო, უსაშინლესი ტანჯვითა და წამებით განარიდა მისი მაღალი სული სხეულსა მისსა... ცხელი შანთითა და მახვილით დადაღა და დასწვა... შემდეგ კი რამდენიმე ხანს, სხვათა რისხვად და ძრწოლად პატივაყრილი ეწყო მიწაზე მისი ნაწილები. უმალ მთელმა ევროპამ გაიგო დედოფლის სახელი და მოწამებრივი სიკვდილი მისი.

ირანს ჩაყვანილ ქართველთა დედოფალს ზოგჯერ შესაძლებლობა ეძლეოდა იმ ხანად შაჰის კარზე ხშირად მყოფ ევროპულ მისიონერებთან შეხვედრისა, კერძოდ, მამა ამბროზიო დოს ანეოსს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქეთევანსა და მის მხლებლებთან. ამ კავშირმაც შემოგვინახა ორიოდე ფრაგმენტი იმ ძუნწი ცნობებიდან, რაც ქეთევანზე იმ სასტიკმა საუკუნემ დასტოვა.

წამების წინ დედოფალს ორიოდე წუთით განმარტოების ნება უთხოვია და თავის სენაკში გასულა, მაცხოვრისათვის თავისი ხალხი შეუვედრია. ბოლოს უთქვამს: „ახლა კი აღასრულეთ შაჰის ნებაო“. იგი თურმე, სულის ამოსვლამდე ლოცულობდა. ნაწამები ნაწილებისათვის ნაღვერდალი დაუყრიათ და მთელი ამ ფანატიკური რიტუალის აღსრულების შემდეგ მხოლოდ ფერფლი და ძვლები დაუტოვებიათ. ნეშტის მცირე ნაწილი მაინც გადარჩენილა. ერთხანს ის მისიონერთა მონასტერში ინახებოდა ისპაჰანში, მერე თეიმურაზ მეფემ ითხოვა და შაჰმაც დაუთმო. ეს მოხდა 1628 წელს, ივნისში. ნეშტი დაკრძალეს ალავერდის ტაძარში.

ნეშტის სხვა ნაწილები წმინდა მამებს გოაში ჩაუტანიათ, ინდოეთში შავი ქვის კუბოში ჩაუწვენიათ, და — გრასას მონასტერში დაუსვენებიათ.

ამ პორტუგალიელი მისიონერების სახელებია ამბროზიო დოს ანეოსი და პედრო დოს სანკტოსი.

ისინი მიხეილ თამარაშვილს არაერთხელ ჰყავს მოხსენიებული.

ქეთევან დედოფლის ცხოვრებისა და წამების ამსახველი სურათები — ფრესკები ახატია ლისაბონში დაგრასას მონასტრის კედლებს.

გოაში ადგილობრივმა მოსახლეობამ ლოცვა და საგალობელი შეთხზა მასზე...

პაპი და პატრიარქი სრულიად აფრიკისა და ალექსანდრიისა ნიკოლოზი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს — პატრიარქი ილია II ყაზბეგში, 1985 წ.

ДЖВАРИ ВАЗИСА

# «КРЕСТ ИЗ ВИНОГРАДНОЙ ЛОЗЫ» ЖУРНАЛ ГРУЗИНСКОЙ ПАТРИАРХИИ

Долго безмолствовали колокола Грузинской Церкви, более семидесяти лет, и вот, настало желанное время. В Грузии одна за другой открываются церкви. О них рассказывают статьи, письма, информации, помещенные в журнале под общим заголовком «Звонят колокола». Это Тбилисские Церкви Анчисхати и Метехи, Церкви Кварели, Зугдиди, Казбеги, Дманиси, Болниси, Ахалцихе...

1000-летие Крещения Руси. В связи с этой датой в Грузинской Патриархии состоялась научная конференция, в работе которой, кроме духовенства, приняли участие грузинские ученые, выступившие с докладами о взаимоотношениях Грузинской и Русской Церквей. Публикуется приветствие епископа Зосимы к участникам конференции. Здесь же печатается обширная информация о празднествах в Москве и приветственная речь Католикоса-Патриарха всея Грузии Илии II.

Весьма многообразным и плодотворным является творчество известного грузинского деятеля Давида Арсенишвили. Неоценим его вклад в дело создания музеев. Достаточно назвать Музей древностей им. Андрея Рублева в Москве. Завершения этого важнейшего дела он добился путем сверхестественного напряжения энергии и преодоления постоянных бюрократических препятствий. Именно об этой заслуге Давида Арсенишвили рассказывает статья доцента Тбилисского университета Нателы Вачнадзе.

В рубрике «Богословие» читатель ознакомится с важнейшим памятником раннего христианского периода «Дидахе» на современном грузинском языке соответствующими комментариями, выполненными кандидатом филологических наук Э. Челидзе.

В этой же рубрике напечатаны проповеди известного церковного деятеля архимандрита Григория Перадзе под общим заголовком-разъяснением «Отче нашего». К проповедям прилагаются комментарии Н. Папуашвили, которые еще раз дают возможность читателю проследить творческий путь и жизнь Григория Перадзе.

В рубрике «Проповеди» публикуется проповедь епископа Зосимы, посвященная празднику «Петра и Павла».

Среди церковных деятелей начала нашего века особое место занимает монах Алексей (Бакрадзе). Его имя часто упоминается в журналах, газетах и в работах исследователей того периода. Сотрудник патриархии З. Торна исследовал материалы жизни и творчества, письма, проповеди, духовные стихи этого деятеля. В рубрике «Из прошлого» читателю предлагаем письмо «Монах Алексий».

Общеизвестны взаимодружеские отношения грузинского и еврейского народов. В отличие от евреев, проживающих в других странах, только евреи, проживающие на грузинской земле, смогли сохранить язык Соломона Мудрого — Иврит, являющийся одним из древнейших на Земле. Грузия является единственной страной, где евреи никогда не испытывали притеснений и погромов. Читателю предлагаем письмо еврейского литератора Д. Бузукашвили «Почему евреи любят Грузию», в котором на примерах соответствующих фактов рассказывается о взаимоотношениях и братстве двух народов.

В текущем году исполнилось 70 лет со дня основания Тбилисского государственного университета. В связи с этим журнал печатает приветственное слово Католикоса-Патриарха всея Грузии Кириона II, произнесенное им 26 января 1917 года.

В текущем году у грузинской церкви находились многие гости. Среди них представители Всемирной Патриархии, греческие митрополиты, которые посетили грузинские святыни. В рубрике «Гости», журнал публикует информацию о их пребывании в Грузии.

В этой же рубрике печатается беседа журналистов Федеративной Республики Германии госпожи Ильмы Райзнер и господина Ганса Вернера с Католикосом-Патриархом всея Грузии Илией II.

В письме «По дорогам Индии» рассказывается о впечатлениях путешествия сотрудников Грузинской Патриархии в эту страну. Автором письма является Т. Кобаладзе.

Здесь же публикуется статья «Кое-что из истории индийско-грузинских взаимоотношений».



JVARI VAZISA

(THE CROSS OF VINE).

The Georgian Church bells kept silence more than 70 years. But desired time has already come. The Georgian churches are opened one after another. The journal opens with the Referencetothis significant fact.

Under the common headline „The Church Tower Bells Are Ringing", the journal gives us different articles, letters, information concerning the newlyopened churches. These are: Anchiskhati and Metekhi (in Tbilisi), St. John's (in Kvareli), and other churches in the various regions or villages (Zugdi+di, Qazbegi, Dmanisi, Bolnisi, Akhaltsikhe).

The Millennium of the Baptism of Rus. In connection with this significant date the Scientific Conference was held in the Georgian Patriarchate. The conference was attended by the georgian scientists together with the clergy The journal presents the addresses delivered by them concerning the close relations of Georgian and Russian cchurches as well as the greeting speech of Bishop Zosime to the participants of the Conference. In this section the journal extensively covers all those events, which took place during the days of the celebration in Moscow. The greeting speech of Catholicos-Patriarch of All Georgia ILIA II is printed here as well.

The creative work of the prominent georgian cultural worker David Arsenishvili is many-sided and fruitful. Especially it should be noted, that he has done a lot for establishing and constructing various museums. The museum of antiquity named after Andrei Rublev, which was built in Moscow on the ruins of Andronike Monastery is a vivid evidance of it. With inhuman energy he got over the difficulties and after all achieved the goal

The article delivered at the conference by Natela Vachnadze the assistent professor of Tbilisi University, acquaints the reader with the noble merits of David Arsenishvili.

Under the heading „Theology" the reader is acquainted with the translation of „Didake" into the new georgian language. This significant work with some comments, carried out by E. Chelidze, belongs to the early christian period. Under the same title the preaches by famous ecclesiastical worker Archimandrite Grigorii Pheradze, are printed. Here we find enclosed comments by N. Papuashvili acquainting the reader with Gr. Pheradze's and life, which is the brilliant exemple for the future generations.

Under the heading „Preaches", the journal publishes the preaching of Bishop Zosime „Petre-Pavloba".

Among ecclesiastical workers of the beginning of our age Monk Aleksi (Bakradze) occupied one of the particular places. His name very often is mentioned in the journals and newspapers. Tthe Georgian Patriarchate has found his letters, preaches, ecclesiastical verses and materials about the work and life of this blamless and devoted church-worker. Under the title „From the Past" the journal presents the article „Monk Aleksi".

between Relatins Georgians and Jews are generally well-known. the Jews settled in Georgia were able to preserve tbe language of Solomon the Wise Georgia is the only country where this nation has never been persecuted. The journal ofiers us the letter „Why Jews Love Georgia", by the Jewish writer D. Buzukashvili narrating the mutual relations and fraternity of these two nations.

This year we are going to celebrute the 70 th anniverasary of the foundation of the Tbilisi state Universitv. In this issue on the occasion we offer you the greeting speech of Catholicos-Patriarch of All Georgia Gjrion II made on January 26, 1917.

In the current year many guests visited the Georgian Church. Among them were the representatives of the Ecumenical Patriarchate, Greek Metropolitans. The guests visited many churches and Cathedrals. Under the heading „Guests" the journal publishes the information about their stay in Georgia. Under the same heading the journal presents the talk of Catholicos-Patriarchof all Georgia ILIA II' with Mrs. Ilma Rairner, journalist from German Federal Republic. The journalist of German Federal Republic Mrs. Ilma Raizner.

The article titled „On the Roads of India" covers the visit of the workers of the Georgian Patriarchate to India and their impressions Author T. Kobaladze.

The article „Some Information from the History of Indo-Georgian Relations" completes the journal.



## შინაარსი


**რეკენ ხამრეკლოს ზარები** (ანჩისხატი, მეტეხი, ილიაობა ყვარელში...) . 5—16
ნათლისღების 1000 წელი . . . . . 17—22
**ნ. ვაჩნაძე.** დავით არსენიშვილი . . . . . 23—30

**ღვთისმეტყველება**

**ე. ჭელიძე.** „დიდაქეს" შესახებ. მოძღვრება 12 მოციქულისა . . . . . 31—36
არქიმანდრიტი **გრ. ფერაძე.** შინაარსი ჭეშმარიტი მოქალაქეობისა. „მამაო ჩვენოს" განმარტება. (კომენტარი ნ. პაპუაშვილისა) . . . . . 37—45

**70 წელი ქართული უნივერსიტეტის დაარსებიდან**

სიტყვა თქმული კათალიკოს — პატრიარქ **კირიონ** II-ის მიერ . . . . . 46—47

**ქადაგებანი**

ეპისკოპოსი **ზოსიმე.** პეტრე — პავლობას . . . . . 48—49

**წარსულიდან.**

**ზ. თორია.** ალექსი ბერი . . . . . 50
**ერთობა და ეკლესია** თქმული ალექსი ბერისაგან . . . . . 52—54
**დ. ბუზუკაშვილი.** რატომ უყვართ ებრაელებს საქართველო . . . . . 55—57

**სტუმრები.**

ბერძენი მიტროპოლიტები საქართველოში . . . . . 58
ჟურნალისტები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან . . . . . 59—60

**თ. კობალაძე.** ინდოეთში . . . . . 62—70
ინდოეთ — საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან . . . . . 71—72
რეზიუმე რუსულ ენაზე . . . . . 76
რეზიუმე ინგლისურ ენაზე . . . . . 77



საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე — ეპისკოპოსი **ზოსიმე** (შიოშვილი)
ჟურნალის რედაქტორი **თ. კობალაძე**
საქართველოს საპატრიარქო. თბილისი. 1988 წ.
სიონის ქ. № 4. ტ. 72.04.53

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა. თბილისი, 380060
კუტუზოვის ქ. № 19

შეკვეთის № 2722

**Грузинская Патриархия**
**«Джвари Вазиса» (Лозовый крест) № 3, 1988 г.**

**Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060,**
**ул. Кутузова 19**
**Заказ № 2722**

# ქართული ანბანი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ⴰ | ⵓ | ᲐᲐ | a | 1 |
| ⴱ | ⵉ | ᲑᲑ | b | 2 |
| ⴲ | ⵊ | ᲒᲒ | g | 3 |
| ⴳ | ⵋ | ᲓᲓ | d | 4 |
| ⴴ | ⵌ | ᲔᲔ | e | 5 |
| ⴵ | ⵍ | ᲕᲕ | v | 6 |
| ⴶ | ⵎ | ᲖᲖ | z | 7 |
| ⴷ | ⵏ | ᲗᲗ | ë | 8 |
| ⴸ | ⵐ | ᲘᲘ | t | 9 |
| ⴹ | ⵑ | ᲙᲙ | i | 10 |
| ⴺ | ⵒ | ᲚᲚ | ḳ | 20 |
| ⴻ | ⵓ | ᲛᲛ | l | 30 |
| ⴼ | ⵔ | ᲜᲜ | m | 40 |
| ⴽ | ⵕ | ᲝᲝ | n | 50 |
| ⴾ | ⵖ | ᲞᲞ | j | 60 |
| ⴿ | ⵗ | ᲟᲟ | o | 70 |
| ⵀ | ⵘ | ᲠᲠ | ṗ | 80 |
| ⵁ | ⵙ | ᲡᲡ | ž | 90 |
| ⵂ | ⵚ | ᲢᲢ | r | 100 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ⵃ | ⵛ | ᲣᲣ | s | 200 |
| ⵄ | ⵜ | ᲤᲤ | ṭ | 300 |
| ⵅ | ⵝ | ᲥᲥ | y | |
| ⵆ | ⵞ | ᲦᲦ | u | 400 |
| ⵇ | ⵟ | ᲧᲧ | p | 500 |
| ⵈ | ⵠ | ᲨᲨ | k | 600 |
| ⵉ | ⵡ | ᲩᲩ | ɣ | 700 |
| ⵊ | ⵢ | ᲪᲪ | q | 800 |
| ⵋ | ⵣ | ᲫᲫ | š | 900 |
| ⵌ | ⵤ | ᲬᲬ | č | 1000 |
| ⵍ | ⵥ | ᲭᲭ | c | 2000 |
| ⵎ | ⵦ | ᲮᲮ | ǰ | 3000 |
| ⵏ | ⵧ | ᲯᲯ | č | 4000 |
| ⵐ | ⵨ | ᲰᲰ | č | 5000 |
| ⵑ | ⵩ | ᲱᲱ | x | 6000 |
| ⵒ | ⵪ | ᲲᲲ | q | 7000 |
| ⵓ | ⵫ | ᲳᲳ | č | 8000 |
| ⵔ | ⵬ | ᲴᲴ | h | 9000 |
| ⵕ | ⵭ | ᲵᲵ | ə | 10000 |